საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№25 (163)
4 ივლისი - 10 ივლისი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

9 პოლიციელს, ზონდერსა თუ გამგეობის თანამშრომელს შორის ზღვარი წაშლილია

# ხაფანგი პრემიერ-მინისტრისთვის

მერაბიშვილის თანდათანობითი ჩამოშორებით შსს-დან სააკაშვილი, სავარაუდოდ, ცდილობს შეამციროს იმ სცენარის ალბათობა, რომლის ფარგლებში მერაბიშვილი, ერთგულ პოლიციელებზე დაყრდნობით, კრიტიკულ მომენტში დაიწყებს თამაშს, რომელიც სააკაშვილის ინტერესებს არ ითვალისწინებს.



# განტევების ვანო, ანუ ხერხემლის გამრუდება 2

## მანდატურთუხუცესობიდან სარდლობამდე 3



## ხელისუფლება რომ მიუშვა, ხოლოკოსტს მოგვიწყობს! 14

## ახალ პარლამენტში «უსახელო ნაბიჭვრები» მომრავლდებიან 8

## «უვიზო რეჟიმი საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს, დაამყაროს ურთიერთობა მათთვის საინტერესო ირანის მოქალაქესთან, რომელიც საქართველოში უპრობლემოდ შემოვა» 12

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მერაბიშვილმა ახალ თანამდებობაზე შეიძლება „ნაციონალებისა“ და „ბიუჯეტნიკების“ მანდატურის“, „დაბნეული ფარის მწყემსის“ როლი მოირგოს, რომლის ამოცანა მმართველი პარტიის წევრებისა და პოტენციური მხარდამჭერების რიგებში ერთსულოვნების უზრუნველყოფა იქნება. ამასთანავე, ის, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი (ჩრდილოვანი) მენეჯერი გახდება. ეს კი მეტად რთული და ძალზე უმადური სამუშაოა. პრემიერის სავარძელი, ამ კონტექსტში, მერაბიშვილისთვის ისეთივე არაკომფორტული გახდება, როგორც ელექტროსკამი. მას წარმოუდგენლად დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება.**

# ხაფანგი პრემიერ-მინისტრისთვის

## განტევების ვანო, ანუ ხერხემლის გამრუდება




**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი გახდა. ბოლო დღეებში ქართველი ექსპერტები გაფაციცებით მსჯელობდნენ და ენერგიულად მკითხაობდნენ იმის თაობაზე, თუ რა გათვლა იდგა ამ და სხვა საკადრო გადაადგილებების უკან, თუმცა, როდესაც ,,გათვლაზე“ ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური პრაგმატიზმის ცივ ლოგიკას ამ შემთხვევაში ერწყმის მიხეილ სააკაშვილის სუბიექტური შეხედულებები, შიშები და უცნაური რწმენა-წარმოდგენები. იმ მოტივების მოძებნა, რომლებიც მისი გადაწყვეტილებების უკან იდგა, პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე მოგვიწევს.**

სააკაშვილის საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა (ნახევრად) ავტორიტარულ სახელმწიფოში, ხელისუფლების ჩრდილოვანი, ნაკლებად ხილული იერარქია ყოველთვის დომინირებდა ოფიციალურზე და სიტუაცია, როდესაც ამა თუ იმ მინისტრს (ან სხვა მაღალჩინოსანს) გაცილებით მეტი გავლენა და პოლიტიკური წონა ჰქონდა, ვიდრე პარლამენტის ან მთავრობის თავმჯდომარეს, სავსებად ბუნებრივად აღიქმებოდა.

ამგვარად, ნაკლებად მნიშვნელოვანია, რა ერქმევა მერაბიშვილის თანამდებობას (შეუძლიათ საერთოდ გენერალფელდცეიხმეისტერი დაარქვან) და რა უფლება-მოვალობები ექნება მას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არამედ ის, თუ როგორი იქნება მისი რეალური გავლენა და პასუხისმგებლობის სფერო, რამდენად გაძლიერდება (ან დასუსტდება) მისი პოზიციები გადაწყვეტილების მიმღებთა არაფორმალურ წრეში, რა რეაქციას გამოიწვევს მისი მოქმედება საზოგადოებაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ყველაფერი დანარჩენი, პრინციპში, ბელეტრისტიკაა.

**ფორმალური თვალსაზრისით, მერაბიშვილი დააწინაურეს, თუმცა ზოგიერთმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ ეს, სინამდვილეში, ჩამოქვეითება იყო, რადგან მერაბიშვილი შსს-ს უშუალო ხელმძღვანელობას, ანუ თანამედროვე საქართველოში პროცესების კონტროლის ყველაზე ეფექტურ ბერკეტს დააშორეს და, როგორც აკვარიუმიდან ამოყვანილი თევზი, მისთვის მეტად კომფორტულ გარემოს მოსწყვიტეს (ჯერჯერობით დისტანცია მერაბიშვილსა და შსს-ში დარჩენილ მის კადრებს შორის მცირეა, თუმცა დროთა განმავლობაში ის გაიზრდება). შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ ჭეშმარიტება, სავარაუდოდ, ამ ორ შეფასებას შორის უნდა მოვძებნოთ: ფიგურები დაფაზე ისე დაეწყო, რომ თავად მერაბიშვილის მოქმედებაზეა დამოკიდებული, ის ამ დანიშვნას დაწინაურებად გადააქცევს თუ ჩამოქვეითებად.**

**რა აწუხებდა სააკაშვილს ბოლო დროს ყველაზე მეტად?**

**ა) ბიძინა ივანიშვილის პოზიციების აშკარა და თვალშისაცემი გამყარება, იმის საბოლოო გააზრება, რომ მეტ-ნაკლებად პატიოსან ბრძოლაში „ნაცმოძრაობას“ არჩევნების მოგების შანსი არ აქვს;**

**ბ) ივანიშვილის წინააღმდეგ გატარებული ძალისმიერი ზომების არაეფექტურობა;**

**გ) ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიის „ბუქსაობა“, ორჭოფობა და გაზრდილი უკმაყოფილება საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და „ნაცმოძრაობის“ ქვედა ეშელონებში;**

**დ) დასავლეთის უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლების პირველ პირად სააკაშვილის შემდგომი დარჩენის მიმართ, მითუმეტეს თუ ამას ღია დიქტატურის დამყარება დასჭირდება;**

**ე) თანაგუნდელთა, მათ შორის მერაბიშვილის (და მისი ხელქვეითების), მხრიდან ღალატის შიში.**

ყველა ეს ფაქტორი ერთად, სააკაშვილის მიერ, სავარაუდოდ, აღიქმებოდა როგორც „დაუსრულებელი კოშმარი“ და, როგორც სჩვევია, ყველა პრობლემის მოხსნა ხელის ერთი მოსმით გადაწყვიტა.

**იმისთვის, რომ ხელისუფლება რეპრესიების გზით შეინარჩუნოს, სააკაშვილს სჭირდება, რომ შსს საბოლოოდ გახდეს ზსს, ანუ „ზონდერების საქმეთა სამინისტრო“ და მას ისეთი ხელმძღვანელი აკონტროლებდეს, რომელსაც არანაირი პოლიტიკური მომავალი არ ექნება, ყველაფერზე მოაწერს ხელს და უკლებრივ ყველა, მათ შორის აშკარად მანიაკალურ, ბრძანებას შეასრულებს.**

**ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მერაბიშვილს რაიმე ზნეობრივი წინაღობა ხელს უშლიდა, სააკაშვილის მითითებები შეესრულებინა ან ის „რეიტინგს უფრთხილდებოდა“, მაგრამ, „ნაცმოძრაობის“ ბელადისგან განსხვავებით, ის ნათლად ხედავდა ამა თუ იმ რეპრესიული გადაწყვეტილების ფატალურ შედეგებს, ხშირ შემთხვევაში** (დაუზუსტებელი ინფორმაციით) **ცდილობდა, დაერწმუნებინა სააკაშვილი, მეტი კეთილგონიერება გამოეჩინა და გამორიცხული არაა, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ფარულ საბოტაჟსაც მიმართავდა.** ახლა კი, როდესაც შს მინისტრად ბაჩო ახალაია დაინიშნა, შეტევა ოპოზიციაზე შეიძლება ძალიან მასშტაბური გახდეს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ახლო მომავალში სიტუაცია აირევა და მძიმე ინციდენტების სერია მოხდება, მათ შორის თავდასხმა ბიძინა ივანიშვილზე, რომლის შესაძლებლობაზე სოზარ სუბარმა „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

მერაბიშვილის წასვლა შსსდან სულაც არ ნიშნავს, რომ მისი გავლენა იქ დასრულდა, როგორც კი კაბინეტის კარი მიიხურა, თუმცა სისტემიდან იმ კადრების გადინების პარალელურად, რომლებიც მერაბიშვილსა და რიგითი პოლიციელების მასას შორის დამაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებდნენ, მისი გავლენა თანდათან შესუსტდება. ახალ მინისტრს ადაპტაციისთვის, იმისთვის, რომ უწყება ახალი ამოცანების გადაწყვეტას მიუსადაგოს, გარკვეული დრო დასჭირდება. **შსს-ს გარდამავალი პერიოდი ელის, რომელიც შეიძლება საკმაოდ მტკივნეული გამოდგეს.** ამასთანავე, **მერაბიშვილის თანდათანობითი ჩამოშორებით შსს-დან სააკაშვილი, სავარაუდოდ, ცდილობს, შეამციროს იმ სცენარის ალბათობა, რომლის ფარგლებში მერაბიშვილი, ერთგულ პოლიციელებზე დაყდნობით, კრიტიკულ მომენტში დაიწყებს თამაშს, რომელიც სააკაშვილის ინტერესებს არ ითვალისწინებს.** ვერ ვიტყვით, რომ ამის ალბათობა ოდესმე განსაკუთრებით მაღალი იყო, თუმცა სააკაშვილის შიშს, როგორც ცნობილია, ძალიან დიდი თვალები აქვს.

ორიოდე ციტატა „საქართველო და მსოფლიოში“ ორი თვის წინ გამოქვეყნებული წერილიდან: **„ახლა ის მომენტია, როდესაც იდეა „ვანო გადაგვარჩენს!“ სახელისუფლო პარტიაში შეიძლება მყისიერად დომინანტური და, რაც მთავარია, უალტერნატივო გახდეს“, „როგორც პარლამენტში ისე შეხვედრაზე პედაგოგებთან, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, მერაბიშვილი ეკონომიკაზე ისეთი სერიოზულობით საუბრობდა, რომ პრემიერ-მინისტრის როლში სრული შექრისთვის ფრიდმანისა და ფონ ჰაიეკის ციტატების მასირებული ფრქვევაღა აკლდა“.**

**მერაბიშვილმა ახალ თანამდებობაზე შეიძლება „ნაციონალებისა“ და „ბიუჯეტნიკების“ მანდატურის“, „დაბნეული ფარის მწყემსის“ როლი მოირგოს, რომლის ამოცანა მმართველი პარტიის წევრებისა და პოტენციური მხარდამჭერების რიგებში ერთსულოვნების უზრუნველყოფა იქნება. ამასთანავე, ის, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი** (ჩრდილოვანი) **მენეჯერი გახდება. ეს კი მეტად რთული და ძალზე უმადური სამუშაოა. პრემიერის სავარძელი, ამ კონტექსტში, მერაბიშვილისთვის ისეთივე არაკომფორტული გახდება, როგორც ელექტროსკამი. მას წარმოუდგენლად დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება.**

მერაბიშვილმა ენერგიულად დაიწყო ლოზუნგების აფრიალება, თითოეულ ოჯახს ათასლარიან ვაუჩერს დაჰპირდა, ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობაში რამდენიმე ვირტუალური მილიარდი ჩადო... მოკლედ, აკეთებდა ყველაფერს, რამაც შეიძლება გაგვახსენოს ნიკიტა ხრუშჩოვის მონოლოგები კომუნიზმზე, და კახა ბენდუქიძეს ინფარქტი დამართოს. **მალე მერაბიშვილმა შეიძლება შეუტიოს რამდენიმე** (არასაკვანძო) **მონოპოლიას, შეეცადოს, დააგდოს ფასი ამა თუ იმ პროდუქტზე და ა. შ. თუმცა, ამ პოზიტიური გზავნილების მიუხედავად, გამორიცხული არაა, ის „ნაციონალებისთვის“ „ნეგატივის მაგნიტად“ გადაიქცეს.**

მერაბიშვილი ძალიან ცუდი ორატორია, არადა, ახლა მედიასა და მოსახლეობასთან ძალიან მჭიდრო კონტაქში მუშაობა მოუწევს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ეფექტს გამოიწვევს მერაბიშვილისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტების გასაუბრება, მაგალითად, გახმაურებული მკვლელობების ან სადისტური დარბევების თემაზე. ბოლო წლებში ოპოზიცია მერაბიშვილს დიდად არ ერჩოდა (თუ რატომ, ცალკე საუბრის თემაა), თუმცა მისი იმიჯის მიწასთან გასწორება, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ პერიოდი, როდესაც გირგვლიანის საქმე განსაკუთრებით აქტუალური იყო და საზოგადოების დიდ ნაწილს ვანო მერაბიშვილის მიმართ უაღესად ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა; იმ განწყობის „გაღვიძება“ ოპოზიციისთვის, პრინციპში, არც ისე რთული იქნება.

**ამ დანიშნვას კიდევ ერთი ასპექტი აქვს: „ნაციონალების“ მარცხის შემთხვევაში, მერაბიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ადეკვატური კანდიდატურაა** (თუმცა არა უნაკლო), **რომელსაც რეჟიმის უმტკივნეულო დემონტაჟის ხელშეწყობა, ივანიშვილთან გარანტიებზე მოლაპარაკების წარმოება შეუძლია.** სხვა ტიპის დიალოგი ნაკლებად სავარაუდოა. გასულ კვირას „კავკასიის“ ეთერში ივანიშვლიმა კატეგორიულად გამორიცხა ყოველგვარი ფარული შეთანხმება მანდატების განაწილებაზე; მას ასევე არ სჭირდება თანამშრომლობა „ნაციონალებთან“ მთავრობის ფორმირების საკითხში, თუ არჩევნები „ფრედ“ დასრულდება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მისდამი ოპოზიციური ამომრჩევლის ნდობას გაანადგურებს. საერთოდ კი, „ფრე“ არჩევნებში სხვა არაფერია, თუ არა „ნაციონალების“ გადადებული მარცხი, უბრალოდ რეჟიმის დემონტაჟი უფრო ხავერდოვანი და დროში გაწელილი იქნება.

რაც შეეხება დასავლეთს, სააკაშვილმა თითქოსდა მიანიშნა, რომ აპირებს „ნაკლებად სკანდალურ სცენარს“ მიემხროს, როგორც მას თომას დე ვაალი უწოდებდა, როდესაც (ასპარეზზე ივანიშვილის გამოჩენამდე, რაც მნიშვნელოვანია) წერდა: **„სააკაშვილმა შეიძლება შეიცვალოს ამპლუა და გახდეს, მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ან აჭარის ხელმძღვანელი, ხოლო პრემიერ-მინისტრად, რომელიმე სანდო მოკავშირე გახადოს — შესაძლოა, გავლენიანი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი“.**

ჩვენ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სააკაშვილმა თავისი გადაწყვეტილებით თითქოს გააუმჯობესა ვითარება ყველა პრობლემურ მიმართულებაზე, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა მართებული, ალბათ, იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ყოველივე ეს ვაკუუმში, პოლიტიკურ ლაბორატორიაში მოხდებოდა და არა დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში, როდესაც სააკაშვილს ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს, როგორიცაა ბიძინა ივანიშვილი. **ხელისუფლების ბანაკში გარდაქმნის დაწყება მის ნაწილობრივ დესტაბილიზაციას ნიშნავს და ოპონენტი, სავარაუდოდ, შეეცდება, ის სრულ ქაოსად გადააქციოს. ამ მხრივ, სააკაშვილმა ძალზე სარისკო ნაბიჯი გადადგა.** შეიძლება ითქვას, რომ ის ალყაში იყო, ახლა კი მისი გარღვევა სცადა. თავისთავად ეს ნაბიჯი წარმატებას არ ნიშნავს, მეტიც, მან შეიძლება მარცხი დააჩქაროს, თუმცა სააკაშვილმა, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ „ალყაში“ მას საერთოდ არანაირი შანსი არ აქვს. გამორიცხული არაა, რომ მას უბრალოდ ნერვებმა უმტყუნა, არჩევნებამდე ვერ მოითმინა და ესკალაციაზე წასვლა გადაწყვიტა.

**ცვლილებები, რომლებმაც სააკაშვილის მომხრეთა წრეში ვულკანის ამოფრქვევის მსგავსი ეფექტი გამოიწვია, ოპოზიციური საზოგადოებისთვის განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. მათთვის ეს შესაკრებთა გადანაცვლებაა, რომელიც არ ცვლის არც ჯამს, არც მათ გადაწყვეტილებას — სააკაშვილის რეჟიმი დაასამარონ, მიუხედავად იმისა, ვანო მერაბიშვილი ჩაუდგება სათავეში მთავრობას, ნუგზარ წიკლაური თუ ტიჯანი ბაბანგიდა.**

ნიშნავს თუ არა ბაჩო ახალაიას შაშკინით ჩანაცვლება იმას, რომ სააკაშვილი აღარ აპირებს „არმიის გამოყენებას მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის“? იქნებ პირიქით, მას ახლა ყველაზე „მკაცრი ხელი“ სწორედ პოლიციაში სჭირდება? უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ მერაბიშვილმა ოპოზიციის ცალკეული ლიდერების დაპატიმრებაზე უარი თქვა. არჩევნების წინ კი შიშისა და ტერორის დათესვა ახალაიაზე უკეთ, ნაკლებ სავარაუდოა, ვინმემ მოახერხოს. თავად შაშკინი კი საჯაროდ დებს პირობას, რომ „ბაჩო ახალაიას რეფორმებს გააგრძელებს“.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მანდატურთუხუცესობიდან სარდლობამდე



**„დაუძინებელი მეგობრები“ მას მიშაშკინს უწოდებენ. დაიბადა 8 აგვისტოს – 2008 წლის ომის დაწყების დღეს, ოღონდ ზუსტად 33 წლით ადრე. როცა სააკაშვილი „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“ ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა, მას ქრისტეს ასაკი შეუსრულდა, თუმცა ქრისტეს კვალი მის ბიოგრაფიაში არ იკითხება.**

1992-93 წლებში არისტოტელეს სახელობის ქართულ-ბერძნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე სწავლობდა. იმავე წლებში, 18-19 წლის ასაკში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურში ახერხებდა მუშაობას. 1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1998 წელს. 1996 წელს ჯარში გაუწვევიათ (წოდებით უმცროსი ლეიტენანტია), თუმცა ამის შესახებ ცნობა ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ არის. გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მას ამ პერიოდში არც სწავლა შეუწყვეტია და, მეტიც, ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრებამდე, 1997 წელს, მუშაობა ამერიკის იურისტთა ასოციაციაში დაუწყია (BAR) დირექტორის თანაშემწედ. მონაწილეობდა საქართველოს სასამართლოს რეფორმის მომზადებაში. 1998 წლიდან აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში (IRI) საქართველოს პროგრამის კოორდინატორად მუშაობდა, 2001-2008 წლებში — პოლიტიკური პროგრამების დირექტორად, ხოლო 2008 წლიდან IRI-ის საქართველოს პროგრამის დირექტორი იყო. როგორ დააღწია თავი ჯარში სამსახურს მომავალმა თავდაცვის მინისტრმა, უცნობი რჩება.

**10 წლის განმავლობაში, 1998-დან 2008 წლამდე, ვიდრე საქართველოში არჩევნები უმოწყალოდ ყალბდებოდა, იგი სხვადასხვა დონის საარჩევნო კამპანიების კონსალტინგსა და მენეჯმენტში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოში, უნგრეთში, ლატვიაში, რუსეთში, თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.** 2009 წლის 6 თებერვალს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად დაინიშნა, ზუსტად 10 თვეში, 7 დეკემბერს, კი — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

**ეს ორი შეუთავსებელი პოსტი, მეციხოვნისა და ნომერ პირველი პედაგოგის, მისთვის ერთნაირად ორგანული აღმოჩნდა, მით უფრო, რომ სკოლებსაც ისევე მართავდა, როგორც ციხეებს, თუმცა განათლების მინისტრად დანიშვნამდე ორი თვით ადრე შაშკინი ამერიკაში თვით სენატორ მაკკეინს სტუმრობდა.** შაშკინის კარიერულ წინსვლაში ექსპერტები სწორედ მაკკეინის უხილავ ხელს ხედავენ. **IRI, რომელშიც შაშკინი 10 წელი წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა, არაერთხელ იყო შემჩნეული სოციოლოგიური კვლევების, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ საეჭვო შედეგების გამოქვეყნებაში.**

ექსპერტი ვაჟა ბერიძე 2009 წელს წერდა: **„IRI-ის კვლევის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, ხოლო ამ ორგანიზაციაში წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მთავრობის წევრი, ახალი დემოკრატიული ტალღის წარმმართველი და ხელმძღვანელი დიმიტრი შაშკინი. ბატონი მაკკეინი საქართველოს მეგობარია, ამავე დროს, იგი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მეგობარია, ბატონი შაშკინი კი — მიხეილ სააკაშვილის მეგობარი და უახლოესი თანამებრძოლი“.**

დღესაც არშემდგარი უმცროსი ლეიტენანტის თავდაცვის მინისტრად გამწესებაში უკანა პლანზე მაკკეინის ჩრდილი მოჩანს. ამერიკელი „ქორი“ 2008 წელსაც აქეზებდა სააკაშვილს და არც ახლა უნდა იყოს შემთხვევითი საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკა საპარლამენტო არჩევნების წინ. მაკკეინის პროტეჟეც, სწორედ რომ დროულად, სწორედ თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებს.

**თავდაცვის მინისტრის პოსტზე შაშკინი საზოგადოებისთვის ავად ცნობილ ბაჩო ახალაიას ცვლის. იმ ბაჩო ახალაიას, რომლის დანიშვნა სააკაშვილს იმავე 2009 წელს მეთიუ ბრაიზას შემცვლელმა — თინა კაიდენაუმ ვერაფრით გადააფიქრებინა.** მაშინ საქართველოს ოპოზიციური სპექტრი იმედოვნებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, უფრო პრინციპულ პოზიციას გამოიჩენდა საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. საუბარი იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — თინა კაიდენაუს პოზიციაზე, რომელიც კავკასიის პრობლემებს კურირებდა. კაიდენაუმ 2009 წლის სექტემბერში ოპოზიციის ლიდერებთან ჩაატარა შეხვედრები. ქართველი ოპოზიციონერები კმაყოფილები დარჩნენ. **„თინა კაიდენაუს ღრმად ესმის საქართველოში მიმდინარე პროცესები, მას შეუძლია სიტუაციის სწორად გაანალიზება და ხედავს, რეალურად რა ხდება ფასადს მიღმა“,** – განაცხადა მაშინ ნინო ბურჯანაძემ. სწორედ მან გაახმაურა, რომ **აშშ და ნატოს წევრი სხვა ქვეყნები აღშფოთებული და შოკირებული იყვნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე ოდიოზური ფიგურის – ბაჩო ახალაიას დანიშვნის გამო.**

**„პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილებით დაგვანახა, რომ მას არმიის გამოყენება მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სურს“,** — განუცხადა ნინო ბურჯანაძემ გაზეთ „რეზონანსს“. როგორც ცნობილია, აგვისტოს ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ „საკადრო კარუსელი“ აამუშავა. მან თავდაცვის მინისტრის პოსტზე 29 წლის ბაჩო ახალაია დანიშნა, რომელსაც „სიკვდილის ესკადრონების“ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაში ადანაშაულებენ. ეს სპეცდანაყოფები, ოპოზიციის მტკიცებით, რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად გამოიყენებოდა. თავად მიხეილ სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ „თავდაცვით უწყებაში მკაცრი ხელია“ საჭირო და არანაირ დათმობებზე არ წავიდა.



**ნიშნავს თუ არა ბაჩო ახალაიას შაშკინით ჩანაცვლება იმას, რომ სააკაშვილი აღარ აპირებს „არმიის გამოყენებას მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის“? იქნებ პირიქით, მას ახლა ყველაზე „მკაცრი ხელი“ სწორედ პოლიციაში სჭირდება? უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ მერაბიშვილმა ოპოზიციის ცალკეული ლიდერების დაპატიმრებაზე უარი თქვა. არჩევნების წინ კი შიშისა და ტერორის დათესვა ახალაიაზე უკეთ, ნაკლებ სავარაუდოა, ვინმემ მოახერხოს. თავად შაშკინი კი საჯაროდ დებს პირობას, რომ „ბაჩო ახალაიას რეფორმებს გააგრძელებს“.**

ამ ორ მინისტრს ერთი რამ უდავოდ აერთიანებს: ორივე სასჯელაღსრულების სისტემას ხელმძღვანელობდა. პატიმრების მდგომარეობა მათი მინისტრობისას უკიდურესად დამძიმდა. ორივემ შეინარჩუნა ეს ტენდენცია შემდგომ პოსტებზე; **შაშკინის ხელში პედაგოგების მდგომარეობა დამძიმდა, ხოლო ახალაიას ხელში — სამხედროების.** თუმცა **არის კიდევ ერთი საერთო შტრიხი მათ ბიოგრაფიაში: ახალაიაც ისე დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, რომ ჯარში არ უმსახურია.** იმ დროს იგი „თავისუფლების ინსტიტუტში“ მსახურობდა.

52-ე რუსულენოვანი სკოლის დამთავრების მიუხედავად, შაშკინი კახა ლომაიაზე უკეთ ფლობს ქართულ ენას. ეს მითუფრო მისასალმებელია, თუ ინტერნეტ-ფორუმზე გამოქვეყნებულ ერთ ინფორმაციას გავეცნობით:

**„ეროვნების მიხედვით არ ვახდენ არავის შეფასებას, მაგრამ ოჯახი და ბიოგრაფია არ არის უინტერესო. შაშკინის დედა — ტანია პოსოხოვა დაიბადა და გაიზარდა თელავში. ვინც თელავს არ იცნობს, ეს არის სუფთა ქართული ქალაქი, რომელშიც ნებისმიერი ეროვნება მეტყველებს ქართულად. პოსოხოვების ოჯახის ყველა წევრმა (ტანიას გარდა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს) ისე დაამთავრა ამქვეყნიური მარათონი, ქართული სიტყვა არ იცოდა არც ერთმა (იყო აქ პრინციპულობის მომენტიც). მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის. იმ უბანში, სადაც ტანია გაიზარდა, ცხოვრობდა მისივე თანატოლი ერთი უპატრონო გოგო — დალი, გვარი არ მახსოვს, რაღაც საკითხზე მოუვიდათ უსიამოვნება და ამ ტანიას მამამ — გავრილა პოსოხოვმა ქუჩაში ისე სცემა ეს უპატრონო დალი, მეზობლებმა ძლივს გამოწიწკნეს ხელიდან. თვითონ ამ შაშკინმა რა დააშავა, მაგრამ იმ ამბის გამო მძულს მთელი ეგ ოჯახი“.**

მართლაც, რა დააშავა შაშკინმა, გავა წლები და ისიც, სხვა ბევრი კონფორმისტივით, იტყვის: „ასეთი დრო იყოო“! ასევე იტყვის ბაჩო ახალაია, ოლეგ მელნიკოვი, კახა ლომაია, სხვები და სხვები...

2010 წელს ჟურნალისტი მადლენა მაჭარაშვილი წერდა: „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა“. ამ პრინციპით განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი საქართველოს მთავარ პროკურატურას წინამორბედი მინისტრების: ლომაიას, ნოდიასა და გვარამიას ფინანსური დარღვევების შესწავლას სთხოვს. **„თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლისა და დირექტორთა ასოციაციის ხელმძღვანელის — თეა თუთბერიძის ინფორმაციით კი, შაშკინს თავად ედება ბრალი სახელმწიფო შესყიდვების დროს ფულის გაფლანგვაში, ტენდერების კანონდარღვევით ჩატარებასა და თანამშრომელთა შტატების ხელოვნურად გაზრდაში“.**

მაშინ ჟურნალისტი ვერ წარმოიდგენდა, რომ განათლების მინისტრი თავდაცვის მინისტრად გადაიქცეოდა, თუმცა პრინციპი „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა“ თავდაცვის სამინისტროშიც ისევე გაჭრის, როგორც განათლებისაში. ყოველ შემთხვევაში, **ახალი თავდაცვის მინისტრი თავდასხმისთვის რომ მუდამ მზადაა, ეს მან ამას წინათ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილის მყისიერი გათავისუფლებითაც დაადასტურა.**

ციხეების მინისტრობიდან განათლების სამინისტროში შაშკინმა თან წაიყოლა საკუთარი მოადგილე – აკაკი სეფერთელაძე, ხოლო მეორე მოადგილის — ლევან ზარანდიას კანდიდატურა მის შემცვლელად განიხილებოდა, მაგრამ ხათუნა კალმახელიძემ მას არა მარტო სავარძელი აართვა, არამედ სამინისტროც დაატოვებინა. 2010 წელს კალმახელიძის მიერ მოხსნილ ლევან ზარანდიას თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ იარაღის იმპორტი ჩააბარა.

**ერთი სიტყვით, მიუხედავად ათასი კარუსელისა, ნაცმოს მინისტრები ერთმანეთში საერთო ენას ყოველთვის მოძებნიან, სამეგობროც საერთო ჰყავთ და ინტერესებიც. მთავარია, ხელისუფლება შეინარჩუნონ, ხოლო ამისთვის ყველა მიშაშკინი ყველაფერზეა წამსვლელი.**

**თამარ დავითულიანი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფაქტია, სააკაშვილი არ ელოდა ივანიშვილის მოსვლას პოლიტიკაში ამ ფორმით და გაქანებით, ვერ განჭვრიტა წინასწარ მთელი რიგი მისი ნაბიჯებისა და სწორედ აქედან დაიწყო „ნაციონალების“ ჩამორჩენა „ბოიდის სპირალზე“ გამართულ დოლში. ვერაფერს ვიზამთ, საკუთარ ფანტაზიებში ცხოვრებისა და ობიექტური ინფორმაციისგან დისტანცირების სურვილმა ზოგადად ასე იცის.**



## აშშ-ის სენატმა «მაგნიტსკის კანონი» მოიწონა

**აშშ-ის სენატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტმა ერთხმად მოიწონა „მაგნიტსკის კანონის“ პროექტი. კანონპროექტს მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკელებმა, ისე დემოკრატებმა. მიმდინარე თვის დასაწყისში კანონპროექტი წარმომადგენლობითი პალატის საერთაშორისო საკითხების კომიტეტმაც მოიწონა.** კანონპროექტი ძალაში შევა ორივე პალატის მიერ მისი მხარდაჭერისა და პრეზიდენტ ობამას მიერ ხელმოწერის შემდეგ. რუსეთის საგარეო უწყება იმედოვნებს, რომ აშშ-ის კონგრესი არ დაუჭერს მხარს კანონპროექტს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ, თუ აშშ მიიღებს „მაგნიტსკის კანონს“, რუსეთი საპასუხო ზომებს მიმართავს.



## ვალენსიაში ხანძარი დასახლებულ პუნქტებს მიუახლოვდა

**ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში ცეცხლი ტყის მასივზე გავრცელდა და უკვე დასახლებულ პუნქტებს მიუახლოვდა.** გავრცელებული ინფორმაციით, მაკასტრედან, კორტეს დე პალლადან, იატოვადან და მონრტოიდან 700-ზე მეტი ოჯახია ევაკუირებული. სტიქიას 20 ვერტმფრენი და ასობით მეხანძრე ებრძვის. ოფიციალური ცნობით, ცეცხლი არასწორად დამონტაჟებულმა მზის პანელებმა გამოიწვია.

# რატომ მარცხდება სააკაშვილი?

**ბოლო დროს ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის: „ნაციონალები“ მარცხდებიან, სააკაშვილის მდგომარეობა რთულდება. ასახავს ეს ფრაზები რეალობას თუ საქმე უსაფუძვლო ფანტაზიებთან გვაქვს? ამ ფართოდ გავცელებულ მოსაზრებებთან დაკავშირებული სიტუაცია აშკარად დაკვირვებას მოითხოვს. ამისთვის ამერიკელი პოლკოვნიკის — ჯონ ბოიდის თეორიას გამოვიყენებ, რომელიც სამხედრო კონფლიქტების მართვისთვის შეიქმნა, შემდგომ კი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დააინტერესა.**



### ბოიდის „დოგმა“ და გამარჯვების ალგორითმი

**ვიდრე სააკაშვილამდე მივალთ, მცირე შესავალი დაგვჭირდება. ის შეიძლება არცთუ სახალისოდ და ოდნავ გადატვირთულად მოგეჩვენოთ, მაგრამ სასურველი მიზნის მისაღწევად ეს აუცილებელია.** მაშ, ასე:

ჯონ რიჩარდ ბოიდი 1927 წელს დაიბადა, სწავლობდა აიოვის და ჯორჯიის უნივერსიტეტებში, 1945-51 წლებში აშშ-ის საჰაერო ძალების მფრინავი იყო, მონაწილეობდა რამდენიმე საჰაერო ბრძოლაში კორეაში. 60-იანების დასაწყისში მათემატიკოს ტომას კრისტისთან ერთად მუშაობდა საჰაერო ბრძოლის თეორიაზე „ენერგია-მანევრულობა“ („ე-მ თეორია“), რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამერიკული თვითმფრინავების — „ფ-15“-ისა და „ფ-16“-ის პროგრამებზე. 1975 წლიდან ის პენტაგონში, სისტემური ანალიზის განყოფილებაში მუშაობდა. მას მიაწერენ ერაყის პირველი ომის სტრატეგიის შემუშვებას; აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ყოფილი სარდლის — ჩარლზ კრულაკის თქმით, „ბოიდი ამ გამარჯვების არქიტექტორი იყო“. ჯონ ბოიდი 1997 წელს გარდაიცვალა.

არსებითად ბოიდმა კლაუზევიცის სტრატეგიის მოდიფიცირება და თანამედროვე რეალიების მიმართ ადაპტირება მოახდინა. მისი თეორია ოთხ ძირითად საყრდენს ეფუძნება: **ჰედელის თეორემას არასრულობის შესახებ, ჰეიზენბერგის განუსაზღვრელობის პრიციპს, თერმოდინამიკის მეორე კანონს და ბუნებრივი გადარჩევის პროცესს,** რომელიც ბოიდმა სოციალურ გარემოს მიუსადაგა. ბოიდი მივიდა დასკვნამდე, რომ **მოქმედება უნდა ხორციელდებოდეს განუწყვეტელ ციკლში იმის გათვალისწინებით, რომ გარემო მუდმივად იცვლება. მისი თეორიის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ციკლი OODA** (Observe- Orient- Decide- Act). თუ ამას ქართულად გადავთარგმნით (დაკვირვება-ორიენტაცია-გადაწყვეტილება-მოქმედება), შედეგად დასამახსოვრებელ აბრევიატუარას — „დოგმ“-ას მივიღებთ. **პენტაგონის მთელ რიგ ოფიციალურ, დოქტრინალური ხასიათის დოკუმენტებში ეს ციკლი განიხილება, როგორც გადაწყვეტილების მიღების ერთიანი ტიპური მოდელი საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების მართვის სისტემებისთვის.**

**დაკვირვება** გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების პროცესია, რომელიც გარე და შიდა (უკუკავშირი) წყაროებიდან მიიღება.

**ორიენტაცია** ყველაზე რთული ეტაპია, რომელიც ორი — „დესტრუქციის“ და „შექმნის“ ქვეეტაპებისგან შედგება. დესტრუქცია გულისხმობს სიტუაციის დაშლას მცირე ფრაგმენტებად, რომელთაგან თითოეული აღსაქმელად უფრო იოლია და მისი გადაწყვეტისთვის სტანდარტული ან მასთან მიახლოებული სცენარი არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ხდება სიტუაციის იდენტიფიცირება იმ პრობლემებთან მიმართებაში, რომელთა გადაჭრა (ან ამის მოდელირება) უკვე მოხდა. როდესაც მოძებნილია გეგმები ყველა ქვეამოცანის გადაწყვეტისთვის, მათგან ერთიანი გეგმის „შექმნის“, აწყობის ეტაპი იწყება. თუ ამ ეტაპზე რეალისტური გეგმის შემუშავება ვერ ხერხდება, ხდება დაბრუნება უკან და გრძელდება პრობლემური სიტუაციის შემდგომი დაშლა მარტივ მამრავლებად.

**გადაწყვეტილება** რამდენიმე გეგმიდან ერთ-ერთის შერჩევა და მისი რეალიზებაა, თუ ვარიანტი ერთია (იდეაში, თავისუფალი არჩევანი სამი ვარიანტიდან იწყება), უბრალოდ, — გადაწყვეტილების მიღება.

**მოქმედება** ციკლის დასკვნითი ეტაპია, გეგმის პრაქტიკული რეალიზებით; მის ბოლოს ჩვენ შეცვლილი სიტუაციის დაკვირვების ეტაპზე გადავდივართ.

**წარმატების მიღწევა ამ მოდელის ფარგლებში ორი გზით (ერთი მეორეს არ გამორიცხავს) შეიძლება: 1) საკუთარი ციკლების უფრო სწრაფი გავლა, რაც მოწინააღმდეგეს იძულებით რეაგირების რეჟიმში აგდებს და, რაც უფრო მეტად ჩამორჩება ის, მით უფრო უახლოვდება სისტემურ კრიზისს; 2) საკუთარი გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლება და მოწინააღმდეგისთვის ამ კუთხით პრობლემების შექმნა.**

საუბარი ბოიდის თეორიასა და „დოგმ“-ის თითოეულ ეტაპზე ძალიან დიდხანს შეიძლება, თუმცა, ალბათ, დროა, დავუბრუნდეთ მიხეილ სააკაშვილსა და მის პარტიას და განვიხილოთ მათი ბოლოდროინდელი მოქმედება „ბოიდის ციკლთან“ მიმართებაში.

### თვალდახუჭული და გზააბნეული

პრობლემები სააკაშვილის ხელისუფლებას „დოგმ“-ის პირველსავე, „დაკვირვების“ ეტაპზე ექმნება. მიუხედავად იმისა, რომ ის თითქოს სრულად აკონტროლებს სახელისუფლო სტრუქტურებს, რომელთაც, პრინციპში, ძალიან მასშტაბური მონიტორინგის წარმოება შეუძლიათ, **წლების განმავლობაში ხდებოდა ინფორმაციის დამახინჯება, მისი მისადაგება სამყაროს იმ სურათის მიმართ, რომლის ხილვა მიხეილ სააკაშვილს სურდა, უხეშად რომ ვთქვათ, სააკაშვილამდე ცუდი ამბების მიტანას ერიდებოდნენ.**

ამიტომ, **როდესაც სისტემა** (უფრო ზუსტად კი მისი „საცეცები“, რომელთაც ინფორმაციის შეგროვება და პირველადი ანალიზი ევალებათ) **დგებოდა არჩევანის წინაშე: შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა მოახლოებული კრიზისის ნიშნად თუ უფრო არხეინი ინტერპრეტაცია მისცეს ან სულაც მიაჩუმათოს,** ▶

**ბოიდი მივიდა დასკვნამდე, რომ მოქმედება უნდა ხორციელდებოდეს განუწყვეტელ ციკლში იმის გათვალისწინებით, რომ გარემო მუდმივად იცვლება**

## ირანულ ნავთობზე ემბარგო ამოქმედდა

**1 ივლისს ძალაში შევიდა ევროკავშირის სანქციები ირანული ნავთობის იმპორტზე. ემბარგოს შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ევროკავშირის წევრი-ქვეყნების წარმომადგენლების მიერ ჯერ კიდევ 23 იანვარს, მაგრამ მისი ძალაში შესვლა გადაიდო, რათა საბერძნეთს, ესპანეთსა და იტალიას ნავთობის ალტერნატიული წყაროები მოეძებნათ.** სანქციების დაწესების მიზეზი გახდა ბირთვული პროგრამა, რომელშიც დასავლეთის ქვეყნები ხედავენ ბირთვული იარაღის შექმნის საფრთხეს და არა მისი მშვიდობიანი გამოყენების პერსპექტივას. ემბარგოს შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას, ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სამხრეთ კორეაც შეუერთდა. შეგახსენებთ, 19 თებერვალს ირანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ აპირებს სანქციების ლოდინს და საკუთარი ინიციატივით შეუწყვეტს ნავთობის მიწოდებას ბრიტანულ და ფრანგულ კომპანიებს. თებერვლის ბოლოს ირანმა უარი უთხრა საბერძნეთს 500 ტონა ნავთობზე და მის წასაღებად ირანში ჩასული ტანკერები სამშობლოში ცარიელი დაბრუნდნენ.



**ბიძინა ივანიშვილმა უკვე აჩვენა, რომ „ასი ბრძოლის გზაზე“ მას წარმატების მიღწევა შეუძლია, მაგრამ შეძლებს თუ არა ის, „სუნ ძის მწვერვალი“ დაიპყროს და მოიპოვოს გამარჯვება სააკაშვილთან დაპირისპირებაში ისე, რომ ქვეყანას ყოვლისმომცველი, საბედისწერო კონფრონტაცია აარიდოს? პასუხს ამ კითხვაზე არცთუ შორეულ მომავალში მივიღებთ.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ის მეორე ვარიანტისკენ იხრებოდა. ამ მიდგომის შედეგია ის, რომ **დღეს გადაწყვეტილების მიმღებნი** (სააკაშვილი და მისი გარემოცვა) **სიტუაციას თითქოსდა მრუდე სარკეში ხედავენ, რაც სწორი არჩევანის გაკეთებას მეტად ურთულებს.**

ახალი ამაში არაფერია, ეს გზა არაერთმა ავტორიტარმა, განსაკუთრებით კი მენტალურად არამდგრადმა მმართველმა, გაიარა.

მართალია, ზოგიერთი მაღალჩინოსანი ცდილობს, ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას ფლობდეს, მაგრამ, როდესაც ის სააკაშვილამდე მიაქვთ, „მრუდე სარკის ეფექტი“ მაინც მოქმედებს. სწორედ აქედან მოდის ის შოკი, თანმდევი პანიკით, რომელშიც ხელისუფლება (და, უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილი) ვარდება, როდესაც რაღაც მოულოდნელს ეჯახება. არადა, ეფექტური, „ნორმალური“ ხელისუფლებისთვის 99% შემთხვევაში, შიდაპოლიტიკურ სფეროში არაფერი მოულოდნელი არ უნდა ხდებოდეს, რადგან სახელმწიფო სტრუქტურების რესურსები, რომელთაც მმართველი პარტია თავისი მიზნებისთვის იყენებს, საფრთხის საწყის ეტაპზე ამოცნობის, მის შესახებ პრაქტიკულად ამომწურავი ინფორმაციის მუდმივი მოპოვების შესაძლებლობას იძლევიან. **ფაქტია, სააკაშვილი არ ელოდა ივანიშვილის მოსვლას პოლიტიკაში ამ ფორმით და გაქანებით, ვერ განჭვრიტა წინასწარ მთელი რიგი მისი ნაბიჯებისა და სწორედ აქედან დაიწყო „ნაციონალების“ ჩამორჩენა „ბოიდის სპირალზე“ გამართულ დოღში. ვერაფერს ვიზამთ, საკუთარ ფანტაზიებში ცხოვრებისა და ობიექტური ინფორმაციისგან დისტანცირების სურვილმა ზოგადად ასე იცის.**

რაც უნდა გაეკეთებია ხელისუფლებას ბოლო თვეებში, სრულიად ველური იქნებოდა ეს თუ შედარებით გონივრული, არსებითად მისი ნაბიჯები იქნებოდა რეაქცია ივანიშვილის მოქმედებაზე და ეს მთლიანობაში ინიციატივის დაკარგვის შთამბეჭდავ სურათს შექმნიდა. რამდენი თეფში დაამონტაჟა „გლობალტივიმ“, ვიდრე ხელისუფლებამ საკუთარი ტაქტიკა შეიმუშავა (რამდენად უღირდა „თეფშებთან ბრძოლა“ საერთოდ, ცალკე საკითხია), თანაც ისეთი, რომ ყველაზე ოდიოზური დიქტატურების თანამოაზრედ წარმოჩინდა, „მასტ ქერის“ პრინციპი დათმო და ირიბად გააღვივა საზოგადოების ინტერესი „მეცხრე არხის“ მიმართ? რამდენი წარმატებული, რეზონანსული შეხვედრა ჩაატარა ივანიშვილმა სოფლებში, ვიდრე ხელისუფლებამ მოამზადა „სპეცოპერაცია“ სოფელ მერეთში, რომელმაც თავისი ბარბაროსული იდიოტიზმით შინ თუ გარეთ ყველა გააოგნა? **ხელისუფლებამ დახარჯა ასობით ადამიანის სამუშაო დრო, ნერვები და** (სხვათა შორის, ჩვენი ჯიბიდან დაფინანსებული, სახელმწიფო) **რესურსები იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ აქციაზე ამა თუ იმ რეგიონში რამდენიმე ათასით ნაკლები ადამიანი მისულიყო.** შედეგი: დახარჯული დრო, დაწყვეტილი ნერვები, შელახული იმიჯი და საყოველთაო რეაქცია **„ნახე რამდენნი შეიკრიბნენ, არ შეუშინდნენ“.**



# ხელისუფლებამ მოამზადა «სპეცოპერაცია» სოფელ მერეთში, რომელმაც თავისი ბარბაროსული იდიოტიზმით შინ თუ გარეთ ყველა გააოგნა

დროის დეფიციტმა, ჩამორჩენამ, არასაკმარისმა ინტელექტუალურმა რესურსმა „ორიენტაცია-გადაწყვეტილების“ ეტაპებზე ხელისუფლება მიიყვანა შაბლონამდე **„დათრგუნვა ნებისმიერ ფასად, ნებისმიერ სიტუაციაში“,** რაც თავისთავად სტრატეგიულ მარცხზე მიუთითებს. **საინტერესოა, ვის მოუნდება საქმის დაჭერა პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც დათრგუნვის გარდა არაფრის შემოთავაზება შეუძლია?**

დღესდღეობით მმართველი პარტიის სხვა, პოზიტიური გზავნილები დაიკარგა. მან საკუთარი კამპანიის საჭე ხელიდან გაუშვა, მხოლოდ ივანიშვილის მოქმედებაზე ძალისმიერი რეაგირებით დაკავდა და, რაც უფრო შორს მიდიოდა, სულ უფრო ირგებდა **„გაგიჟებული დიქტატურის“** იმიჯს, სწორედ ისე, როგორც ეს მოწინააღმდეგეს ჰქონდა ჩაფიქრებული.

**დღევანდელი, ცუდად შენიღბული საუბრები ივანიშვილის შესაძლო დაპატიმრებაზე, დეპორტაციაზე ან სულაც ლიკვიდაციაზე სინამდვილეში სასოწარკვეთილების ნიშანია.** ეს, სავარაუდოდ, იმის გაცნობიერებიდან მოდის, რომ **მეტ-ნაკლებად პატიოსანი** (თუნდაც ქართული საზომით) **კონკურენციის პირობებში ხელისუფლება უიმედოდ მარცხდება.**

ძალიან მოუქნელი სცენარების შემუშავება „ორიენტაციის“ და შერჩევა „გადაწყვეტილების“ ეტაპებზე ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ **სააკაშვილის ბანაკში საქმე არა შემოქმედებით პროცესთან, არამედ საშტაბო მუშაობის იმიტაციასთან გვაქვს.** ასევე შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ **გადაწყვეტილების მიმღებთა წრეში, ზოგიერთი პირი პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობს ან ორმაგი თამაში დაიწყო, ხოლო თავად სააკაშვილი რეალობას დაშორდა.** ბოლო საკადრო გადაადგილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სხვა ფაქტორებთან ერთად, სავარაუდოდ, იმის საბოლოო გააზრებამ შეასრულა, რომ **სისტემა ცუდად მუშაობს და მმართველი პარტია სრული კრახისკენ მიექანება.**

## ასი გამარჯვების ფასი

**თავის თეორიაში ჯონ ბოიდი ომს სამ ელემენტად ჰყოფდა.** იმავეს გაკეთება პოლიტიკურ (ან ბიზნეს) კონფლიქტთან დაკავშირებითაც შეიძლება.

**მორალური ომი:** მოწინააღმდეგის გამარჯვების მიღწევაზე მიმართული ნების გატეხვა, არსებული ან პოტენციური მოკავშირეებისგან იზოლირების გზით და მის რიგებში რღვევის ხელშეყობით.

**მენტალური ომი:** მოწინააღმდეგის მიერ რეალობის აღქმის დეფორმირება და დამახინჯება დეზინფორმაციისა და სიტუციაზე არასწორი წარმოდგენის შექმნის გზით.

**ფიზიკური ომი:** მოწინააღმდეგის ფიზიკური რესურსების განადგურება (სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ეს შეიარაღების, ცოცხალი ძალის, ინფრასტრუქტურის და ა. შ. განადგურებას გულისხმობს, პოლიტიკასთან მიმართებაში კი საუბარი მოწინააღმდეგის რესურსების, მისი მხარდამჭერების რაოდენობის შემცირების არალეტალურ, „სამოქალაქო“ მეთოდებს ეხება).

ბრძოლა სამივე მიმართულებით მიდის, თუმცა აშკარაა, რომ **ყველაზე დიდი პრობლემა სააკაშვილს მეორე, მენტალურ ასპექტში აქვს.** ჩვენ უკვე შევეხეთ იმას, თუ რა დამართა მან საკუთარ ხელისუფლებას, სიტუაციის ადეკვატური შეფასების თვალსაზრისით, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ **ივანიშვილი მუდამ სთავაზობს მას ცრუ სამიზნეებს, სააკაშვილი „ვარდება“, უტევს მათ, ყალბი დილემების წინაშე დგება, შორდება რეალობის ობიექტურ აღქმას და დროსაც კარგავს.** დროის ეს ფლანგვა განაპირობებს სულ უფრო დიდ ჩამორჩენას „ბოიდის სპირალზე“, რომელიც ცალკეული ციკლებისგან შედგება. ამასთანავე, **მმართველი პარტია პრაქტიკულად ყოველთვის მიდის იმ მიმართულებით, საითაც ოპონენტს სურს და ხდება, სამხედროების ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, „სამიზნე, რომელიც მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობს“, ხოლო, თუ ვითარებას მარტივი ენით აღვწერთ, „ვირი, რომელიც ცხვირწინ ჩამოკიდებულ სტაფილოს მისდევს“.**

**ბევრი რამ სააკაშვილმა, შესაძლოა, საერთოდ ვერ შეამჩნია, მაგალითად, თუ როგორ ათამაშეს ის ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხში, როგორ გახადეს, მისი უშუალო თანამონაწილეობით, კითხვა „გააყალბებს თუ არა?“ ცენტრალურად მომავალ არჩევნებში და პოტენციური დამნაშავის მანტია მოარგეს, როგორ სწრაფად დააგლეჯინეს საკუთარი ხელით „დემოკრატიის შუქურის“ იმიჯის ნარჩენები და ა.შ.**

ბოიდის თეორია იყო უბადლო (მაგრამ არა უნაკლო, რაც „მეორე ერაყსა“ და ავღანეთში დადასტურდა) მცდელობა, დაძლეულიყო კონცეპტუალური ჩიხი, რომელშიც ამერიკელი (და არა მხოლოდ) სამხედროები XX საუკუნის ბოლოს შევიდნენ. საბოლოოდ, მათ გაიაზრეს, რომ „სუნ ძის მწვერვალი“ კლაუზევიცის და ბოიდის სტრატეგიებზე გაცილებით მაღალია: **„ას ბრძოლაში ასი გამარჯვების მოპოვება უპირატესობის მწვერვალი არაა. მოწინააღმდეგის არმიის დამორჩილება ბრძოლის გარეშე — აი ესაა უპირატესობის ჭეშმარიტი მწვერვალი“.**

**ბიძინა ივანიშვილმა უკვე აჩვენა, რომ „ასი ბრძოლის გზაზე“ მას წარმატების მიღწევა შეუძლია, მაგრამ შეძლებს თუ არა ის, „სუნ ძის მწვერვალი“ დაიპყროს და მოიპოვოს გამარჯვება სააკაშვილთან დაპირისპირებაში ისე, რომ ქვეყანას ყოვლისმომცველი, საბედისწერო კონფრონტაცია აარიდოს?**

პასუხს ამ კითხვაზე არცთუ შორეულ მომავალში მივიღებთ.

**დიმიტრი მონიავა**

## მექსიკაში ოპოზიციონერი კანდიდატი იმარჯვებს

**მექსიკაში საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერი კანდიდატი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიიდან — ენრიკე პენია ნიეტო იმარჯვებს. აღნიშნული ინფორაცია არჩევნების წინასწარ შედეგებზე დაყრდნობით ვრცელდება.** 45 წლის ნიეტომ ამ დროისათვის ამომრჩეველთა ხმების 38 პროცენტი მიიღო და 7 პროცენტით გაუსწრო თავის მთავარ კონკურენტ ანდერს მანუელ ლოპეს ობრადორს. ,,ჩემი მთავარი ამოცანა სიღარიბესთან ბრძოლა, ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორება და ნარკომანიასთან ბრძოლა იქნება“, — აღნიშნა ენრიკე პენიამ. ენრიკე პენიას მთავარი კონკურენტი მეხიკოს ყოფილი მერი, 58 წლის ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორი იყო, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. წინასწარი მონაცემებით, მან ამომრჩეველთა ხმების 31 პროცენტი მიიღო.



## აშშ-ის აღმოსავლეთ შტატებში საგანგებო მდგომარეობაა

**აშშ-ის ოთხ შტატში — მერილინდში, დასავლეთ ვირჯინიაში, ოჰაიოსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.** აღმოსავლეთ სანაპიროზე ძლიერ ქარიშხალს 13 ადამიანი ემსხვერპლა. ქარიშხალმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები. ქარიშხალს ძლიერი სიცხეებიც დაემატა, რაც ელექტრენერგიის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის გაუსაძლის პირობებს ქმნის. ენერგეტიკოსები აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას ერთ კვირაზე მეტი დასჭირდება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შიშობენ, რომ კონდენცირების სისტემის არ არსებობამ შეიძლება უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდოს მოხუცები, ბავშვები და ავადმყოფები. დასავლეთ ვირჯინიის გუბერნატორის — ბობ მაკდონელის განცხადებით, ვითარება უმძიმესია. მაღალია ახალი ბუნებრივი კატაკლიზმების რისკიც.

მოკლედ

## თეთრი სახლი ირანს მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს

**თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის — ჯეი ქერნის განცხადებით, ირანს რეალური შესაძლებლობა აქვს, დაიწყოს მოლაპარაკებები ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.** თეირანმა უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნების შესასრულებლად. თეთრი სახლის წარმომადგენელი მიესალმა ევროკავშირის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ირანულ ნავთობზე ევროკავშირის ქვეყნებისთვის ემბარგო დაწესდა. მისი თქმით, მოლაპარაკებების დაწყება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მშვიდობიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

## კენიაში ქრისტიანული ეკლესიები ააფეთქეს

**კენიაში, ქალაქ გარისაში ორ ქრისტიანულ ეკლესიაში აფეთქებები მოხდა, რასაც 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აფეთქებების შედეგად 47 ადამიანი დაშავდა.** თვითმხილველების განცხადებით, უცნობმა ნიღბიანმა პირებმა ეკლესიებში ყუმბარები შეაგდეს და იმ მორწმუნეების მიმართულებით, რომლებიც საკვირაო წირვას ესწრებოდნენ, ცეცხლი გახსნეს. დაშავებულთაგან ზოგიერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. დაღუპულთა შორის ორი პოლიციელია. ქალაქი გარისა სომალის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

პოლიტიკა

ქვეყნიერება და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მილიონ 300-ათასიან ამერიკულ ჯარში თერთმეტი ლეგიონი ზუსტად 5 პროცენტს შეადგენს. თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ დაიცვა საზოგადოებაში არსებულ ჰომოსექსუალთა რაოდენობა; იგი 3-დან 5 პროცენტამდე მერყეობს. შეგრძნება კი ზუსტად ისეთია, თითქოს ყველაფერი პირიქითაა. უმცირესობა უმრავლესობას აიძულებს, მისი ცხოვრების წესი აღიაროს და არამცთუ არ დაგმოს, არამედ შეაქოს და მოუწონოს. დავით აღმაშენებელს 40 ათასი ქართველი ჰყავდა დიდგორზე. 5 პროცენტის პრინციპს თუ მივყვებით, სულ ცოტა, 2 ათასი გეი მაინც უნდა მიეღო ლაშქარში. ვის დარჩებოდა დიდგორი, ამას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება.**

# ლეგიონია სახელი მათი

1. გავიდნენ ზღვის გაღმა და მიადგნენ გერასენელთა მხარეს.
2. ნავიდან გადმოსვლისთანავე სამარხებიდან შემოეგება უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი,
3. რომელსაც სამყოფლად სამარხები ჰქონდა და ჯაჭვითაც არავის შეეძლო მისი დაბმა,
4. ვინაიდან მრავალგზის შეეკრათ ჯაჭვით და ბორკილებიც დაედოთ, მაგრამ გლეჯდა ჯაჭვს, ამსხვრევდა ბორკილებს და ვერავის დაეოკებინა იგი.
5. დღე და ღამ მთებსა და სამარხებში დაძრწოდა, ღრიალებდა და ქვებს ახეთქებდა თავს.
6. შორიდან რომ მოჰკრა თვალი იესოს, გამოიქცა და თაყვანი სცა მას.
7. შეღაღადა და შესძახა: რა ხელი გაქვს ჩემთან, იესო, ძეო მაღალი ღმრთისაო: გაფიცებ შენს ღმერთს, ნუ მტანჯავ მე!
8. რადგანაც იესომ უთხრა: გამოდი, სულო უწმინდურო, მაგ კაცისაგან!
9. და ჰკითხა მას: რა გქვია სახელად? ხოლო მან მიუგო: ლეგიონია ჩემი სახელი, ვინაიდან მრავალნი ვართ.

*(მარკოზის სახარება, თავი მეხუთე).*

## ამერიკულ შეიარაღებულ ძალებში 66 ათასი გეი და ლესბოსელი მსახურობს



**რომაულ ლეგიონში 6 ათასი ჯარისკაცი იყო. თანამედროვე ამერიკულ შეიარაღებულ ძალებში 66 ათასი გეი და ლესბოსელი მსახურობს — თერთმეტი რომაული ლეგიონი! და ეს ლეგიონები მსოფლიოში სულ უფრო მრავლდება.**
**ავსტრალიის მთავარსარდალი ამაყობს არატრადიციული ორიენტაციის ჯარისკაცებით, მაგრამ მათი რაოდენობის სიმცირით უკმაყოფილოა. გენერალ დევიდ მორისონის მოწოდებაა, რაც შეიძლება მეტი ქალი, სექსუალური უმცირესობისა და მცირე ხალხების წარმომადგენელი გაიწვიონ ჯარში; მაშინ ავსტრალიური არმია უფრო შესაფერისი იქნება იმ ქვეყნისა, რომელსაც წარმოადგენს. ქალებსა და უმცირესობებს თავი დავანებოთ, მაგრამ ის ხალხები „მცირენი“ სწორედ მათი — თეთრი ბრიტანელების წყალობით რომ გახდნენ, ამაზე დღევანდელი „ბრიტანული თანამეგობრობის“ წევრი ქვეყნის მთავარსარდალი მორცხვად დუმს.**

ბრიტანეთში აღფრთოვანება გამოიწვია ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებამ. პირველი ჰომოსექსუალური წყვილი სერ ელტონ ჯონი და დევიდ ფერნიში იყვნენ. 2006 წელს კი პროგრესმა არმიაშიც შეაბიჯა და კონსერვატიულმა ბრიტანეთმა ორი ნორჩი ლესბოსელი ჯარისკაცის შეუღლების შესახებ შეიტყო. 19 წლის სონია გოლდისა და 18 წლის ვანესა ჰეიდოკის ქორწინების ცერემონიალზე მათი მშობლები და ნათესავები შეიკრიბნენ.

10 წელი დასჭირდა ბრიტანულ არმიას უმცირესობათა სამხედრო სამსახურში მიღებიდან (2000 წელს) ჟურნალ Soldier-ის გარეკანზე პირველი გეის ფოტოს გამოქვეყნებამდე. 22 წლის ჯეიმს ვარტონი სამეფო ცხენოსან გვარდიაში მსახურობს.

**უინსტონ ჩერჩილის დროს სექსუალურ უმცირესობათა მიმართ ჯერ კიდევ არ იყო დღევანდელი ტოლერანტობა და მანაც, ყოველგვარი შიშისა და სიფრთხილის გარეშე, ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ძალები სამი სიტყვით დაახასიათა: „რომი, პედერასტია და მათრახი“.**

მაშინ არც სიტყვა „პედერასტია“ იყო აკრძალული და არც „ცივი ომის“ წამომწყები პრემიერ-მინისტრი უკმევდა გუნდრუკს ერთსქესიან წყვილებს. ბედის ირონიით, უინსტონ ჩერჩილი წარმოშობით იყო ლორდი, ხოლო ზემოთ ხსენებულმა ელტონ ჯონმა ეს წოდება დედოფლისგან „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ მიიღო. **კიდევ ერთი ლორდი – შონ კონორი, ჯეიმს ბონდის როლის უბადლო შემსრულებელი, იმ დროს ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ლეგენდარული „მი 5“ – ბრიტანული დაზვერვა გეებით გაივსებოდა. დღეს იქ 100 გეი მსახურობს. „მი 5“-მა ამგვარი ტოლერანტობით სექსუალურ უმცირესობათა მიმართ კეთილგანწყობილი დამსაქმებლების ასეულში 62-ე ადგილი მოიპოვა და ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოც კი ჩამოიტოვა უკან.**

გეების მოძალებას, დედოფლისგან განსხვავებით, ბრიტანული არმია და ფლოტი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. პირიქით, გაზეთ Times-ს ხელში ჩაუვარდა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფს, რომ ჰომოსექსუალებისთვის სამხედრო სამსახურის აკრძალვაზე უარის თქმის შემდეგ უფროსი სპეციალისტები, უორენტ-ოფიცრები და სერჟანტები მასობრივად ტოვებენ ჯარს. **„ბრიტანელ მამაკაცებს არ უყვართ შხაპის მიღება კაცებთან, რომელთაც უყვართ მამაკაცებთან ერთად დუშის ქვეშ დგომა“,** — აცხადებდნენ ისინი. მათ იმდენად არ სურთ არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლების წინაშე გაშიშვლება, რომ მათთვის ცალკე საშხაპისა და ტუალეტის მოწყობა მოითხოვეს. **სამხედროთა ოჯახის წევრებს კი ის აწუხებთ, რომ ერთსქესიან წყვილებს საოჯახო საცხოვრებლებში მიუჩენენ ბინას და ეს მათ შვილებზე მავნე ზეგავლენას მოახდენს.** სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ **2000 წელს ბრიტანულ ჯარში ჰომოსექსუალების სამსახურის აკრძალვა მას შემდეგ მოიხსნა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს აკრძალვა მოქალაქის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად შეაფასა.**

ბრიტანული საზოგადოება სულაც არ არის ამ საკითხში ერთსულოვანი. ყოფილი სამხედრო, ამჟამად კი Daily Telegraph-ის თანარედაქტორი **საიმონ ჰეფერი** წერს: **„თუ ომი მოგვიწია, მხოლოდ ღმერთის იმედი უნდა გვქონდეს“.** მემარჯვენე კონსერვატიული ანალიტიკური ცენტრის გამოცემის — Not Fit to Fight წარმომადგენელი **ჯერალდ ფროსტი**: **„ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს არა უცხოეთის სახელმწიფოები, არამედ შიდა მტერი უქმნის საფრთხეს“.** სამხედრო დაზვერვის ყოფილი შეფი, სამხედრო საჰაერო ძალების გადამდგარი უმაღლესი მარშალი სერ **მაიკლ ერმიტეიჯი**: **„თუ ჰომოსექსუალისტებს კარს გავუღებთ, პოლარიზაცია მოხდება, ოსტრაკიზმი გამეფდება“.** ბრიტანეთის ჩრდილოვანი კაბინეტის თავდაცვის მინისტრი **იენ დუნკან სმიტი**: **„სამხედროებს ყური უნდა მივუგდოთ. ისინი მუდამ იმეორებენ, რომ აკრძალვის მოხსნა ოპერატიულ ეფექტიანობაზე ცუდად იმოქმედებს“.**

ამ „ოპერატიულ ეფექტიანობაზე“ ერთმა ინკოგნიტო **ამერიკელმა გენერალმა იხუმრა, რომ ჰომოსექსუალთან ერთად შეტევაზე ვერ წავიდოდა: „წინ ვუყურო მტერს, თუ უკან თანამებრძოლს...“?**

ბრიტანელები კარგა ხანს დასცინოდნენ ამერიკელებს და „აღშფოთებას ვერ მალავდნენ“ იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ღიად ვერ გამოხატავდნენ საკუთარ ორიენტაციას. **„ნუ ჰკითხავ, ნუ უპასუხებ“** — ეს პრინციპი ბოლო დრომდე მოქმედებდა ამერიკულ ჯარში. **2010 წელს გეებსა და ლესბოსელებს საკუთარი ორიენტაციის ღიად გამოხატვის უფლება მიენიჭათ.**

**პენტაგონის ისტორიაში პირველად, 2012 წლის 27 ივნისს, არატრადიციული ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეთა საპატივცემულოდ ღონისძიება გაიმართა.** 400-მდე დამსწრეს პრეზიდენტ ობამასა და თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტას ვიდეო მიმართვები გააცნეს, თუმცა შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ღონისძიებას პენტაგონის მაღალჩინოსნები არ დაესწრნენ. მათ მხოლოდ სამინისტროს იურისკონსულტმა ჯეი ჯონსონმა მიმართა. **სამხედრო ხელმძღვანელობა სულაც არ იყო აღფრთოვანებული ამგვარი ღონისძიების გამართვით პენტაგონის კედლებში.** ერთ-ერთმა დამსწრემ ჟურნალისტებს უთხრა: **„ეს მდუმარე პროტესტს ჰგავს“.**

ნატოს იტალიელმა სარდალმა **მაურო დელ ვეკიომ** ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: **„ისეთ სტრუქტურაში, როგორიც არის არმია, და სადაც მოქმედება ყოველთვის ერთობლივი და შეთანხმებული უნდა იყოს, ღიად გამოხატული ჰომოსექსუალიზმი მიუღებელია. გეები ჯარისთვის შეუფერებელნი არიან“.** იტალიაში გეებს ჯარში არ იწვევენ, არც საბერძნეთსა და თურქეთში. ერთსულოვნება ამ საკითხში არც ნატოს წევრ ქვეყნებს შორისაა. ყველაზე შემწყნარებელი ნიდერლანდები, დანია და ნორვეგია არიან, თუმცა ამ ქვეყნებს თავადაც აღარ ახსოვთ, როდის იომეს უკანასკნელად. საფრანგეთი და ბელგია არ კრძალავენ ჰომოსექსუალთა სამსახურს ჯარში, მაგრამ არც რაიმე გარანტიებს ანიჭებენ მათ.

ჰომოსექსუალთა უმცირესობის მიუხედავად, თვალშისაცემია, რომ მათ მოახერხეს იმგვარი ატმოსფეროს დანერგვა, როცა პოლიტიკაში მყოფი პირები სიკვდილივით უფრთხიან მათზე აუგის თქმას ან თუნდაც იმის მტკიცებას, რომ მათთვის ეს „კულტურა“ მიუღებელია. კულტურას რა უჭირს, მაგრამ **66 ათასი სამხედრო ჰომოსექსუალის პატრონი ამერიკელები ავღანეთში „ნატურალი“ ქართველების გაგზავნისთვის მადლობას საქართველოს ხელისუფლებას უხდიან. ფასიც სხვადასხვა აქვს ამერიკელი ჰომოსექსუალისა და ქართველი „ნატურალის“ სიცოცხლესა და სიკვდილს.**

მილიონ 300-ათასიან ამერიკულ ჯარში თერთმეტი ლეგიონი ზუსტად 5 პროცენტს შეადგენს. თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ დაიცვა საზოგადოებაში არსებულ ჰომოსექსუალთა რაოდენობა; იგი 3-დან 5 პროცენტამდე მერყეობს. შეგრძნება კი ზუსტად ისეთია, თითქოს ყველაფერი პირიქითაა. უმცირესობა უმრავლესობას აიძულებს, მისი ცხოვრების წესი აღიაროს და არამცთუ არ დაგმოს, არამედ შეაქოს და მოუწონოს.

**დავით აღმაშენებელს 40 ათასი ქართველი ჰყავდა დიდგორზე. 5 პროცენტის პრინციპს თუ მივყვებით, სულ ცოტა, 2 ათასი გეი მაინც უნდა მიეღო ლაშქარში. ვის დარჩებოდა დიდგორი, ამას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება.**

**თამარ დავითულიანი**

10. და ბევრი ევედრა, რათა იქიდან არ გაეძევებინა ისინი.
11. იქვე, მთის ფერდობზე ბალახობდა ღორების დიდი კოლტი.
12. უწმინდურებმა მუდარით უთხრეს მას: გაგვგზავნე ღორებში, რომ მათში შევიდეთო.
13. მაშინ ნება დართო იესომ და გამოვიდნენ უწმინდური სულნი, ღორებში შევიდნენ, და მთელი კოლტი, ორი ათასამდე სული, ზღვის კბოდეს მიაწყდა და წყალში ჩაიხრჩო.
14. ხოლო მეღორეები გაიქცნენ და ქალაქსა და სოფლებს მოსდეს ეს ამბავი. და გამოვიდა ხალხი, რათა თავისი თვალით ეხილა, რაც მოხდა“.

*(მარკოზის სახარება, თავი მეხუთე).*

**ბოლო 20 წელიწადია, საქართველო ზოგადად დასავლეთთან და კონკრეტულად აშშ-თან პოლიტიკურ „პრეფერანსს“ თამაშობს ჯენტლმენური წესების სრული დაცვით. სანაცვლოდ კი ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ჯენტლმენურ თამაშში რაც „არ მოსულა“, მაინც ბლეფობენ, ანუ „ამერიკულად გვეხმარებიან“...**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბასტა, მისტერ ბას!

**ვისაც ბანქოსთან სამოყვარულო შეხება მაინც ჰქონია, ეცოდინება, რომ „ამერიკული დახმარება“ პოპულარული თამაშის — „პრეფერანსის“ ტერმინია, რომლის შინაარსი ის არის, რომ, ამ თამაშში თუ „ამერიკული დახმარება“ დაგჭირდა, ე. ი. პარტია წაგებული გაქვს, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ ბანქოს მაგიდასთან მჯდომი 2-3 მოთამაშე რიგ-რიგობით „გეხმარებიან“ — შენ „პულკაში“ ორ ქულას ჩაგიწერენ, საკუთარ ჯიბეში ათჯერ მეტი „ვისტის“ სანაცვლოდ. დიახაც, პირდაპირ ჯიბეში, რადგან „ვისტი“ „პრეფერანსში“ სუფთა მოგების ერთეულია, ბაბაია...**

ეს თამაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ძირითადად, ე.წ. სამხედრო არისტოკრატიაში იყო პოპულარული და, სხვა თამაშებისგან განსხვავებით, „პრეფერანსში“ „ბლეფი“, როგორც იტყვიან, „არ მოსულა“ და ამიტომაც ჯენტლმენურ თამაშადაც იყო მიჩნეული, რითაც ღამ-ღამობით ერთობოდნენ ნაპოლეონთან მეომარი რუსი თუ სამოქალაქო ომის მონაწილე ამერიკელი ოფიცრები...

ეს მცირე შესავალი იმის საილუსტრაციოდ, თუ რატომ დაურქმევიათ იმ ტერმინისთვის „ამერიკული დახმარება“ და არა, ვთქვათ, ბანგლადეშური, ანუ იმ შორეულ დროსაც საყოველთაოდ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩანასახობრივ ეტაპზე არსებული ამერიკის სახელმწიფოს მტაცებლურ-მერკანტილური ბუნება.

**ბოლო 20 წელიწადია, საქართველო ზოგადად დასავლეთთან და კონკრეტულად აშშ-თან პოლიტიკურ „პრეფერანსს“ თამაშობს ჯენტლმენური წესების სრული დაცვით. სანაცვლოდ კი ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ჯენტლმენურ თამაშში რაც „არ მოსულა“, მაინც ბლეფობენ, ანუ „ამერიკულად გვეხმარებიან“...**

ამ „დახმარების“ შედეგია დაკარგული ტერიტორიები, წარყვნილი ზნეობა და აქედან გამომდინარე — ეროვნული თვითშეგნების მეტ-ნაკლები დეფიციტი, მართლმადიდებლობის, როგორც ამ ყველაფრის საფუძველთა საფუძვლის დაკნინების ნაწილობრივ წარმატებული მცდელობა.

ახლა იმაზე, თუ რა გახდა წინამდებარე წერილის მთავარი საბაბი:

**„საქართველოში, საკმაოდ დიდი ხანია, ვიმყოფები იმისთვის, რომ შემეძლო დამენახა, ხშირად ძალიან რთულია ფაქტებსა და შეხედულებებს შორის განსხვავების აღმოჩენა“...**

აი, „ობოლი მარგალიტი“ მისტერ ჯონ ბასის ვრცელი აბდაუბდა პასუხიდან სრულიად მკაფიო შეკითხვაზე, რომელიც ოპოზიციაზე ზეწოლის, მერეთში ცემა-ტყეპის, ანტენების დაპატიმრების, ბიძინა ივანიშვილის ქონების დაყადაღებისა თუ აბსურდული ჯარიმების და ა. შ. სხვა კონკრეტულ ფაქტებს შეეხებოდა.

პოლიტიკური ბლეფი — სხვა რა უნდა უწოდო ამერიკის ელჩის ამ მორიგ ფარისევლობას? — რა ვიცი! **ის, რაც დღეს აგრერიგად ეძნელება ბატონ ბასს, ანუ „ფაქტებსა და შეხედულებებს შორის განსხვავების აღმოჩენა“,** შარშან, 26 მაისს, სულ ადვილად შეძლო ერთიცა და მეორეც, რითაც მწვანე შუქი აუნთო საკუთარ ხალხზე ამრეზილ, ქართველთმოძულე ხელისუფლებას!

სჯობს, ცოტა შორიდან დავიწყოთ, რათა უკეთ დავინახოთ ამერიკელების ზნედაცემული პოლიტიკურ-ეკონომიკური მერკანტილიზმი და ჯონ ბასი, ვიზუალურად ეს ხორცშესხმული მეფისტოფელი, „პახოდუ პიესი“ ვახსენოთ...

ჯერ იყო და მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მთელი ევროპა ნანგრევებად იქცა, ე. წ. ლენდლიზის, ხოლო ომის შემდეგ დაუმსახურებლად მსუყე წილის მიღების წყალობით, ამერიკელების ეკონომიკა „შავი დედალივით გაკეთდა“.

ე.წ. მარშალის გეგმაც საბოლოო ჯამში სხვა არაფერი იყო, თუ არა ევროპისთვის გაწეული „ამერიკული დახმარება“, რისგანაც, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური დივიდენდებიც მიიღო, რადგან ცივი ომის დროს სტალინური საბჭოეთის გავლენის მიღმა დარჩენილი დასავლეთ ევროპის ფაქტობრივი მბრძანებელი აშშ გახდა.

რაც შეეხება საქართველოს, გავიხსენოთ, „მიამიტი“ ჯონ ბასისგან განსხვავებით, როგორ უცებ გაერკვა მამა-ბუში გასული საუკუნის 90-იანების დასაწისში „ფაქტებსა და შეხედულებებში“ და ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა შინაურ თუ გარეულ მტრებს, რომლებმაც საქართველოს ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება შეიარაღებული ამბოხების გზით დაამხეს, ხოლო ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს...

**ამერიკას არც მოგვიანებით გასჭირვებია „ფაქტებსა და შეხედულებებში“ გარკვევა და „ვარდების რევოლუციის“ წინ, ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა მხარდასაჭერად საქართველოში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და შევარდნაძის „მეგობარი“ ჯეიმს ბეიკერი მოავლინეს, რომელმაც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე „ძველ მეგობარს“ ულტიმატუმი წაუყენა, ულტიმატუმი, რომელსაც შემდეგ „ბეიკერის ფორმულა“ უწოდეს, რასაც გადაჰყვა კიდეც უკვე ბებერი „თეთრი მელას“ ხელისუფლება...**

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ამერიკის იმჟამინდელი ელჩი და, როგორც აღმოჩნდა „ფერადი რევოლუციების“ მთავარი რეჟისორი, რიჩარდ მაილსი, „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელი გენმდივნის — გიორგი არველაძის „ასაბნიაკში“ ცხოვრობდა, და ნათელი გახდება, თუ როგორი ვნებით ერკვეოდა „ფაქტებსა და შეხედულებებში“, ანუ **აშშ არა მხოლოდ მხარს უჭერდა, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოში „ცერეუს“ რეზიდენტის — რიჩარდ მაილსის მეშვეობით ჩვენს ამომგდებ ე.წ. ვარდების რევოლუციას...**

მერე იყო და, თბილისში ლამის კინტოური დაუარა ამ მართლაც პოლიტიკურმა კინტომ — ჯორჯ დაბლიუ ბუშმა; მეორე დღეს კი დემოკრატიის შუქურა უწოდა გაბადრულ მიშა სააკაშვილს, რომელმაც „ფაქტებსა და შეხედულებებში“ გარკვევა დაუფასა პატრონს და დღეს „ნაბუშარი საქართველოს“ დედაქალაქი, „მელაანის ორლობის“ ნაცვლად, „ბუშ-ავენიუთი“ და რონალდ რეიგანის ბრინჯაოს ქანდაკებით იწონებს თავს.

სიტყვამ მოიტანა და მაშინ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი მეიდანში ბაღდადურად ბუქნაობდა, იმავე დროს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ერევანში მიირთმევდა სუჯუხ-ბასტურმას...

ანუ იცეკვე, იცეკვე, მისტერ ბუშ, 2008-ში ნახავენ ქართველები, თუ რა ფასი აქვს „ამერიკულ დახმარებას“, მაგრამ ამაზე ქვემოთ...



**მოკლე ხანში დემოკრატიული საქართველოს აკუმულატორმა ნელ-ნელა „დაჯდომა“ იწყო და 2007 წლის 7 ნოემბერს მთელი დემოკრატიული „დინგი-დუნიის“ თვალწინ ერთ დროს დემოკრატიის კაშკაშა შუქურა მყრალი ჭრაქივით ახრჩოლდა!**

აშშ აქაც დროულად გაერკვა „ფაქტებსა და შეხედულებებში“ და მისი ნებიერა „შუქურვარსკვლავი“ დროებით და „სპონტომ“ გადააყენა, რის შემდეგაც, ქუჩებში გამოსული ასიათასობით ქართველის ფონზე, გაყალბებულ არჩევნებში გამარჯვება მიულოცეს მიშა სააკაშვილს.

ამის შემდეგ **მაისის საპარლამენტო არჩევნები უბრალო ფორმალობა გახდა და, შესაბამისად, მიშნაცებმა საკონსტიტუციო უმრავლესობით დაიპყრეს პარლამენტი, რისი გაპროტესტების აღარც ილაჯი და, რაც ყველაზე სამწუხარო იყო, აღარც სურვილი აღმოაჩნდა ოპოზიციის გამყიდველობით და „ამერიკული დახმარებით“ მრავალგზის მოტყუებულ, იმედგაცრუებულ ქართველებს...**

**ის, რაც დღეს აგრერიგად ეძნელება ბატონ ბასს, ანუ „ფაქტებსა და შეხედულებებს შორის განსხვავებების აღმოჩენა“, შარშან, 26 მაისს, სულ ადვილად შეძლო ერთიცა და მეორეც, რითაც მწვანე შუქი აუნთო საკუთარ ხალხზე ამრეზილ, ქართველთმოძულე ხელისუფლებას!**

და აი, 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ომი, რაც პირდაპირი შედეგი იყო წლების განმავლობაში მიღებული „ამერიკული დახმარებისა“, რის გამოც დავკარგეთ ტერიტორიების 20%. დიახ, აშშ-ის ადმინისტრაცია ხელისუფლებასთან ერთად თანაბრად (თუ უფრო მეტად არა) პასუხისმგებელია საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიაზე.

**თუმცა აქაც დროულად გაერკვნენ „ფაქტებსა და შეხედულებებში“ და პრეზიდენტი ბუში, ერთი ხელით რომ პამპერსებით დატვირთულ კრეისერებს გვიგზავნიდა, იქვე სარკოზის ეუბნებოდა — დაანებე რუსებს თავი, გაუშვი, თბილისიც აიღონო — აი ის, რაც ზემოთ მიგანიშნეთ. რუსებმა არა მხოლოდ ამერიკას დაანახეს მაშინ, როგორც თავად იტყოდნენ, „КТО В ДОМЕ ХОЗЯИН“, არამედ ქართველებმაც გავიგეთ „ამერიკული დახმარების“ ჭეშმარიტი რაობა...**

ამის შემდეგ, 2009 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, ქართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაბრძოლება, საკნებით მოფენილი თბილისის ფონზე, 26 მაისს სტადიონიც გავავსეთ, მაგრამ ამაოდ — ამერიკის თამადობით, თბილისში აკრედიტებული მთელი დიპკორპუსი გაერკვა „ფაქტებსა და შეხედულებებში“ და ირიბად თუ პირდაპირ მხარი ისევ სააკაშვილის რეჟიმს დაუჭირა.

ამას დაუმატეთ ოპოზიციის უხერხემლობისა თუ პირდაპირი ღალატის ახალი ფაქტები და ის, რომ ქართველმა ხალხმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ლამის სალათას ძილით მიიძინა, გასაკვირია?

ამ ძილის ფონზე მიმდინარეობდა რვიან-ექვსიანების იწილო-ბიწილოც და ე. წ. ადგილობრივმა არჩევნებმაც დაანახა დასავლეთს, რომ სწორად ერკვევოდნენ „ფაქტებსა და შეხედულებებში“, რომ სააკაშვილის „სამოთხეს“ ხალხი მასობრივად უჭერს მხარს.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მშობელი შობილს არას ეტყოდა“, ამ დღეში იყო ქართველი კაცი, რომ მოულოდნელად გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც თავდაყირა დააყენა მთელი ქართული პოლიტიკა და მომავლის იმედი ჩაუსახა ყველაფერზე ხელჩაქნეულ ქართველ საზოგადოებას.

**დასავლეთი და აშშ კი დღემდე ვერ გაეკვა „ფაქტებსა და შეხედულებებში“, მიუხედავად ხელისუფლების აშკარა ტერორისა „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ, ოკეანის გაღმიდან ვერ ვეღირსეთ მკვეთრ, ადეკვატურ განცხადებას მიმდინარე მოვლენებზე.**

სამაგიეროდ, სადაც და როდესაც სჭირდებათ, ამერიკელები მშვენივრად ერკვევიან „ფაქტებსა და შეხედულებებში“ და საბოლოო ჯამში, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, გვიწევენ „ამერიკულ დახმარებას“...

**ამდენად, ცხადია, თუ რატომ იცვლება ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად, ტოტალური პროამერიკული განწყობა ანტიამერიკულით, ხშირ შემთხვევაში, პრორუსულის სასარგებლოდ.**

**იქნებ ახლა მაინც მიხვდეს ბატონი ბიძინა, რომ ამერიკის იმედად ყოფნა უკვე იმდენად არარეალურია, რომ დიდ სისულელესთან არის გაიგივებული.**

**ამიტომ, სანამ შემოდგომაზე ურემი გადაბრუნებულა, ყველამ ერთად ვუთხრათ ამერიკას და მაგათ „ამერიკულ დახმარებას“ „ბასტა!!!“.**

**თუ არადა, შემოდგომაზე კვლავ ბრანწი შეგვრჩება ხელში ქართველებს...**

**დავით მხეიძე**

მსოფლიო



## აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე შტორმმა 17 ადამიანი იმსხვერპლა



**Associated Press-ის ინფორმაციით, აშშ–ის აღმოსავლეთ სანაპიროზე შტორმმა 17 ადამიანი იმსხვერპლა. ვირჯინიაში 6 ადამიანი დაიღუპა, ჩრდილოეთ კაროლინაში – 3.** ელექტროენერგიის გარეშე სამ მილიონზე მეტი ადამიანი დარჩა. მოგლეჯილი ხეების გამო გზებზე მოძრაობა შეფერხებულია. მობილური კავშირი და ინტერნეტი ასევე შეფერხებით მუშაობს. ზოგიერთ რეგიონში ბენზინგასამართი სადგურები დაკეტილია, წყლის მიწოდება დაირღვა. შტორმმა აღმოსავლეთ სანაპიროს პარასკევს გადაუარა. შტორმი ერთი მიმართულების ძლიერი ქარით გამოირჩეოდა. მის მიერ მიყენებული ზარალი ტორნადოს მასშტაბებს მიუახლოვდა.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გიგა ბოკერიას მთავარი მოთხოვნა „ნაციონალთა“ საარჩევნო სიის პირველ ასეულში 60 წევრის ჩასმაა; სამაგიეროდ, ბოკერია სააკაშვილს 76 მაჟორიტარული ოლქიდან ადგილთა 1/3-ზე მეტს არ სთხოვს. მოკლედ, პროპორციული არჩევნებით „ნაციონალებმა“ თუ 100 კაცი გაიყვანეს, ბოკერიას გათვლით, აქედან 60 კაცი მისი გუნდის წევრი უნდა იყოს, მიშას კი მხოლოდ 40 დარჩება. „ბოკერიას არითმეტიკის“ მთავარი მიზანი ის არის, რომ მომავალ პარლამენტში, სადაც ქვედა ასაკობრივი ზღვარი 21 წელია, რაც შეიძლება მეტი ე.წ. უსახელო ნაბიჭვარი მოხვდეს, რადგან ისინი უკან არაფერზე დაიხევენ და ყველა არაპოპულარულ რეფორმას თუ სარისკო გადაწყვეტილებას, რის გატარებასაც ამერიკა საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს, უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს.

# ახალ პარლამენტში «უსახელო ნაბიჭვრები» მომრავლდებიან




**სანამ მთავარზე გადავალ, მკითხველს შევახსენებ, რომ „უსახელო ნაბიჭვრები“ კვენტინ ტარანტინოს ცნობილი გროტესკული კომედიაა, ფილმში მთავარ როლს ბრედ პიტი თამაშობს. „უსახელო ნაბიჭვრები“ კი რევანშისტული, საიდუმლო პარტიზანულ ორგანიზაციას ჰქვია. ის ამერიკაში მცხოვრები ებრაელებით არის დაკომპლექტებული. „უსახელო ნაბიჭვრები“ ევროპაში, ჰიტლერის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ფარულად მოქმედებენ. პარტიზანული მეთოდებით ანადგურებენ ფაშისტებს, სიკვდილის მერე სკალპს ხდიან მსხვერპლს, ვისაც ცოცხლად გაუშვებენ, შუბლზე სვასტიკას შანთით „ახატავენ“. მოქმედება მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ხდება.**

ვანო მერაბიშვილის პრემიერად, ხოლო ახალაიას შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნამ ცხადყო, რომ **სახელისუფლო გუნდში წინასაარჩევნოდ მორიგი დაპირისპირება დაიწყო.**

ამჯერადაც **„ნაციონალური მოძრაობის“ ორი დაჯგუფება დაეტაკა ერთმანეთს: ლიბერალური ფრთა, გიგა ბოკერიას მეთაურობით და ე. წ. ძველი ნაციონალები.**

„ძველი ნაციონალები“ მიხეილ სააკაშვილის ის თანაგუნდელები არიან, „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე რომ შემორჩნენ მის გარემოცვას, ასევე, ზურაბ ჟვანიას გუნდის ყოფილი წევრები. ამ სახელისუფლო დაჯგუფებებს, ერთმანეთი დიდად არ ეპიტნავებათ.

არაოფიციალური ინფორმაციით, გიგა ბოკერია რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტს პრეტენზიებით ესტუმრა. ბოკერიასა და სხვა ლიბერტარიანელთა აღშფოთება ავლაბრის რეზიდენციიდან „გამოჟონილმა“ ამბავმა გამოიწვია, რომლის თანახმადაც **ბოკერიას, ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მფარველობის ქვეშ დაფრთიანებულ პოლიტიკოსებს და მათთან იდეურად თუ ფინანსურად გადაბმულ არასამთავრობო სექტორს „ნაცმოძრაობის“ პროპორციულ საარჩევნო სიაში უმცირესი ადგილი დაეთმობათ.**

**სიტუაცია იმანაც გაამწვავა, რომ „ნაციონალების“ მიერ თბილისში დასახელებულ მაჟორიტარ კანდიდატთა შორის ერთიც კი არ არის „ბოკერიას კაცი“.**

ცხადია, ბოკერიას გარემოცვის გავლენიანი წევრები გაცხარებულან — მიშას ნამეტანი მოსდის, ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლას ახლა ვიწყებთ ხელისუფლების სრულად გასაკონტროლებლად და ამ არჩევნებმა, შესაძლოა, უმთავრესი როლი შეასრულოს ამ საქმეშიო.

ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, ამ საქმის გარჩევას სააკაშვილის მხრიდან **მიხეილ მაჭავარიანი, პეტრე ცისკარიშვილი, პალიკო კუბლაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, რამაზ ნიკოლაიშვილი** და **ნიკა რურუა** ესწრებოდნენ. გიგა ბოკერია შეხვედრაზე **გიგი თევზაძესთან, ლევან რამიშვილთან, ბათუ ქუთელიასთან** და **დავით სიხარულიძესთან** ერთად მივიდა. „ბოკერიას გუნდში“ მისი მეუღლე — **თამარ ჩერგოლეიშვილიც** იყო.

**გიგა ბოკერიას მთავარი მოთხოვნა „ნაციონალთა“ საარჩევნო სიის პირველ ასეულში მისი 60 წევრის ჩასმაა; სამაგიეროდ, ბოკერია სააკაშვილს 76 მაჟორიტარული ოლქიდან ადგილთა 1/3-ზე მეტს არ სთხოვს. მოკლედ, პროპორციული არჩევნებით „ნაციონალებმა“ თუ 100 კაცი გაიყვანეს, ბოკერიას გათვლით, აქედან 60 კაცი მისი გუნდის წევრი უნდა იყოს, მიშას კი მხოლოდ 40 დარჩება. „ბოკერიას არიტმეტიკის“ მთავარი მიზანი ის არის, რომ მომავალ პარლამენტში, სადაც ქვედა ასაკობრივი ზღვარი 21 წელია, რაც შეიძლება მეტი ე. წ. უსახელო ნაბიჭვარი მოხვდეს, რადგან ისინი უკან არაფერზე დაიხევენ და ყველა არაპოპულარულ რეფორმას თუ სარისკო გადაწყვეტილებას, რის გატარებასაც ამერიკა საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს, უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს.**

ამ „საქმის გარჩევაზე“ ბოკერიამ ასევე დააზუსტა, რომ **რეალური საფრთხე არის არა ბიძინა ივანიშვილი, არამედ საპატრიარქო და პატრიარქი და სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს ბრძოლა არჩევნების მოგების მერე. ეკლესიაში უნდა მოხდეს განხეთქილება, ეპარქიები ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ და მერე ცალ-ცალკე მოხდეს მათი განეიტრალება.**

საკუთარი ვერსიის დასტურად, ბოკერიამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ის ბრძანება მოიყვანა, რომლის ძალითაც ქუთაისში ბაგრატის ტაძრის თვითნებური რესტავრაციის პროცესი შეჩერდა. ამით ბოკერიამ სააკაშვილს შეახსენა, რომ მისი გუნდის წევრების ერთი ნაწილისთვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პატრიარქის სიტყვა კანონია, რომელსაც განუხრელად ასრულებენ. **ბოკერიას თქმით, მისი თანაგუნდელები პატრიარქის ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ, ბაგრატის ტაძრის ხელყოფასაც გააგრძელებდნენ და უარესსაც იზამდნენ.**

**გაცხარებულ ბოკერიას სააკაშვილის „თანაგუნდელებმა“ შეახსენეს, რომ ვიდრე ამას გააკეთებდა, მანამდე არჩევნები იყო ჩასატარებელი და მოსაგები.**

საქმის გამრჩევები ვერ მორიგდნენ, მათ ვერ გაიყვეს ადგილები პროპორციულ სიაში. განსაკუთრებით შეუვალი ნიკა რურუა იყო — ფულს ჩვენ ვხარჯავთ, საარჩევნოდ თანხა ჩვენ უნდა მივიძიოთ და რა ვალდებული ვართ, ის შენი 60 კაცი გარანტირებულად იჯდეს პარლამენტში, როცა მათგან ჯერჯერობით 20-ის ვინაობა ვიცით მხოლოდო. რურუას ლევან რამიშვლი შეჰკამათებია, ის ფული საარჩევნოდ რომ უნდა დახარჯოთ, კორუფციული ფულია, მოვა დრო, ეგეც მოგეკითხებათო. თან ხაზი გაუსვამს: ჩვენი გუნდი სუფთაა ამ საქმეში, ბიუჯეტში ხელს არ აფათურებს და, როცა ელიტარულ კორუფციაზე ლაპარაკობს ხალხი, სწორედ თქვენი გუნდის წევრებს გულისხმობსო. **ელიტარული კორუფციის ხსენებამ გააღიზიანა ზურაბ ადეიშვილი, რამიშვილისთვის მოკლედ მოუჭრია: თქვენი თანაგუნდელები სახელმწიფო სამსახურებში 2-3 ადგილზე მუშაობენ, ოჯახის წევრი და ნათესავი არ დავუტოვე დაუსაქმებელი, ზოგი არასამთავრობო სექტორშია და გრანტს გრანტზე იღებს, ფული და კომფორტი არ აკლიათ და ბიუჯეტში ხელის ფათურს რატომღა დაიწყებენ, რა, გიჟები არიანო?** ადეიშვილს ისიც დაუყვედრებია ბოკერიასთვის — მარტო ჩემს სისტემაში, იუსტიციის სამინისტროში შენი ხალხის რეკომენდაციით 500 კაცზე მეტი მუშაობს, თუ გინდა, სიასაც დაგიდებ, ვინ არიან და ვინ ვისი რეკომენდაციით მივიღე სამსახურშიო. „ბოკერიასტები“ გაჩუმდნენ, რადგან კამათს არც ჰქონდა აზრი — ვინც ზურაბ ადეიშვილს იცნობს, ისიც ეცოდინება — დიდი შანსი იყო, ის 500-კაციანი სია, თავიანთი პროტეჟეებით ჯიბეში სდებოდა და იქვე აეფრიალებია ბოკერიასთვის.

მოკლედ, **საარჩევნო სიის საკითხზე ვერ შეჯერებულან.** წყაროს ინფორმაციით, **სააკაშვილი და ბოკერია კიდევ ერთხელ შეხვდებიან კვოტებზე შესათანხმებლად და ამ შეხვედრას ვანო მერაბიშვილიც დაესწრება.** წყარო ირწმუნება, **ვანო სიტუაციის დაბალანსებას ცდილობს. არ უნდა, რომ განხეთქილება მოხდეს გუნდში და შეეცდება, ცოტ-ცოტა ორივეს დაათმობინოს.**

გიგა ბოკერია უკმაყოფილოა იმითაც, რომ „ნაციონალებმა“ თბილისის 10 მაჟორიტარი კანდიდატი დაასახელეს, მათ შორის არც ერთი მისი კაცი არ მოხვდა. მისი თქმით, მისსავე თანაგუნდელებს დაბალი რეიტინგი აქვთ საქართველოში, არც ვინმე იცნობს ხეირიანად, მათი ცნობადობა და რეიტინგი ოდნავ უკეთესი თბილისში იყო. **აქ, თბილისში, სადაც ლიბერტარიანული იდეები, ასე თუ ისე, პოპულარულია, გამარჯვების რაღაც შანსი ჰქონდა ჩემს ხალხს, რეგიონებში კი მათი შანსი ნულიაო,** — უთქვამს ბოკერიას. ამიტომ მე რეგიონებში ჩემს ხალხს ვერ გავიყვან, იმ 25 მაჟორიტარის გადეპუტატებაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ამიტომ გარანტირებული ადგილები მინდა სიაშიო. სააკაშვილს კვლავ არ დაუთმია, — **ცნობადობა არ არის მთავარი, კაკო ბობოხიძეს ხონში ყველა იცნობს, ბეჟან ბუცხრიკიძეს — თერჯოლაში, მაგრამ გამარჯვების შანსი არც ერთს არ აქვს, ეს ჩვენმა კვლევებმაც დაადასტურაო.**

**ფაქტია, რომ „ნაციონალების“ ორივე ფრთას ძალიან უჭირს, განსაკუთრებით, მაჟორიტარულ ოლქებში, ბოკერიას კანდიდატებს წარმატების არანაირი შანსი არ აქვთ.**

მართალია, ბოკერია უცნობი, მაგრამ შედარებით სუფთა (არაკორუმპირებული) წარსულის მქონე ხალხის (არასამთავრობო სექტორიდან, განათლების, იუსტიციის, თავდაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებიდან და თბილისის მერიიდან შედარებით დაბალი ჩინის სახელმწიფო მოხელეების) წარდგენას აპირებს მაჟორიტარებად. ეს ხალხი ბოკერიამ „სახელმწიფო კმაყოფაზე“ დროებით გადაიყვანა, თვალს მოაფარა, რათა მერე მათი ნაწილი პოლიტიკაში მოეყვანა.

**საგულისხმოა ამ შეხვედრის ერთი დეტალიც.** როცა სააკაშვილი და ბოკერია საარჩევნო სიის კვოტებზე კამათობდნენ, **ლევან რამიშვილს მიშასთვის შეუხსენებია: „რელიგიის შესახებ“ კანონი რომ მიიღეს პარლამენტში, თუ ვინმემ არ მისცა ხმა ან თავი შეიკავა, ყველა შენი თანაგუნდელი იყო, შენიანები იყვნენ ისინიც, ვინც მოგონილი მიზეზით იმ სხდომას არ დაესწრო და პასუხისმგებლობა აირიდა. ჩვენიანებმა კი ყველამ ხმა მისცა კანონს და სხდომასაც არავინ დაჰკლებიაო.** ლევან რამიშვილს ისიც განუმარტავს, ეს თემა რატომაც წამოწია. **ამ „რელიგიის კანონის“ წყალობითაა, ამერიკიდან საარჩევნოდ დაფინანსებასა და სხვა დივიდენდებს რომ ელოდები, იმ ფულის ნაწილს შენი მაჟორიტარების გადეპუტატებას მოახმარ, ნაწილს შენი ჩინოვნიკები წაიღებენ შინ.** მთლად ისე არაა საქმე, აქ რომ ითქვა, საარჩევნოდ ფულს ჩვენც ვშოულობთ და უფრო სუფთა ფულს. გამოდის, შავი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთ, ჩვენს ხარჯზე შენიანებმა უნდა „იგულაონ“. ჩვენივე ძალისხმევით მოზიდული ფულის ჩვენსავე კანდიდატებზე დახარჯვა მერე სახვეწარი გაგვიხდება, როგორც ეს 2008 და 2010 წლის არჩევნებზე მოხდაო.

**მხოლოდ ერთადერთ საკითხზე შეთანხმებულან სააკაშვილი და ბოკერია: „ქართულ ოცნებას“ ყველაზე სუსტი მაჟორიტარი კანდიდატები სადაც ეყოლება, სააკაშვილის გუნდი „თავისუფლების ინსტიტუტს“ იმ რაიონებში დაუთმობს ადგილს, ხოლო „ქართული ოცნების“ ყველაზე რეიტინგულ კანდიდატებს კი „მიშას მაჟორიტარები“ დაეჯახებიან.**

**ლევან ჯავახიშვილი**

## წელს მსოფლიოში 72 ჟურნალისტი დაიღუპა

**მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე მსოფლიოში 72 ჟურნალისტია დაღუპული. ინფორმაციას ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „პრესს ემბლემ კომპანი“ ავრცელებს, რომლის სათავო ოფისი ჟენევაში მდებარეობს.** აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ამგვარ ზრდას უფლებების დამცველები მთელ მსოფლიოში შიდა კონფლიქტების ესკალაციას უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ, ანგარიშის მიხედვით, პრესისათვის სამუშაოდ ყველაზე საშიში რეგიონი ლათინური ამერიკა გახდა. იქ ჟურნალისტებს ადგილობრივი კრიმინალური სტრუქტურები ემუქრებიან.

## აშშ-ის ფორტ-ბრეგის ბაზაზე რიგითმა ბატალიონის მეთაური მოკლა

**აშშ-ის არმიის ფორტ-ბრეგის ბაზაზე მოწყობისას აშშ-ის სამხედრო მოსამსახურემ თავისი ბატალიონის მეთაურს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.** თვითმხილველების განცხადებით, მოწყობის დროს რიგითი წინ გამოვიდა, პისტოლეტი ამოიღო ჯიბიდან, მეთაურს ესროლა და შემდეგ თვითმკვლელობა სცადა. რიგითი დაიჭრა, ოფიცრისთვის სროლისას კი მსუბუქად დაიჭრა კიდევ ერთი სამხედრო მოსამსახურე. ჯერჯერობით უცნობია, საიდან აღმოაჩნდა რიგითს ცეცხლსასროლი იარაღი, მსგავსი მოწყობების დროს იარაღი პირად შემადგენლობას არ ურიგდება.

„ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ისეთივე ენთუზიაზმით შეებრძოლება უმუშევრობას, როგორც კრიმინალსა და კორუფციას ებრძოდა, ანუ ყველა უმუშევარი ციხეში წავა თუ როგორ უნდა გადავჭრათ უმუშევრობის პრობლემა?! ხალხი ხელს უშლის მიხეილ სააკაშვილს. როგორც ამ ხელისუფლების იდეური წინაპრები — ბოლშევიკები ამბობდნენ, დავეხმაროთ წარმავალ კლასს, რათა მან დროზე გაიხუროს ისტორიის კარი. ალბათ, ესენიც ასე აპირებენ ხალხის მოშორებას. სამუშაო ადგილების შექმნა თუ შეეძლო ამ ხელისუფლებას, 8-9 წელი ჰქონდა და, რაც შექმნეს, კარგად ვნახეთ.“

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლაშა ნაცვლიშვილი: საქართველოში პოლიციელს, ზონდერსა თუ გამგეობის თანამშრომელს შორის ზღვარი წაშლილია

**„მთავრობა მოათავსეს რეანიმაციაში და შოკური თერაპიით ცდილობენ მის გადარჩენას, მაგრამ პაციენტი ვერ გადარჩება. შედეგი ადვილად პროგნოზირებადია: მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება მთავრდება და ეს უკვე ოფიციალურად 2012 წლის ოქტომბერში გაფორმდება“, — აცხადებს ყოფილი უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ბოლო დღეების მანძილზე საქართველოს მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს აფასებს.**

**— როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მიერ ამ დღეებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, რა გავლენას მოადენს ეს ყველაფერი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე?**

— განხორციელებული საკადრო ცვლილებებით ხელისუფლებამ აღიარა, რომ უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება. სააკაშვილმა დაითხოვა მთავრობა, ვინაიდან კარგად დაინახა, რომ მთავრობის ამ შემადგენლობით, არსებული პრემიერ-მინისტრითა და ძალთა ამ ბალანსით ის ველარ ასრულებდა თავის მოვალეობას, ველარ უმკლავდებოდა ძირითად პოლიტიკურ კონკურენტს — ბიძინა ივანიშვილს.

ტაქტიკური თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილებები, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე, მაგრამ ხელისუფლების დამარცხება გარდაუვალია. **ამ ყველაფერს გარდაცვალებისთვის განწირული ხელისუფლებისთვის ჩატარებულ ექსტრემალურ შოკურ თერაპიას შევადარებდი, რადგან მიხეილ სააკაშვილის მთავრობა სასიკვდილოდ არის განწირული. მთავრობა მოათავსეს რეანიმაციაში და შოკური თერაპიით ცდილობენ მის გადარჩენას, მაგრამ პაციენტი ვერ გადარჩება. შედეგი ადვილად პროგნოზირებადია: მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება მთავრდება და ეს უკვე ოფიციალურად 2012 წლის ოქტომბერში გაფორმდება.**

**— ქართული საზოგადოება აქტიურად განიხილავს შს მინისტრის — ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მონისტრის პოსტზე დანიშვნას: ეს გადაწყვეტილება მის დაწინაურებას ნიშნავს თუ პირიქით — მისი პოზიციების შესუსტებასა და ძალაუფლებიდან ჩამოშორებას ემსახურება?**

— სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს ექსპერტული ტიპის მარჩიელობა, რაც ჩვენთან ძალიან მოდაშია. არ ვიცი, ალბათ, არსებული ვითარება ყველაზე ზუსტად ვასიკო ოდიშვილმა შეაფასა, როცა მერაბიშვილს **ჩამოწინაურებული** უწოდა. ვნახოთ, ყველაფერი გამოჩნდება...

**— თქვენ იყავით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების უშიშროების მინისტრის მოადგილე, როგორ შეაფასებთ ვანო მერაბიშვილის მუშაობას? მიუხედავად მის მიმართ არსებული პრეტენზიებისა, მერაბიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებაში წლების განმავლობაში ერთადერთი შეუცვლელი მინისტრი იყო...**

— ასეთი ტიპის რეჟიმები სიცრუესა და ძალადობაზე დგანან. სიცრუის ტირაჟირებას უზრუნველყოფს პროპაგანდისტული მანქანა. საქართველოს შემთხვევაში ეს არის ტელევიზიები — „რუსთავი 1“, „რუსთავი 2“, „რუსთავი 3“ და ა.შ. ძალადობას კი უზრუნველყოფს ძალადობის ორგანიზებული მანქანა. **თუ თვალყურს მიადევნებთ, ასეთი ტიპის დიქტატორულ რეჟიმებში ყველგან არის, როგორც მინიმუმ, თითო საკვანძო ფიგურა, რომლებიც იქაური დიქტატორის მაღალი ნდობით აღჭურვილი პირები არიან. ვანო მერაბიშვილიც ასეთია.**

„ენკავედედ“ გადაქცეულ პოლიციურ სახელმწიფოში რა უნდა იყოს სტაბილური? მხოლოდ ძალადობის უზრუნველმყოფელი მანქანა. თუმცა ერთია, როგორც უნდა შეიცვალოს მთავრობის შემადგენლობა, ეს საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს. საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება.

**— საერთოდ, ძალოვანი სტრუქტურების როლი მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. როგორი იქნება ძალოვანი უწყების როლი არჩევნების პერიოდში? მითუფრო, რომ ოპოზიცია სამეგრელოში არსებულ შეიარაღებულ ფორმირებებსა თუ თბილისში არსებულ ზონდერ-დაჯგუფებებზე უკვე ღიად საუბრობს?**

— საქართველოში პოლიციელს, ზონდერსა თუ გამგეობის თანამშრომელს შორის ზღვარი წაშლილია. პოლიციურ სახელმწიფოში ყველაფერი პოლიციურია. შესაბამისად, ყველაფერს, რაც ადამიანების თავისუფალ ნებაზე ძალადობას უზრუნველყოფს, ხელისუფლება მაქსიმალურად გამოიყენებს. იქნება ეს პოლიცია, ზონდერები, თავდაცვა, გამგეობა თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ჯგუფები... ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია პროპაგანდა და ძალადობა. თუმცა როგორც კი გამოიყენებს ძალოვან სტრუქტურებს, სააკაშვილი თავის ხელისუფლებას დაამთავრებს.

**— შეძლებს ვანო მერაბიშვილი, რომელსაც კარგ მენეჯერად იცნობენ, სააკაშვილის იმედების გამართლებას და უმუშევრობის დაძლევას, ჯანდაცვისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებული რეფორმების განხორციელებას? თუ ეს ყველაფერი მხოლოდ მორიგ, წინასაარჩევნო დაპირებებად დარჩება?**

— მის წარმატებულ პროექტებს რაც შეეხება, ანაკლიის ხიდი და ქუთაისის პარლამენტი რამდენად წარმატებულია, ეს თქვენმა მკითხველმა განსაჯოს. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ დასაქმების სამინისტროს შექმნა ქართული საზოგადოების შეურაცხყოფაა. დასაქმებას არ უზრუნველყოფს რაღაც ტიპის უწყება, ამას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილები, რომელთაც ქმნის ბიზნესი, ამისთვის კი შესაბამისი გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ. როგორი თავისუფალი ბიზნესგარემოა ქვეყანაში, ყველამ კარგად იცის და **ეს ორუელისეული უწყებები — სიყვარულის, ბედნიერებისა თუ დასაქმების სამინისტროები არაფრის მომცემია. დასაქმების სამინისტროს შექმნა ხალხის თავზე დასაქმების სამინისტროს ამოქმედებას ნიშნავს.**

ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ისეთივე ენთუზიაზმით შეებრძოლება უმუშევრობას, როგორც კრიმინალსა და კორუფციას ებრძოდა, ანუ **ყველა უმუშევარი ციხეში წავა თუ როგორ უნდა გადავჭრათ უმუშევრობის პრობლემა?!** ხალხი ხელს უშლის მიხეილ სააკაშვილს. როგორც ამ ხელისუფლების იდეური წინაპრები, ბოლშევიკები ამბობდნენ, დავეხმაროთ წარმავალ კლასს, რათა მან დროზე გაიხუროს ისტორიის კარი. ალბათ, ესენიც ასე აპირებენ ხალხის მოშორებას. სამუშაო ადგილების შექმნა თუ შეეძლო ამ ხელისუფლებას, 8-9 წელი ჰქონდა და, რაც შექმნეს, კარგად ვნახეთ.

**სააკაშვილის მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა არის ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამის ძალიან უხეში პლაგიატი. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებას იდეების გენერირებაც აღარ შეუძლია, პირდაპირ აკოპირებენ იდეებს, ოღონდ დიდ ციფრებზე ამრავლებენ...**

კი, ბატონო, არ გამოვრიცხავ, რომ წარმატებულმა მენეჯერმა ვანო მერაბიშვილმა გარდაცვლილი ხელისუფლების ესთეტიკური მუმიფიცირება ყველაზე კარგად მოახერხოს. ჩვენ ხომ ქართულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელშიც მიცვალებულსაც გაპატიოსნება სჭირდება.

**— ვანო მერაბიშვილს შს მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაია შეცვლის. იქნება თუ არა ის დამოკიდებული პრემიერზე?**

— არ ვფიქრობ, რომ მერაბიშვილზე იქნება დამოკიდებული. ზოგადად, როგორც წესი, ძალოვანი უწყების ბუნება ისეთია, რომ მხოლოდ პრეზიდენტის ექსკლუზიური დასაყრდენია.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნა?**

— მას აქვს ის უნარი, რომელიც სააკაშვილს მოსწონს. ქართული საზოგადოება ბაჩო ახალაიას უნარებს მანიაკალურთან ახლოს მდგომად აფასებს. ალბათ, მიხეილ სააკაშვილს სწორედ ეს მოსწონს.

**— უკვე საუბრობენ, რომ სააკაშვილს პრემიერობა სურს, ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ მერაბიშვილმა მხოლოდ დროებით დაიკავა თანამდებობა...**

— რა სურს სააკაშვილს, ეს სხვაა და რა იქნება სინამდვილეში — სხვა. **შესაძლოა, სააკაშვილმა თავის ფანტაზიებში იპოვა თავისი მედვედევი, ოღონდ ჩერნომირდინის არომატით, მაგრამ სააკაშვილის გეგმებს აღსრულება არ უწერია.**

**— რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების დამარცხება გარდაუვალია? რა გაძლევთ ასეთი რწმენის საფუძველს?**

— ხელისუფლების დამარცხება რომ გარდაუვალია, ეს ძალიან კარგად ჩანს ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფალურ სვლაში, რომელსაც თბილისსა თუ რეგიონებში ვხედავთ. როდესაც ამ დაშინებებისა და ტერორის ფონზე, თბილისში, მილიონიან ქალაქში, ასი ათას კაცზე მეტი გამოვიდა ქუჩაში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, უკვე ბევრს ნიშნავს. ეს რომ დაინახა ხელისუფლებამ, სწორედ ამიტომ განახორციელა საკადრო ცვლილებები, თუმცა ესეც წარუმატებლობისთვისაა განწირული. **ზოგჯერ გარდაცვალების პირას მყოფი სხეული უკანასკნელი გაბრძოლების დროს არაადეკვატურ ძალას ავლენს ხოლმე და შეიძლება ასეთი რამ ამ ხელისუფლების ქმედებებშიც იყოს, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაფრთხოს.**

არ მინდა, ყალბ პათეტიკაში გადავვარდე, მაგრამ, სანამ დაპირებების შესრულება-არშესრულების შესაძლებლობებზე ვისაუბრებთ, სანამ არჩევანს გავაკეთებთ, მინდა ერთი გულწრფელი, ადამიანური რჩევა მივცე ყველას: **პოლიციის შუშის შენობების, დავარცხნილი პატრულის პარალელურად, მეხსიერებაში ყველამ აღიდგინოს ერთი წუთით მაინც, სანდროს საფლავზე როგორ ურტყამდა თავს ირინა ენუქიძე, მისი თვალები გაიხსენოს. მერე გახედოს საკუთარ შვილს, რომელსაც ქუჩაში უშვებს, და ერთი წამით დაუშვას, რომ ის შემთხვევითობის წყალობით არ არის ირინა ენუქიძის ადგილზე და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს არჩევანი.**

გერმანიაში უშიშროების სამსახურის უფროსი გადადგა, რადგან მისმა თანამშრომელმა რაღაც მასალები დამალა. ჩვენ კი გვაქვს სტრასბურგის გადაწყვეტილება, რომელშიც წერია, რომ ეს ხელისუფლება მონაწილეობდა როგორც დანაშაულის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაში.

**— ბატონო ლაშა, „ქართულ ოცნებას“ გულშემატკივრობთ და სიმპათიით საუბრობთ ბიძინა ივანიშვილზე. მაგრამ ბოლო დროს ხაზს უსვამთ იმასაც, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ ხართ. რატომ არ გაწევრიანდით „ქართულ ოცნებაში“ — არ შემოგთავაზეს თუ სურვილი არ გქონდათ?**

— იცით, არასდროს მიფიქრია საკუთარი სტატუსის ფორმალიზებაზე. რესპუბლიკურ პარტიაშიც ვიყავი, მაგრამ თავად ვთქვი უარი, კენჭი მეყარა პარტიის მმართველ ორგანოში. ვფიქრობ, რომ ასეთ თავისუფალ რეჟიმში გაცილებით ეფექტური შეიძლება ვიყო. ასე რომ, დღის წესრიგშიც არ დამდგარა არც ჩემი და არც კოალიციის მხრიდან ჩემი პარტიაში გაწევრიანება. მთავარია, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და არ არის აუცილებელი რაიმე ვერტიკალში მოქცევა. შემოთავაზება რომ არ მიმიღია, ესეც ბუნებრივად მიმაჩნია. ადრე ვხუმრობდი, თვითდასაქმებული საზოგადოებრივი აქტივისტი ვარ-მეთქი, თუმცა ეს ხელს არაფერში მიშლის... საქართველოს მოქალაქის სტატუსი ჩემთვის ყველაზე მაღალია.

**— რესპუბლიკური პარტიის კოალიციაში ყოფნა ხომ არ გიქმნით ბარიერს?**

— ჩემი და რესპუბლიკური პარტიის გაყრა ცივილიზებულად მოხდა. ჩვენ კონფლიქტი არ გვქონია. ეს არ არის შემაფერხებელი ფაქტორი.




ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ახლა განცხრომას არ უნდა მივეცეთ. არ გვაქვს ამის არც საშუალება და არც უფლება, იმიტომ, რომ მთავარი იწყება სწორედ ახლა. ბევრს ჰგონია, რომ ივანიშვილის გამოჩენით პოლიტიკურ ასპარეზზე ყველაფერი გადაწყდა და, სულ რომ გარეთ არ გავიხედოთ, ხელისუფლება თავისით დაემხობა. ეს არ მოხდება, რეჟიმები ასე იოლად არ მიდიან და არ თმობენ ძალაუფლებას. ჩვენ თავად თუ არ დავდექით ჩვენი საქმის, ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, გამარჯვება ციდან არ ჩამოგვივარდება...“**



# სოსო ჯაჭვლიანი: ათი ვანო რომ დანიშნონ პრემიერ-მინისტრად, სააკაშვილი მაინც განწირულია

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი.**

**— ბატონო სოსო, ივანიშვილის კოალიციაში შემავალი ოპოზიციის ერთი ნაწილი მუდმივად აცხადებს, რომ არჩევნები ხალხმა არჩევნებამდე უნდა მოიგოს, რათა მანამდე ხელისუფლებას საზოგადოებაზე ზემოქმედების ყველა ბერკეტი დავათმობინოთ. ერთის მხრივ, ეს, ალბათ, სწორი სტრატეგიაა, მაგრამ რამდენად ადეკვატურად ახორციელებს ოპოზიცია ამ ყველაფერს? არჩევნებამდე სულ რაღაც სამთვე-ნახევარი დარჩა.**

— ადეკვატურად განხორციელებაში, ალბათ, აქტიურობას გულისხმობთ, დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ოპოზიცია საკმარისად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს, მაგრამ ყველაფერი ისე მარტივად არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა კიდევ არ იცის, რა ხდება და რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, იმიტომ, რომ ხელისუფლება, ასე თუ ისე, მაინც ახერხებს ამ ყველაფრის გარკვეულწილად შენიღბვას...

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც პირადად მე მიმდინარე პროცესებში ჩავერთე და უშუალო შეხება მაქვს წინასაარჩევნო ციებ-ცხელებასთან, **ყოველდღიურად, ყოველწამიერად ვრწმუნდები, რა დონის თახსირებთან და გარყვნილ, უხერხემლო, უტიფარ ადამიანებთან გვაქვს საქმე. ეს არის ყოველგვარი სინდის-ნამუსისგან გარეცხილი, უჯიშო და უჯილაგო ხალხი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდ უკანალი არ ააწევინო სკამიდან.** ახლა ნახეთ, რა ხდება, კანონი ხომ ტანზე შემოიკერეს, საარჩევნო სიებზე დაიწყეს ნადირობა. იქ ისეთი საოცრებები გააკეთეს, რომ, ფაქტობრივად, უკვე განაღდებული აქვთ ყველაფერი. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ, თუ ამ სიებით ჩატარდა არჩევნები, მოსახლეობის ასმა პროცენტმა, თვითონ „ნაცმოძრაობის“ წევრებმა და აქტივისტებმაც რომ შენ მოგცენ ხმა, მაინც წაგებული ხარ. ვერც დამკვირვებლები შეუშლიან ხელს და ვერც ოპოზიცია, ვინაიდან, როგორც გითხარით, ამ სიებითა და საკონსტიტუციო ცვლილებებით ხელისუფლებამ უკვე გააკეთა თავისი გასაკეთებელი.

**— გამოდის, რომ არჩევნები არჩევნებამდე, ოპოზიციას კი არა, ხელისუფლებას მოუგია?**

— ამ საარჩევნო სიებით, რა თქმა უნდა, ასეა. ხომ ადევნებთ თვალს, რა ხდება: ერთი კონსტიტუციაში არ ჩაუწერიათ, ჩვენ უნდა ვიყოთ უსასრულოდო, თორემ სხვა დანარჩენი გაინაღდეს ყველაფერი. როგორ გინდა, ახლა ამათ თავიანთი წესებით ეჭიდავო? არ მიდის ეს კაცი ცოცხალი თავით, ხომ ხედავთ.

**— ბატონო სოსო, პესიმისტურად ხართ განწყობილი?**

— პესიმიზმი და ხელის ჩაქნევა სააკაშვილმა თავისკენ მოიკითხოს, მე რას ვამბობ: ამათი საარჩევნო სიებით გამარჯვება შეუძლებელია. პესიმიზმი იყო მანამდე, როცა ხალხს აღარაფრის სჯეროდა, ახლა კი ყველაფერი პირიქითაა: საზოგადოებაში რწმენა მატულობს, მოსახლეობას იმედი მიეცა.

მეორე მხრივ, მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ იმას, რომ **ჩვენ ახლა განცხრომას არ უნდა მივეცეთ. არ გვაქვს ამის არც საშუალება და არც უფლება, იმიტომ, რომ მთავარი იწყება სწორედ ახლა. ბევრს ჰგონია, რომ ივანიშვილის გამოჩენით პოლიტიკურ ასპარეზზე ყველაფერი გადაწყდა და, სულ რომ გარეთ არ გავიხედოთ, ხელისუფლება თავისით დაემხობა. ეს არ მოხდება, რეჟიმები ასე იოლად არ მიდიან და არ თმობენ ძალაუფლებას. ჩვენ თავად თუ არ დავდექით ჩვენი საქმის, ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, გამარჯვება ციდან არ ჩამოგვივარდება...**

**— თავის მხრივ, სადამკვირვებლო მისიებზეც ბევრი იქნება დამოკიდებული, საერთაშორისო საზოგადოება ყურადღებით აკვირდება აქ მიმდინარე პროცესებს, არ მეთანხმებით?**

— მე არ ვიცი, ესენი რას აკვირდებიან და საერთოდ, რას აკეთებენ, მაგრამ შედეგში არ აისახება ეს ყველაფერი. საქმე მანახეთ ამათი გაკეთებული. იგივე საერთაშორისო საზოგადოება რომ ახსენეთ, შეშფოთებისა და უაზრო რაღაც რიტორიკის გარდა, მოგისმენიათ მათგან რამე ნორმალური? ტიპური ავტორიტარული რეჟიმი გვაქვს სახეზე, კაცი ლამის იმპერატორად ეკურთხოს და ტაშს უკრავენ, ამ დროს პრობლემა რა ყოფილა: რუსეთში ქსენია სობჩაკს ფული წაართვეს თურმე... არავინ არაა ჩვენი პატრონი და არავის ვაინტერესებთ.

რაც შეეხება სადამკვირვებლო მისიებს, რამდენი ამომრჩეველიცაა დღესდღეობით საქართველოში, იმდენივე დამკვირვებელი რომ ჩამოიყვანო და სათითაოდ ყველა მოქალაქეს კუდში სდიონ, შედეგი იქნება ნული. რატომ, იცით? — იმიტომ, რომ არ აინტერესებს მას შენი არჩევნები; ჩამოვა, საუკეთესო სასტუმროში იცხოვრებს, კარგს შეჭამს, დალევს, გაივლის, გამოივლის, დაწერს დასკვნას და მერე სულ არ აინტერესებს შენი საქართველო?! **ვის რაში სჭირდები, თუ ძმა ხარ, მეტი საქმე არ აქვს ახლა იმ ევროპელს და იმავე ამერიკელს, რომ შენი რაღაც წვრილმანი პრობლემების გამო, რომელიც ზღვაში წვეთიც არაა გლობალურ პრობლემებთან შედარებით, თავი აიტკიოს.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, რა ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ ხელისუფლების მოქმედება შეიზღუდოს?**

— მთავარი ბერკეტი ვართ ჩვენ — საზოგადოება. მეტი ამათ არავის და არაფრის ეშინიათ. აქედან გამომდინარე, დადგება ხალხი? ჩათვალეთ, რომ ხელისუფლება თავისთავად შეიზღუდება, თუ არა და ყველაფერზე წავლენ — დაიჭერენ, დაარბევენ, დახოცავენ და მაინც დარჩებიან. ფეხებსაც ვერავინ მოჭამთ ამის გამო.

**— 2007 წლის 7 ნოემბერს ხომ იდგა ხალხი? 2009-ში კი ოთხი თვე რუსთაველი გადაკეტილი იყო. რა მივიღეთ შედეგად?**

— მაშინ სხვა ვითარება გვქონდა. გახსოვთ, ხალხიც და ოპოზიციაც ამაყობდა იმით, რომ ფანჯარა არ ჩაგვიმტვრევია და ფოთოლი არ ჩამოგვიგდია. ამ დროს სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა.

ნახეთ, რა ხდება ევროპაში, საფრანგეთი ავიღოთ. საკმარისია, ხელისუფლებამ ოდნავ ძალა გამოიყენოს, მანიფესტანტები პირდაპირ იერიშზე გადადიან, დაულეწავი არ რჩება არაფერი; ახლა ვინმე იტყვის, რომ ფრანგებს ვინმეზე ნაკლები პატივისცემა აქვთ კანონის მიმართ? ამით იმის თქმა მინდა, რომ, **რა თქმა უნდა, ჯობია, რომ ქვეყანაში ყველა საკითხი, ყველა პრობლემა მშვიდობიანად და ცივილიზებულად წყდებოდეს, მაგრამ, როცა სხვა გზა არ არის და ხელისუფლება პირდაპირ მუშტი-კრივზე გადადის, უნდა იბრძოლო კი არა, თავზე უნდა დაამხო ამ ნაძირალებს ყველაფერი.** მაშინ ექნება ხელისუფლებას კანონის პატივისცემა და ხალხის შიში. თუ არა და, ძალადობა იქნება ყოველთვის და ვიაროთ ასე ნაცემ-ნატყეპებმა, თავლაფდასხმულებმა...

**— საზოგადოების მხრიდან „ნაცმოძრაობა“ რა წინააღმდეგობასაც უნდა წააწყდეს, სახელისუფლო პროპაგანდა ამას ყოველთვის თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ამიტომ ხომ არ ჯობია, ოპოზიციამ პროვოკაციებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიოს და ძალადობას ძალადობითვე არ უპასუხოს?**

— პროვოკაციაზე ერთი რაღაც მახსენდება: მე, ლუკა კურტანიძე და მერაბ შათირიშვილი გელათიდან რომ მოვდიოდით, გამოვიარეთ ერთი კილომეტრი და მერაბი გვეუბნება, ახლა შეიძლება, ვიღაცამ გააჩეროს, მოგვაძახოს, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, სად მიდიხართ და გავარდესო. მერე-მეთქი? — პროვოკაციას არ ავყვეთო. ცოტაც რომ გამოვიარეთ, კიდევ გაგვაჩერა და ისევ იმავეს გვეუბნება. მერე მე ვუთხარი: ეგ რა გამოდის, დაჩინჩლულებმა ვიაროთ თბილისამდე? არ ავყვეთ კი არა, დავახრჩობ, ვინც უნდა იყოს-მეთქი. ახლა ამას რატომ გიყვებით, **პროვოკაციის არაყოლას აზრი აქვს მაშინ, როცა ამით რაღაცას იგებ, როცა თავს იზღვევ გარკვეული საფრთხისგან, მაგრამ როცა იცი, რომ, თუ გაჩუმდები და ხმას არ ამოიღებ, დედა გაქვს ნატირები შენც და შენს ქვეყანასაც, რას ჰქვია, პროვოკაციას არ ავყვები! უნდა გადაუარო სულ ყველას, ვინც წინ დაგიდგება. რომელ დათმობაზეა საუბარი...** მერე იძახოს, რამდენიც უნდა, ჯონ ბასმა, არაპროპორციული ძალა იყო გამოყენებულიო.

**— გასულ კვირას „ენდიაიმ“ მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ძირითადად ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქვეყანაში მზარდი პოლიტიკური პოლარიზაცია და პოლიტიკურ ლიდერებს შორის დიალოგი არ არსებობს, რა აზრის ხართ ამაზე და, საერთოდ, ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე საქართველოში?**

— ამ ნავაროს რომ ვუყურებ, დაუნის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თქვენც იცით და მეც, რომ ის, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენს. ნავარო ერთი პატარა გოშიაა, რომელსაც იმას ალაპარაკებენ, რაც უნდათ, სინამდვილეში კი აქ გაცილებით უფრო დიდი ძალები დგას მთელი პროცესების უკან. აი, ზუსტად იმ ძალებს უნდა ებრძოლოს ქართველი ხალხი, თუ გვინდა, რომ შედეგი მივიღოთ და ეს ბრძოლა უნდა იყოს უკომპრომისო. ისე არა, რომ გამოვიდეთ, ერთიორი კვირა ან ერთი თვე ფეხები ვაბრახუნოთ და მერე ბატკნებივით გავისუსოთ, თუ ვიწყებთ, უნდა დავიწყოთ. **ყველამ თავისი წილი პასუხი უნდა აგოს ყველაფერზე და, თუ ეს არ მოხდება, თუ შემდეგ ვინც იქნება ხელისუფლებაში, უწინარესად, ამით არ დაიწყებს, ჩვენ მივიღებთ ათჯერ უფრო საზიზღარ მთავრობას.**

**— თქვენი აზრით, რა დონეზე შეიძლება პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და რა ფორმით?**

— მარტივად შევხედოთ ამ ყველაფერს, დემოკრატიაზე რომ გვაქვს პრეტენზია? ჰოდა, მოდი, პატივი ვცეთ კანონს, კონსტიტუციას, ნუ დაიწყებენ ახლა ზოგიერთები საუბარს, ის ხომ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია, როგორ შეიძლება მისი ასე იოლად გასამართლებაო... **მთავარსარდალი კი არა, ბანდიტი და სისხლისმსმელია, რატომ უყურებთ იმ პოზიციიდან, რომ პრეზიდენტია. რა, თავისი ქვეყნის პირველი პირი არ იყო ჩაუშესკუ? იგივე მუბარაქი ან ბენ ალი? სააკაშვილს ჯიბეში ჩაისვამდა ერთიც და მეორეც, მაგრამ სად არიან ახლა? ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.** ასე რომ, როცა საუბარია კონკრეტულ დანაშაულებზე, ამდენ მკვლელობაზე, გატაცებაზე, წამებაზე და კიდევ უამრავ საშინელ ფაქტზე, რომლებიც დღემდე გამოუძიებელია, იქ **საერთოდ არ უნდა იყოს ლაპარაკი იმაზე, უნდა დადგეს თუ არა პასუხისმგებლობის საკითხი, დადგეს კი არა, ნემსის ყუნწში უნდა გააძვრინო ეს არაკაცები, ოღონდ ხაზს ვუსვამ: რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა ფორმით შეიძლება გასამართლება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ვინც ჩაიდინა, იმ ხალხზე არაფერს ვამბობ, იმიტომ, რომ ეს უკვე სასამართლოს საქმეა, მაგრამ წვრილმანი ხულიგნები რომ არიან, იგივე ზოგიერთი რიგითი პოლიციელებისა და ზონდერების სახით, მათთვის მე მაქვს ასეთი სასჯელი მოფიქრებული: შევყაროთ ეს ადამიანები ერთად სადმე, ტრიალ მინდორზე, სასურველია სტადიონზე, მოვიყვანოთ ქალები და ძალიან ნაზად, მსუბუქად ამ არამზადებისთვის პანღური ამოვარტყმევინოთ. ამის შემდეგ უნდა მოიკვეთონ ეს ჭიტლაყამორტყმული ნაძირლები და მერე, ვინც ამათ მიესალმება, წყალს მიაწვდის ან დაელაპარაკება, ყველა უნდა იქნეს შეჩვენებული. აი, ამით უნდა აგრძნობინო თითოეულ იმ მონა ჯალათს, ვინც ამათ სამსახურშია, რომ მათი ადგილი არ არის ამ ქვეყანაში და საზოგადოებაში, თორემ თავისით ამ არაკაცებს ასი წელი არ ეყოფათ აზრზე მოსასვლელად. პირიქით, **ეს ხალხი უკვე იმდენადაა შეშინებული და შოკირებული, რომ ლამის ჩაისვარონ, ამიტომ სააკაშვილის იქით ახლა გზას ვერ ხედავენ; ესაა მათი ერთადერთი ხსნა და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სამარეში ჩაჰყვებიან ხელისუფლებას...**

**— ეს, რასაც თქვენ ამბობთ, სამართლებრივი დასჯა არ გამოდის.**

— სამართლებრივ დასჯაზე არც ვსაუბრობ, კანონით კანონის მცოდნეებმა გაასამართლონ და გამოიტანონ განაჩენი. მე მხედველობაში მყავს ის ხალხი, რომელსაც არც ისე მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ციხეში ჩაისვას, მაგრამ, ამავე დროს, მაინც ბევრი რამ გააფუჭა. ჩემი აზრით, ეს ადამიანებიც უნდა დაისაჯონ და თანაც სამაგალითოდ, იმიტომ, რომ ამ 20 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ძალიან ბევრი უსამართლობა მოხდა ქვეყანაში, რაზეც პასუხი არავის უგია, ეს თუ არ დასრულდა, უსამართლობას მიეცემა ისეთი სახე, რომ დაუსჯელობის განცდა ქრონიკულ დაავადებასავით შეეყრება თითოეულ ჩვენგანს და მერე უკვე ძალიან ძნელი იქნება, გაარკვიო, ვინ რა დააშავა და ვის რა პასუხი უნდა მოეთხოვოს. ხელისუფლებისთვის ეს იდეალური ვარიანტია.

**— მერაბიშვილის გაპრემიერებაზე რა აზრის ხართ, რას ნიშნავს, თქვენი აზრით, ეს ყველაფერი?**

— რამდენიმე ვერსია შეიძლება განვიხილოთ. ერთი: მოგეხსენებათ, დიდი ხანია, საუბრობენ იმაზე, რომ მერაბიშვილი ძველებურად ვეღარაა „ნაცმოძრაობის“ სხვა წევრებთან და, შესაძლოა, მისი დაწინაურებით ეს ეჭვები გაფანტეს; მეორე: აქამდე თუ საუბარი იყო მერაბიშვილის ფორმალურ შინაგან საქმეთა მინისტრობაზე, რეალურად კი ხელისუფლების მთავარ საყრდენზე, ახლა ოფიციალურად განუმტკიცეს ამ ადამიანს ძალაუფლება და ჩააბარეს მმართველობის სადავეები; მესამე: შესაძლოა, ვანო მერაბიშვილი არ მიდიოდა ისეთ რაღაცებზე, რაც სააკაშვილს სურდა, ამიტომ მის ადგილას უფრო მორჩილი ადამიანი სჭირდებათ. ვინ შეიძლება იყოს ასეთი, მოდი, ამაზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ, თუ ეს ვერსია სიმართლესთან ახლოსაა და **თუ ახლა შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ახალაია, ჩათვალეთ, რომ ამას „ნაცმოძრაობაში“ სერიოზული რყევები მოჰყვება.**

რაც შეეხება შაშკინის კანდიდატურას, ის თუ დანიშნეს, ეს მხოლოდ ფასადური ცვლილება იქნება... ასე თუ ისე, საბოლოოდ ეს ე. წ. საკადრო გადაადგილებები მაინც იმაზე მიანიშნებს, რომ **ხელისუფლება პანიკაშია.**

**სააკაშვილმა უკვე აღარ იცის, რა ქნას და, ფაქტობრივად, ახლა თავს იმშვიდებს ამ ჩანაცვლებებით; ხან ვანო შეცვლის ვიღაცას, ხან — ბაჩო და ჰგონია, რომ ამით რამეს მიაღწევს, მაგრამ წასულია ამათი საქმე. ერთი კი არა, ათი ვანო რომ დანიშნონ იმ თანამდებობაზე, განწირულია ეს ხალხი საბოლოოდ...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ესენი აცხადებდნენ, 27 მაისს 150 ათასი კაცი გამოვიდაო. ვთქვათ და ამდენი ყოფილიყო, თითქმის მილიონნახევრიანი ქალაქია თბილისი და, პროცენტულად თუ დავიანგარიშებთ, მარტივი არითმეტიკით ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ათ პროცენტზე. აქედან გამომდინარე, მინდა ვკითხო იმ ადამიანებს, რომლებიც გაიძახიან, რომ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია: 10% არის ის მაჩვენებელი, რომელიც ამხელა აჟიოტაჟის საფუძველს იძლევა?“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვასილ ჭიჭინაძე:

# არჩევნების შემდეგ კიდევ ერთი წელი სააკაშვილი პრეზიდენტი იქნება და მას შეუძლია საერთოდ დაითხოვოს პარლამენტი



**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს ყოფილი დესპანი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში, დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა ევროატლანტიკური საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველოს წინაშე დგას ამოცანა, დემოკრატიულად ჩაატაროს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს განცხადება და რამდენად შეიძლება იგი ჩავთვალოთ რამე მინიშნებად ხელისუფლების მიმართ, როგორც ამას ოპოზიციის დიდი ნაწილი მიიჩნევს?**

— ჩემი აზრით, ამერიკის მხრიდან ეს არის ერთგვარი დაფიქსირება იმ პოზიციისა, რომ, **რაც აქამდე არჩევნები ჩატარდა, იყო ბლეფი და აბსოლუტურად შეუსაბამო დემოკრატიულ პრინციპებთან.** თავისთავად ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ამიტომ, მე პირადად მივესალმები ყველა მსგავს მინიშნებას, მაგრამ, მეორე მხრივ, მოდი, ასე შევხედოთ საკითხს: **რამდენი ასეთი განცხადება გვახსოვს ჩვენ იმავე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან, ევროპელი ლიდერებისგანაც და საბოლოოდ რა მივიღეთ შედეგად?** — აბსოლუტურად ყველა არჩევნები, რომლებიც ჩატარდა ამათ პირობებში, იყო ტოტალურად გაყალბებული. ახლა რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან: მე ვფიქრობ, შედეგის თვალსაზრისით, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ასე რომ, თუნდაც ყოველდღე გააკეთონ ამერიკელმა დიპლომატებმა ასეთი განცხადებები, ამით რაღაც სასწაული არ მოხდება და სააკაშვილის რეჟიმი ასოთხმოცი გრადუსით არ შემობრუნდება. მე მგონი, ამის ილუზია არც არავის აქვს. ამდენად, თუ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ან პარტიას რამე მოლოდინი გაუჩინა ამერიკის ელჩის განცადებამ, მინდა ვთქვა, რომ ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. **ბასს კი არა, საკუთარ თავს არ ემორჩილება ადამიანი, რაზეა ლაპარაკი, რომელ განცხადებას შეისმენს.**

**— თუ ხელისუფლებისთვის ამერიკის მითითებებსაც არ აქვს მნიშვნელობა, რას უნდა ველოდოთ მომავალი არჩევნებისგან?**

— მე არ ვიტყოდი, რომ სააკაშვილი ამერიკის მითითებებს არ ითვალისწინებს, უბრალოდ, ის, რაც ჩვენ, ამ შემთხვევაში საზოგადოებას, მითითება გვგონია, არის მხოლოდ დიპლომატიური ჟესტი სახელმწიფოსგან, რომელმაც მსოფლიოს თვალში სუპერდემოკრატიული ქვეყნის იმიჯი უნდა შეინარჩუნოს. ასე რომ არ იყოს და სააკაშვილს მართლა რაღაც მითითებებს აძლევდნენ იქიდან, დამერწმუნეთ, ესენი იმის ნახევარსაც ვერ გაბედავდნენ, რასაც ახლა შვრებიან.

რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, აქ ერთი რამ იკვეთება, **წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა ამათ გაყალბების ფუფუნება იმდენად არ აქვთ, იმიტომ, რომ კარგად იციან, ამას რა შეიძლება მოჰყვეს.** აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას აქცენტი გაკეთებული აქვს პროპაგანდაზე, რითაც უნდა, არჩევნები მოიგოს არჩევნებამდე. ნახეთ, რას აკეთებენ ეს ე. წ. ნაციონალური არხები: სამივე ტელევიზია, ფაქტობრივად, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ატრიალებს ერთსა და იმავეს — სააკაშვილმა გახსნა ქარხანა, სადღაც, რომელიღაც სოფელში ჩაიყვანა ტრაქტორები; შეხვდა მოსახლეობას, მოისმინა მათი პრობლემები და ა. შ. მოკლედ, მთელი ეს პიარი, რომელიც უკვე არანაირ ჩარჩოში არ ჯდება, გასცდა ყველაფერს და რაღაც უპრეცენდენტო სახე მიიღო; საბოლოო ჯამში, ერთი რამ არის ნათელი, კერძოდ ის, რომ ხელისუფლებას ამაზე დიდი, ამაზე საიმედო მექანიზმი არ გააჩნია. ესაა მისი მთავარი ძალა, ამიტომ, ბუნებრივია, ყველაფერს აკეთებენ პროპაგანდის საშუალებით. როგორ, რა ფორმით — ეს უკვე სხვა საკითხია და ამაზე კიდევ ცალკე შეიძლება იმსჯელო.

**— თქვენი აზრით, ეს პროპაგანდა ასრულებს თავის ფუნქციას?**

— ფუნქციის შესრულებაში თუ იმას გულისხმობთ, მოქმედებს თუ არა „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდა ვინმეზე, ალბათ, გაგიკვირდებათ, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ხელისუფლების მცდელობა უშედეგო ნამდვილად არ არის. მერე რა, რომ ეს ყველაფერი იაფფასიანი პიარია და თბილისში ვილაცებს სასაცილოდ არ ჰყოფნით, საქართველო ხომ მარტო დედაქალაქი არ არის?! აბა, **რეგიონებში გადით და დაელაპარაკეთ მოსახლეობას, გაგიჟდებით, ისეთ რამეს მოისმენთ. იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკვე ძალიან მძლავრად მოექცა ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ და ადრე თუ გვიან, ოპოზიციას დიდი სამუშაოს გაწევა მოუწევს ამ სეგმენტთან ურთიერთობაში.**

ესაა ადამიანების ის კატეგორია, რომლებსაც შეიძლება მართლა სჯერათ, რომ 2008-ში საქართველომ ომი მართლა მოიგო, რომ ლაზიკა, სადაცაა, შავი ზღვის მარგალიტი გახდება, და ნატოში ხვალ ან ზეგ მიგვიღებენ; ასე რომ, არ არის საქმე ისე მარტივად, როგორც ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს ჰგონია, **ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ მომავალ არჩევნებში, როგორც მინიმუმ, იბრძოლოს...**

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლებას გაყალბების ფუფუნება ნაკლებად აქვს, ობიექტური არჩევნების შემთხვევაში, მხოლოდ პროპაგანდის იმედად ყოფნა „ნაცმოძრაობისთვის“, ფაქტობრივად, პოლიტიკურ აღსასრულს ნიშნავს და, როგორ ფიქრობთ, დაუშვებს ამას სააკაშვილი?**

— მოკლედ, თქვენ ამბობთ, რომ **ხელისუფლებამ არჩევნები თუ წააგო, სააკაშვილის საქმე დამთავრებულია. ვთქვათ და მართლა ასე მოხდა, ოპოზიცია მოვიდა უმრავლესობით, რას ვიღებთ ამით?** კი, ბატონო, ახლანდელივით ბურთი და მოედანი მარტო ამათი არ იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, სამოცი პროცენტითაც რომ იყოს ოპოზიცია წარმოდგენილი, ის ხომ ვერაფერს ვერ დაამტკიცებს? ყველამ ვიცით, რომ ამისთვის საჭიროა ხმათა სამი მეოთხედი, რაც, სულ ცოტა, 70%-ით მოსვლას საჭიროებს. ახლა თქვენ გჯერათ, რომ ესენი 70%-ით არიან მომსვლელები?! ამასაც თავი დავანებოთ, ბევრს ავიწყდება, რომ **არჩევნების შემდეგ კიდევ ერთი წელი სააკაშვილი პრეზიდენტი იქნება და მას შეუძლია საერთოდ დაითხოვოს პარლამენტი.**

არაფერს ვამყობ იმაზე, რომ კონსტიტუცია ისე აქვს მორგებული, ფაქტობრივად, ხელს ვერ ახლებ...

**— გინდათ, თქვათ, რომ ის მოლოდინი, რაც მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით არსებობს, გადაჭარბებულია?**

— მე იმის თქმა მინდა, რომ მთლიანად საზოგადოების მიდგომაა ჩვენთვის წამგებიანი და არასწორი. პოლიტიკოსებზე არაფერს ვამბობ. მოკლედ, **სამწუხარო რეალობა ისაა, რომ, ფაქტობრივად, ფუქსავატი ერი გავხდით... თქვენ მოლოდინი ახსენეთ და ჩვენ ახლა რას ველოდებით, იცით? რომ გამოჩნდება ვინმე მესია, ბიძინა იქნება ეს, პეტრე თუ პავლე, რომელიც მოგვცემს მილიარდებს და მერე კარგად ვიცხოვრებთ. როგორ, რანაირად მოხდება ეს და რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ქვეყნის მომავალი, საკითხი ასე არ დგას.** ასე ვიყავით 80-იან წლებში, როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, გვახსოვს ყველას, ძარღვის გაწყვეტამდე გავიძახოდით, ბალახს მოვძოვთ, ოღონდ თავისუფლება მოგვეცითო. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე მთლად ასე იოლიც არ ყოფილა ეს ყველაფერი, როგორც ჩვენ გვეგონა, მაგრამ, საუბედუროდ, საზოგადოებამ ამით მაინც ვერ მიიღო საკმარისი გაკვეთილი, ხალხმა ვერ ისწავლა და ვერ განსაზღვრა, სად იყო შეცდომა, სად — არა, პირიქით — შემდეგ და შემდეგ კიდევ უფრო დიდი შეცდომები დაუშვა...

**— დასაწყისში თქვით, რომ ხელისუფლებას აქვს რესურსი, იბრძოლოს. 27 მაისს ბიძია ივანიშვილმა გრანდიოზული აქცია მოაწყო და, ფაქტობრივად, მთელი თბილისი ფეხზე დააყენა. თქვენი აზრით, სააკაშვილის რესურსი რამდენად საკმარისია ამხელა ძალასთან დასაპირისპირებლად?**

— რა ძალაა ივანიშვილი, მოდი, ამაზე ჯერ ნუ ვისაუბრებთ, ხალხი ქუჩაში ლევან გაჩეჩილაძესაც გამოჰყავდა თავის დროზე და ოპტიმიზმი მაშინაც არანაკლებ დიდი იყო, მაგრამ ყველას გვახსოვს, რა კრახიც მაშინ განვიცადეთ. რაც შეეხება 27 მაისის მანიფესტაციას, კი, ხალხი იყო და აქცია ნამდვილად შედგა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე გაცილებით მეტს ველოდი. ახლა რას ვგულისხმობ: **ესენი აცხადებდნენ, 150 ათასი კაცი გამოვიდაო. ვთქვათ და ამდენი ყოფილიყო, თითქმის მილიონნახევრიანი ქალაქია თბილისი და, პროცენტულად თუ დავიანგარიშებთ, მარტივი არითმეტიკით ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ათ პროცენტზე. აქედან გამომდინარე, მინდა ვკითხო იმ ადამიანებს, რომლებიც გაიძახიან, რომ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია: 10% არის ის მაჩვენებელი, რომელიც ამხელა აჟიოტაჟის საფუძველს იძლევა?**

**— გასაგებია, მაგრამ ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ადამიანებით, რომლებიც ქუჩაში გამოდიან, ბევრი მიზეზთა გამო ვერ ახერხებს ამას.**

— ხშირად მსმენია ასეთი საუბარი, ყველა იმ ადამიანის უკან, რომელიც გამოდის და ხმამაღლა აფიქსირებს საკუთარ პროტესტს, მინიმუმ სამი-ოთხი კაცი უნდა მოვიაზროთ ოჯახის წევრებისა და ნათესავების სახითო. დალოცვილო, იმ პოლიციელს, სპეცრაზმელს თუ უბრალო ჯარისკაცს, სააკაშვილის სამსახურშიაო, რომ გაიძახი, როგორ ფიქრობ, ოჯახი არ ჰყავს? რა ვქნათ ახლა, რად მოვიაზროთ ეს ხალხი? ან პედაგოგები ავიღოთ, საერთოდ, საჯარო სექტორში მომუშავე ხალხი, მათ თუ ხელისუფლების მხარდამჭერებად აღვიქვამთ, რა გამოდის — მოსახლეობის სულ ცოტა 30-40 პროცენტის ხმა გარანტირებული ჰქონია „ნაცმოძრაობას“... მოკლედ, არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს ხელისუფლების მიმართ კითხვები არ ჩნდება, მაგრამ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **კრიტიკა, ამ შემთხვევაში, უფრო მეტად გვმართებს ოპოზიციის მისამართით, იმიტომ, რომ სწორედ ოპოზიციაა პოლიტიკური სპექტრის ის ნაწილი, რომელიც დაზღვეული უნდა იქნეს შეცდომებისგან. ხელისუფლებასთან მიმართებაში ყველაფერი გასაგებია, დიდი ხანია, შევთანხმდით, რომ ესენი გასასტუმრებლები არიან, ამიტომ სამსჯელო და სადისკუსიო აქ არაფერია...**

**— დასასრულს, ისევ ბიძინა ივანიშვილზე გკითხავთ: თქვენი აზრით, რამდენად გააჩნია მას, თუნდაც პიროვნულად, იმის რესურსი, რომ რუსეთთან ურთიერთობა თუნდაც ნაწილობრივ მოაგვაროს? ადრე თუ გვიან, ალბათ, მაინც მოგვიწევს ამაზე ფიქრი.**

— გვიან კი არა, ახლავე, ამთავითვე თუ არ იფიქრა ამ პრობლემის გადაჭრაზე იმ ძალამ, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, რა აზრი აქვს ან ამათ გაშვებას, ან, საერთოდ, არჩევნების ჩატარებას! ეს უნდა იყოს პრიორიტეტი, იმიტომ, რომ არ გამოდის ქვეყნის განვითარება სხვანაირად; **ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ამერიკელებს დღე უთენდებათ და ღამე უღამდებათ იმაზე ფიქრში, როგორ უშველონ საქართველოს. ეს აბსურდია და ასეთი ილუზია, მე მგონი, დღეს არავის აქვს, გვინდა თუ არა, გვიხარია თუ არა, რუსეთი — ეს უზარმაზარი სახელმწიფო არის შენი კარის მეზობელი და ვერსად ამ რეალობას ვერ გაექცევი.**

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, რუსეთთან მიმართებაში მას ჯერჯერობით მკაფიოდ არ დაუფიქსირებია საკუთარი პოზიცია. ამიტომ ამ ეტაპზე ძნელია, მის რესურსებზე, კონკრეტულად ამ თვალსაზრისით, საუბარი, მაგრამ ერთი რამ უდავოა, **თუ მან ერთ-ერთ მთავარ ამოცანად არ დაისახა კრემლთან ურთიერთობის მოგვარება, სხვა, რაც უნდა გააკეთოს, ვერანაირ წარმატებას მისი პოლიტიკა ქვეყანას ვერ მოუტანს.**

**— არსებობს რეალურად ამის საშუალება?**

— სწორი მიდგომის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არსებობს. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უამრავი ჩვენი თანამემამულეა, რომელთაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ამ ურთიერთობების მოსაგვარებლად.** მაგალითად, **ამასწინათ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ წავიკითხე თქვენს გაზეთში და მინდა გითხრათ, რომ ის მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ფუნქციაზე მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე, არის ერთგვარი რუკა, რომელიც პირდაპირ გისახავს და გიჩვენებს, რა გზით შეიძლება წარიმართოს მომავალი. ერთია, რომ ხელისუფლებას არ სჭირდება ასეთი ხალხი და ახლოს არ იკარებს... თუ ივანიშვილიც, ან ვინც იქნება შემდეგში, ამ პოლიტიკით იხელმძღვანელებს, — ჩემზე ჭკვიანი ჩემთან არ უნდა იყოს, — მივიღებთ იმავეს, რაც ახლა გვაქვს, ამ ხელისუფლების სახით, და მეტიც — შეიძლება ბევრად უფრო დამანგრეველი აღმოჩნდეს ის ძალა, რომელიც მომავალში იქნება ქვეყნის სათავეში, იმიტომ, რომ საერთოდ, ერთი და იმავე შეცდომის გამეორებას, როგორც წესი, აქვს ხოლმე ორმაგი ეფექტი, რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის და სახელმწიფოსთვის, შეიძლება ითქვას, ათმაგად დამღუპველია...**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახლო აღმოსავლეთის „სახალხო რევოლუციებში“ ისრაელის, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი ურევია. მიზანი ამ ქვეყნების სათავეში მეტ-ნაკლებად პროდასავლური ხელისუფლების დაყენება იყო. ბოლომდე შესრულდა თუ არა ეს მიზანი, სხვა საქმეა. ე. წ. თვითნაბადი აჯანყებები, რევოლუციები დღევანდელ მსოფლიოში გამორიცხულია.



# ანზორ მაისურაძე: დღევანდელ პროცესებში სპეცსამსახურების ხელი ურევია

### „ამოქუხდი ნაკადულო!“, ანუ ექსპოზიცია

ვაშა საქართველოში დამყარებულ რეჟიმს, რადგან მისი წყალობით თავზე უხვად გვებნევა ცის მანანა!

თუ — წყლის არნახული დებიტი, რომელიც 28 ივნისს ცისკენ ავარდა თბილისში — შუა წერეთლის პროსპექტზე.

რამდენიმე საათით მაინც ხომ „გადავუხურეთ“ ჟენევას, სადაც, აგრეთვე, ჩქეფს შადრევანი, სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით ქმნიან ასეთ ეფექტს — სარკესავით მშვიდი ზედაპირიდან ამოფრქვეული წყლის მოულოდნელ სანახაობას.

ჩვენთან ბუნებრივად მოხდა: არავითარი სპეცტექნოლოგიები და ტვინის ჭყლეტა — წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალი გასკდა და, აჰა, შედეგი — უფასო და მუქთი — ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეზე ატყორცნილი ჭავლი.

ხალხი ეძებდა მიშას და ჰკვირობდა, რომ ეს გიგანტური შადრევანი მის გარეშე გაიხსნა.

მიშა იყო ბრიუსელში, იქ, სადაც პომპეზური მოედნის — გრანდ პლასის მახლობლად, ორი ქუჩის — Rue d l'Etuve-ისა და Rue de Chen-ის კუთხეში დგას „მანეკენ პისის“, ანუ „პატარა ჟულიენის“ — პუტკუნა ბიჭუკელას 61 სანტიმეტრიანი ფიგურა, რომელიც... დიახ, რომელიც „ფისის შვება“: მოწანწკარებს ციცქნა ნაკადული.

სამაგიეროდ თბილისში ისე იყო, თითქოს გარგანტუა ჩამობრძანდა, ცხადია, ტურისტად ან „ვიზიტორად“ და თავზე გადააფსა თბილისს — მაინც კარგავსო დედაქალაქის ფუნქციას.

მიშა იყო ბრიუსელში, სადაც ემიგრანტმა ქართველებმა მდუმარე აქცია მოუწყვეს სუშიბარში ქადაგად დავარდნილ სააკაშვილს.

თბილისში გრიალებდა უფასო შადრევანი, სამეგრელო წყალს მიჰქონდა და მისი აღმატებულება, რომელმაც „შეწყვიტა ვიზიტი აზერბაიჯანში“, რეზინის ჩექმებით მუხლებამდე მღვრიე წყალში გავლის საოცარი სანახაობით გვაკვირვებდა: წყალზე — ვერა, წყალში — კი...

**«ამერიკის ნებართვის გარეშე ჩვენი ხელისუფლება ირანთან ვერანაირ პოლიტიკას ვერ განახორციელებს, უახლოეს მომავალში მაინც... უვიზო რეჟიმი საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს, დაამყაროს ურთიერთობა მათთვის საინტერესო ირანის მოქალაქესთან, რომელიც საქართველოში უპრობლემოდ შემოვა»**

### აშშ-ისა და რუსეთის ინტერესების სარბიელი

საქართველო მოსალოდნელი მღელვარების ტალღებზე ტივტივებს. ჩაიძირება თუ არა, ამაზე მარჩიელობს დღეს მთელი პოლიტოლოგიური ელიტა.

იმედის გვირილას თანმიმდევრობით წყდება კონკრეტიკის ფურცლები. ერთ-ერთი ნატოში შესვლის პერსპექტივაა.

**— ბატონო ანზორ,** — მივმართავ უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს, — **გადაგვეწურა ნატოში შესვლის იმედი?**

— იყო კი ოდესმე რეალური?! შეგახსენებთ, როცა რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის — მედვედევის საგარეო პოლიტიკაზე საუბრობენ რუსი ანალიტიკოსები, კერძოდ, ამ სფეროში მის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევაზე, პირდაპირ ამბობენ, რომ ასეთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-თან შეთანხმება იმაზე, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდება. კულუარული საუბრების ჩარჩოებში კი არ ლაპარაკობენ, საჯაროდ, ტელევიზიით გამოდიან.

**— რაიმე დოკუმენტს იმოწმებენ?**

— **(ეღიმება).** ასეთ შეთანხმებებს დოკუმენტურად არასოდეს აფორმებენ, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებსაც კი ქვეტექსტები აქვს ყოველთვის.

**— მაგალითს დაასახელებთ?**

— აშშ და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ ავღანეთში შეიარაღების გადასაზიდად ამერიკა რუსეთის ქალაქ ულიანოვსკს გამოიყენებდა, როგორც სატრანზიტო პუნქტს. ამ შეთანხმებიდან აშშ წელიწადში 130 მილიარდ დოლარს იგებს, თავისთავად ცხადია, რომ არც რუსეთი დარჩა წაგებული. მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ეს არ არის.

**— რაზე მიმანიშნებთ?**

— იმაზე, რომ ეს ორი ზესახელმწიფო ერთმანეთის ინტერესებს ითვალისწინებს, უწინარეს ყოვლისა.

ამას წინათ, პუტინმა და ობამამ დიდი ოციანის სამიტზე სამი საათის განმავლობაში პირისპირ რომ ილაპარაკეს, ეს არაფერს გეუბნებათ?

ახლა კი, ზემოთ მოხმობილი მაგალითი გავაანალიზოთ. ავღანეთში ამერიკის ინტერესი რომ დევს, ეს საკამათო საგანი არ არის; რუსეთის — იმდენად, რამდენადაც.

სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის ინტერესი დევს. ამ ინტერესის შემადგენელი ნაწილია საქართველო, კერძოდ, მისი სეპარატისტული რეგიონები; ამერიკის — იმდენად, რამდენადაც.

თუ ერთგან რუსეთი აშშ-ს მხარში ამოუდგა ულიანოვსკის „სატრანზიტო დერეფნით“, კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების პრობლემა ამერიკამ დეკლარირების დონეზე მხარდაჭერით ამოწურა: მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და შეშფოთებულია რუსული „ოკუპაციის“ ფაქტით.

აბა, დააკვირდით: **გვეუბნებიან, გვპირდებიან, მაპ-ზე უკეთესს იგონებენ, „ასპირანტი ქვეყნის“ რანგში ავყავართ, მაგრამ ნატოში არ გვიღებენ.**

**აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რჩება.**

**— თქვენში, ალბათ, დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი ლაპარაკობს...**

— დავაზუსტებ, რომელიც ამგვარი საგარეო პოლიტიკის რეალიზაციაში პრაქტიკულად იღებდა მონაწილეობას.

**— რახან თქვენს პროფესიას შევეხეთ, მოდით, ამ გადმოსახედიდან გაგვარკვიეთ: ამერიკა სულ უფრო აძლიერებს ირანზე ზემოქმედებას; მდგომარეობა იმდენად გამწვავებულია, რომ ომის გარდაუვალობაზეც კი ალაპარაკდნენ ექსპერტები. ამ დროს საქართველო ირანთან უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას იღებს. აღარ მივყვებით აშშ დრენდოუტის ფარვატერს?**

— თქვენ გგონიათ, რომ ამერიკის საპირწონედ დამყარდა უვიზო რეჟიმი?

**— მიმომხილველები ამბობენ.**

— რაც სწორი არ არის. **ამერიკის ნებართვის გარეშე ჩვენი ხელისუფლება ირანთან ვერანაირ პოლიტიკას ვერ განახორციელებს, უახლოეს მომავალში მაინც.** თუმცა ჩვენს საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგა სწორედ მაშინ, როცა აშშ-ისა და ირანის ურთიერთობა უაღრესად არის გამწვავებული.

**— და ამ ნაბიჯით რუსეთის მხარეს დავდექით?**

— ასე ჩანს, მაგრამ ასე არ არის.

**— მაშ, თავისი რა ინტერესი ჩადო ამერიკამ ჩვენი ამ უვიზო რეჟიმის შემოღებაში?**

— საქმე ისაა, რომ **უვიზო რეჟიმი საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს, დაამყაროს ურთიერთობა მათთვის საინტერესო ირანის მოქალაქესთან, რომელიც საქართველოში უპრობლემოდ შემოვა.**

**— რახან გულახდილად ლაპარაკობთ, ბარემ ისიც თქვით, ახლო აღმოსავლეთის რევოლუციები მართლა სოციალური ქსელებით იყო ორგანიზებული, თუ აქაც სპეცსამსახურები მუშაობდნენ?**

— სოციალური ქსელები, ინტერნეტი კავშირურთიერთობის ტექნიკური საშუალება იყო. მართალია, — ეფექტიანი. ორგანიზება ღონისძიებათა ურთულესი კომპლექსია, რომელიც, მათ შორის, დაზვერვის მონაცემების დეტალურ და მეცნიერულ ანალიზზეა დაფუძნებული, რომელსაც სპეციალური კვლევითი ინსტიტუტები აწვდიან შესაბამის სტრუქტურებს.

ეს ზოგადად.

კონკრეტულად **„აფრიკული გაზაფხულის“ უკან დგას ერთი პატარა სახელმწიფოს დიდი ინტერესი. სახელმწიფ-** ▶

**«აფრიკული გაზაფხულის“ უკან დგას ერთი პატარა სახელმწიფოს დიდი ინტერესი, სახელმწიფოსი, რომელსაც ემუქრებოდნენ და დღესაც ემუქრებიან არაბები. ეს არის ისრაელი, რომლის მიმართ ყველაზე ძლიერი მუქარის ნაკადი მოდიოდა ერაყის, ლიბიისა და სირიის მხრიდან. რა დაემართათ ამ ქვეყნებს? დღეს მათი მხრიდან ისრაელის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება ნულს ქვემოთაა»**

მოკლედ

## დომინიკ სტროს კანმა მეუღლე და ბინა დაკარგა

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი უფროსი დომინიკ სტროს კანი, რომელიც გასულ წელს სექსუალურ სკანდალებში გაეხვა და დაანგრია თავისი პოლიტიკური კარიერა, მეუღლეს დაშორდა.** ტელეჟურნალისტ ანა სინკლერთან მას 20 წელზე მეტხნიანი ქორწინება აკავშირებდა. წყვილი ერთმანეთს დაახლოებით ერთი თვის წინ დაშორდა, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. მიზეზები, რის გამოც მათ გადაწყვიტეს დაშორება, ცნობილი არ არის, მაგრამ ჟურნალისტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათი განქორწინება გამოიწვია სტროს კანის სასამართლო საქმეებმა. იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალეულობა დაუმტკიცდება, 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.



## ავღანეთში ნატოს 3 სამხედრო მოკლეს

**ავღანეთის სამხრეთში 1 ივლისს ნატოს 3 სამხედრო მოკლეს. სააგენტო France Press-ის ინფორმაციით, მათ ავღანური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა ესროლა.** მოკლულების მოქალაქეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. სააგენტოს მონაცემებით, სულ 2012 წელს ავღანეთში 18 ინციდენტი მოხდა, როდესაც ადგილობრივი ძალოვანები ნატოს წარმომადგენლებს ესხმოდნენ თავს. მოკლულია, სულ ცოტა, 26 ადამიანი. Associated Press–ის ინფორმაციით, ავღანეთში მხოლოდ ბოლო თვეში 39, ხოლო 2012 წლის განმავლობაში – 215 უცხოელი სამხედრო მოკლეს.

„დაზვერვის სკოლაში გვასწავლეს: როგორც კი რომელიმე ძალა მოვა ხელისუფლებაში, იმავე წამს, როგორც დიდი წრის შიგნით წერტილი, გაჩნდება მისი ოპოზიცია. შემდეგ ეს წერტილი თანდათან დიდდება, ფართოვდება და გადაფარავს ამ წრეს — ხელისუფლებას. ეს ბუნების კანონივით არის, ისეთი დიალექტიკაა, რომელსაც ვერაფერი — ვერც კუთხური სპეციფიკა, ვერც რეპრესიები — ვერ შეაჩერებს.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ოსი, რომელსაც ემუქრებოდნენ და დღესაც ემუქრებიან არაბები. ეს არის ისრაელი, რომლის მიმართ ყველაზე ძლიერი მუქარის ნაკადი მოდიოდა ერაყის, ლიბიისა და სირიის მხრიდან.**

რა დაემართათ ამ ქვეყნებს? დღეს მათი მხრიდან ისრაელის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება ნულს ქვემოთაა.

დარჩა ირანი, მაგრამ ეს ცალკე თემაა...

მოკლედ, ახლო აღმოსავლეთის „სახალხო რევოლუციებში“ ისრაელის, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი ურევია. მიზანი ამ ქვეყნების სათავეში მეტ-ნაკლებად პროდასავლური ხელისუფლების დაყენება იყო. ბოლომდე შესრულდა თუ არა ეს მიზანი, სხვა საქმეა.

ე.წ. თვითნაბადი აჯანყებები, რევოლუციები დღევანდელ მსოფლიოში გამორიცხულია. ერთხელ უკვე ვთქვი და გავიმეორებ: **ყველა მიტინგი, რომლებიც საქართველოში იყო მოწყობილი, ყველა გამოსვლა, რომლებიც იყო და იქნება, შეუძლებელია განხორციელდეს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინების გარეშე...**

**— ბატონო ანზორ, საოცრებას ამბობთ! გულისხმობთ იმ დროსაც, როდესაც ეროვნული მოძრაობა აღზევდა?!**

— იმ დროიდან მოყოლებული.

**— მაშინ ვისი ინტერესები იყო ჩადებული?**

— ამერიკის შეერთებული შტატების... და სხვა ქვეყნების, აბა, რა! პირდაპირ უხდიდნენ ფულს, ამის ინფორმაცია მქონდა...

**— მაშინდელ ლიდერებს?!**

— დიახ, დიახ! ეგრეა...

## იქნება საქართველოში სამოქალაქო ომი?

**— „რევოლუციის ნაპერწკალზე“ მინდა გკითხოთ, რომლიდანაც უნდა ავარდეს „რევოლუციის ალი“, ოღონდ ამჯერად — სამოქალაქო ომი. ხომ არ არის ახლახან სამეგრელოს სოფლებში — ოდიშსა და ორულში, ორიოდ დღის წინათ ქართლის სოფელ მერეთში ჩასული ბიძინა ივანიშვილის მომხრეებსა და ხელისუფლების მიერ მოხმობილ ორიოდ „ქუდზე კაცს“ შორის ამტყდარი დაპირისპირება და შეხლა-შემოხლა ასეთი საშიშროების შემცველი?**

— არა მგონია. რატომ არა მგონია, იცით? სამოქალაქო ომი რომ დაიწყოს, ქვეყანაში უნდა იყოს შეიარაღებული ოპოზიციური ძალა, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის.

ამის კლასიკური მაგალითი იყო 1937 წლის ესპანეთის სამოქალაქო ომი რესპუბლიკელებსა და ფრანკისტებს შორის, რომელთაც ფაშისტურმა გერმანიამ დაუჭირა მხარი.

რაღა შორს წავიდეთ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების სამოქალაქო ომშიც ხომ ორი შეიარაღებული ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს აქ, ჩვენთან, საქართველოში. მაშინ ოპოზიცია შეაიარაღა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ.

**დღეს საქართველოში, გარდა ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურებისა, სხვა შეიარაღებული ძალა არ არსებობს.**

**— „მოხალისე“ რეზერვისტების ჯგუფები?**

— ისინიც სახელმწიფოს მიერაა შექმნილი — ოფიციოზმა აღიარა... ოპოზიციას აიარაღებს სხვა სახელმწიფო, რომლის ინტერესის სფეროში შედის რევოლუციურად განწყობილი ქვეყანა.

სირიაში დღეს ოპოზიციისა და ხელისუფლების შეიარაღებული დაპირისპირება ხომ არის?

**— არის, და პრეზიდენტი ბაშარ ასადი ამბობს, რომ მის ქვეყანაში სამოქალაქო ომია.**

— ვინ აიარაღებს სირიაში ოპოზიციას? დასავლეთი. ის ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებული არიან არეულობით: იგივე საუდის არაბეთი, იგივე ყატარი, იგივე კუვეიტი, რომლებზეც ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა.

**ჩრდილოეთ აფრიკაში მოვლენების განვითარებას რომ სპეცსამსახურები აკონტროლებს, ფაქტია. მართვადია...**

**— მაგალითად ლენგლიდან? ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ?**

— თქვენი შეკითხვა უკვე არის პასუხი...

**რაც შეეხება საქართველოს ოპოზიციას, სავსებით აშკარაა, რომ იგი შეიარაღებისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენს. როგორც ვიცით, მისი მიზანი მშვიდობიანი არჩევნებით ხელისუფლების შეცვლაა, ამიტომ სამოქალაქო ომზე ლაპარაკი ზედმეტია.**

«მერაბიშვილის გაპრემიერება, ჩემი აზრით, რეპრესიული მანქანის ახალი ძალით ამოქმედებას ნიშნავს. მოსახლეობის მასშტაბური დარბევის მიზეზი ნებისმიერი, მათ შორის, პროვოკაციულად მოწყობილი საპროტესტო გამოსვლა შეიძლება გახდეს. მერეთში და სხვა სოფლებში მოწყობილი დაპირისპირება, აშკარად ჩანს, სპეცსამსახურების უნიჭოდ ინსპირირებული აქციები იყო. ვეჭვობ, რომ სახალხო ამბოხს თანდათან ცეცხლს უნთებენ»



«დღეს საქართველოში, გარდა ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურებისა, სხვა შეიარაღებული ძალა არ არსებობს»

## ვერც ამბოხებას, ვერც დარბევას ვერავინ გამორიცხავს

— მაგრამ ის დაძაბულობა, რომელიც ქვეყანაშია, ის რეპრესიები, რომლებიც სახელმწიფოში მიმდინარეობს და გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება, ვანო მერაბიშვილის — პოლიციის შეფის — მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნა, რაც, ალბათ, საქართველოს პოლიციალიზაციის გვირგვინია, ხომ არის ხალხში არსებული ნეგატიური მუხტის კიდევ უფრო გაძლიერების მიზეზთა-მიზეზი? გამორიცხავთ სახალხო ამბოხებას?

— ამის გამორიცხვა არ შეიძლება. **მერაბიშვილის გაპრემიერება, ჩემი აზრით, რეპრესიული მანქანის ახალი ძალით ამოქმედებას ნიშნავს. მოსახლეობის მასშტაბური დარბევის მიზეზი ნებისმიერი, მათ შორის, პროვოკაციულად მოწყობილი საპროტესტო გამოსვლა შეიძლება გახდეს. მერეთში და სხვა სოფლებში მოწყობილი დაპირისპირება, აშკარად ჩანს, სპეცსამსახურების უნიჭოდ ინსპირირებული აქციები იყო. ვეჭვობ, რომ სახალხო ამბოხს თანდათან ცეცხლს უნთებენ.** თითქოს უმნიშვნელო ცემა-ტყეპა იყო, მაგრამ იმ კონფლიქტებში „პოლიციის კუდი“ რომ გამოჩნდა, ხომ ფაქტია?

თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ასეთი შეხლა-შემოხლები, ვის მიერაც გინდა იყოს დაგეგმილი, ადგილობრივი ჩინოვნიკებისა თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რეჟიმისთვისაა მომაკვდინებელი. არ ვიცი, ვინ გეგმავს, მაგრამ დამგეგმავს წინ ძალიან ცუდად რომ დაუხვდება, უეჭველია.

თანაც **სოფლის სპეციფიკა ისეთია, რომ ასეთი, თუნდაც ხელოვნურად დათესილი, დაპირისპირებით გამოწვეული შუღლი თაობიდან თაობაში გადადის. სოფლის მეხსიერება განსაკუთრებული ფენომენია. ის, რაც ქალაქში უცებ ნიველირდება, სოფელში ღრმად იდგამს ფესვს. ეს კი ადამიანების გახლეჩას, დაპირისპირებას იწვევს ხანგრძლივი პერსპექტივით,** უარყოფითად მოქმედებს ხალხის მორალურ მდგომარეობაზე, ამიტომ არც სოფლის, არც ქვეყნის ინტერესებში არ შედის ასეთი დაპირისპირება.

**— გთხოვთ, თქვენი პროფესიული ალღო მოიხმოთ და თქვათ, თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის აქციების ფონზე რამდენად რეალურია ეჭვი, რომ სამეგრელოში, კახეთში, სხვაგანაც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა არ ექნება? არსებობს ასეთი კუთხური დაყოფა?**

— არა, არ არსებობს. დაზვერვის სკოლაში გვასწავლეს: როგორც კი რომელიმე ძალა მოვა ხელისუფლებაში, იმავე წამს, როგორც დიდი წრის შიგნით წერტილი, გაჩნდება მისი ოპოზიცია. შემდეგ ეს წერტილი თანდათან დიდდება, ფართოვდება და გადაფარავს ამ წრეს — ხელისუფლებას. ეს ბუნების კანონივით არის, ისეთი დიალექტიკაა, რომელსაც ვერაფერი — ვერც კუთხური სპეციფიკა, ვერც რეპრესიები — ვერ შეაჩერებს.

**ივანიშვილი რომ მოვა ხელისუფლებაში, უნდა თუ არა, გვინდა თუ არა, წარმოიქმნება ის წერტილი — ოპოზიცია და იგიც ისევე განვითარდება, როგორც მისი წინამორბედი.**

**— ბატონო ანზორ, პირდაპირ გკითხავთ: ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში“ სპეცსამსახურების ხელი ურევია?**

— ეჭვი მეპარება, რომ არ ერიოს. მაგრამ რომელი ქვეყნის და ვის მხარეზე, ძნელი სათქმელია. მე ვერ ვიტყვი ამას.

მაგრამ ის კი მინდა ვთქვა, რომ განსაკუთრებული სიფხიზლე მართებთ ამ მოძრაობის ლიდერებსაც და საზოგადოებასაც მთლიანად.

ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდა ეკონომისტი და პოლიტოლოგი (მგონი, ასეა) გია მაისაშვილი და გაიხსენა ბუშისა და ალ გორის საპრეზიდენტო ორთაბრძოლის საფინალო ეტაპი, როცა გამარჯვებული მათ შორის დაადგინა ფედერალურმა სასამართლომ თავისი წევრების ხმების ერთკაციანი უმრავლესობით. **ბატონმა მაისაშვილმა დაგვმოძღვრა, რომ ასეთია სანიმუშო დემოკრატია. რა არის ამის ქვეტექსტი? საქართველოშიც მსგავსი კოლიზია რომ გამეორდეს, ხალხი უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც, მისი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უპირატესობას, რა თქმა უნდა, მმართველ ძალას მიანიჭებს...**

**ბოლოს და ბოლოს, აღარ უნდა გვეღირსოს ნორმალური ცხოვრება დაძაბულობისა და დაპირისპირების გარეშე?! საქართველო არავის არც სამემკვიდრეო მამული, არც ვოტჩინა არ არის!**

**ჩვენი სამშობლოა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

«სოფლის სპეციფიკა ისეთია, რომ ასეთი, თუნდაც ხელოვნურად დათესილი, დაპირისპირებით გამოწვეული შუღლი თაობიდან თაობაში გადადის. სოფლის მეხსიერება განსაკუთრებული ფენომენია. ის, რაც ქალაქში უცებ ნიველირდება, სოფელში ღრმად იდგამს ფესვს. ეს კი ადამიანების გახლეჩას, დაპირისპირებას იწვევს ხანგრძლივი პერსპექტივით...»

მსოფლიო



## მორმონთა ეკლესია 150-მა ადამიანმა დატოვა

**სოლტ-ლეიკ-სიტიში გამართულ საჯარო ცერემონიაზე 150-მა ადამიანმა მორმონთა ეკლესია დატოვა. რამდენიმე შტატიდან ჩამოსულმა მორმონებმა ხელი მოაწერეს „დეკლარაციას მორმონიზმისგან დამოუკიდებლობის შესახებ“.** ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის მიზეზად მათ მორმონთა მიერ ერთსქესიანი ქორწინების მიუღებლობა დაასახელეს. მათ აგრეთვე არ მოსწონთ მორმონთა დოქტრინის ის ნაწილი, რომელიც მეცნიერულ მონაცემებს არ სცნობს და რასისტულ ან სექსისტურ ხასიათს ატარებს. მორმონები ამერიკის რელიგიურ ჯგუფებს შორის ყველაზე კონსერვატიული კონფესიაა. 2010 წელს „გელაპის“ მერ ჩატარებული კვლევების მიხედვით მორმონთა 59-მა პროცენტმა საკუთარ თავს კონსერვატორი უწოდა, 31-მა პროცენტმა — ზომიერი, ხოლო 8%-მა — ლიბერალი. სულ მსოფლიოში 14 მილიონ 400 ათასი მორმონია. მორმონთა ეკლესიას ეკუთვნის პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნი. მისი გამარჯვების შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებს პირველი მორმონი პრეზიდენტი ეყოლება.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ერთი, წითელპერანგიანი გამოეყო, მოვიდა ჩვენთან და თითქოს კეთილგანწყობით დაიწყო საუბარი: არავისი არ მჯერაო. ბიძინა ვინ არის და მე რა გამიკეთაო. და დაიწყო „საზეპიროებით“ ლაპარაკი — ტურიზმი და ინვესტორები გადაგვარჩენსო. ვუთხარი, რომ, თუ ტურიზმის იმედად დავრჩით, დაიღუპება ქვეყანა, შეგვჭამს ეს დარგი. რატომო? — არ მეთანხმება. — კარგი ქალებიც ხომ ჩამოვლენო. წარმოიდგინეთ, როგორი არგუმენტებით ჰყავთ შეიარაღებული.“

ნოდარ მგალობლიშვილი:

# ეს ხელისუფლება რომ მიუშვა, ხოლოკოსტს მოგვიწყობს!

**საქართველოს სახალხო არტისტ ნოდარ მგალობლიშვილს შევუთანხმდით, რომ მცხეთაში, ბებრისციხესთან გამართული აქციის შემდეგ შევხვდებოდით ერთმანეთს და ვისაუბრებდით. ამ ორშაბათს რედაქციაში თავად მობრძანდა.**

**— გმადლობთ, ბატონო ნოდარ!**

**ცნობისთვის: ეს დიდი ხელოვანი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ჯგუფშია ჩართული და სოფელ-სოფელ ისე ენერგიულად დადის, უმწვავეს პრობლემებზე ისე აქტიურად და ლაღად ესაუბრება მოსახლეობას, ბევრ ახალგაზრდას შეშურდება. ამიტომ სრულიად მცხეთა-მთიანეთის მხარის 1 ივლისის შეკრების წარმატებაში მასაც თავისი წვლილი მიუძღვის.**





**— ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ „ქართულ ოცნებაში“ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ეს იყო „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი გამარჯვება...“**

— „კიდევ ერთი“ კი არა, საბოლოო დასკვნაა, გამარჯვების უტყუარი წინაპირობა, დადასტურება იმისა, რომ მიმდინარე პროცესი, რომელიც შარშანდელი 7 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო საქართველოში, შეუქცევადი ხასიათისაა.

რაც დრო გადის, ჩვენი ხალხი სულ უფრო რწმუნდება, რომ დგება დიდი ცვლილებების დრო, ჩვენს ქვეყანაში არსებობა გაუსაძლისია, ხელისუფლების პოლიტიკა არა მარტო ხალხსაა დაცილებული, არამედ ეკლესიასაც უპირისპირდება.

მე ძალიან მწყდება გული, რომ ასეთ ვითარებაში ზოგიერთი ღვთისმსახური უკადრისად იქცევა.

**— თქვენ ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს, მეუფე კალისტრატეს გულისხმობთ?**

— რასაკვირველია, მაგას და კიდევ ბევრ სხვას. სამწუხაროა, რომ მათ მხარი დაუჭირეს ბაგრატის ტაძრის იმ სახით მშენებლობას, სწორედ რომ მშენებლობას, რაც მეცნიერთა, მკვლევართა, არქიტექტორთა, სპეციალისტთა გონიერ პოზიციას ეწინააღმდეგება: **ბაგრატის იმ სახით აღდგენა, როგორითაც ხელისუფლების დაჟინებული სურვილით მიმდინარეობს, დანაშაულია და ისტორიის სახის წაშლა.**

— სამაგიეროდ ესალბუნება ხელისუფლის სულსა და გულს... ხოლო „იუნესკო“, სააკაშვილს ყური რომ დავუგდოთ, ის ორგანიზაციაა, რომელშიც თურმე საქმეების „ჩაწყობა“ შეიძლება. არ ეთანხმება მისი პოზიცია სააკაშვილისას და იმიტომ.

— როცა სააკაშვილმა თქვა, რომ ბაგრატის ტაძრის „მშენებლობა გაგრძელდებაო“, მან აბსოლუტურად არაფრად ჩააგდო პატრიარქის მოწოდება სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერების შესახებ.

ეს იყო სამარცხვინო ამბავი...

**— რომელსაც საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი რეაქცია არ მოჰყოლია.**

— იმიტომ, რომ საზოგადოება მასად აქციეს. მასას კი ვერაფერი გამოაფხიზლებს ერთი მაგარი შეძახილის გარდა, რომელიც, შესაძლოა, მსხვერპლშეწირვასაც მოითხოვს.

ისტორიულად ასე ხდებოდა, ამის მაგალითი უამრავია.

მე მგონი, ჩვენი საზოგადოება მივიდა იმ აზრამდე, თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის, მცხეთის ყრილობებმა ეს დაამტკიცა, რომ ერთიანობაა საჭირო.

**— გაერთიანება „ქართული ოცნების“ გარშემო?**

— დიახ! ხოლო **თავშეწირვის მაგალითს იძლევა ივანიშვილების ოჯახი.**

«ბაგრატის იმ სახით აღდგენა, როგორითაც ხელისუფლების დაჟინებული სურვილით მიმდინარეობს, დანაშაულია და ისტორიის სახის წაშლა»



«სააკაშვილს რას გაუგებ?! მისი ექსცენტრიულობა დეგენერატიზმამდე მიდის. ყვირის, ისტერიკაში ვარდება, ხელებს არაესთეტიკურად პარჭყავს. ადგილზე იწყებს ხტუნვას»

**ხომ კარგად გვახსოვს, რა განაცხადა ქალბატონმა ეკამ, ბიძინა ივანიშვილის ღირსეულმა მეუღლემ, როცა მისი ქმრის წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ჰკითხეს: ჩვენ ერთად გამოსულებს ველარ გვნახავთ, ერთ-ერთი რომ გადავრჩეთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთო! ეს იყო ცრემლიანი ნათქვამიც და სიმტკიცის, უმაღლესი ზნეობის დემონსტრირებაც.**

ეს მაგალითი დაინახა ხალხმა და შეაფასა.

ხალხმა ისიც დაინახა, რომ თვითონ ბიძინა ივანიშვილი ერთი წამითაც არ იმჩნევს, რომ შეიძლება რაღაც მოხდეს. ვაჟკაცია, რწმენითაა ძლიერი. მაგრამ მე მაწუხებს, ამას გულახდილად ვამბობ, რომ ხალხის მასაში ისე გაბედულად შედის, როგორც ქორწილში.

**— ენდობა.**

— ურთიერთნდობაა.

**— მაგრამ, იცით, თქვენს შეშფოთებას ადამიანები იზიარებენ და არ მალავენ ამას. ამ დილითაც „შალვა რამიშვილის დილაში“ დარეკა შეშფოთებულმა ტელემაყურებელმა: ბატონმა ბიძინამ მცხეთაში აქციის შემდეგ კარგა დიდი მანძილი ფეხით გაიარა და შემხვედრ ხალხს ხელს ართმევდაო. უთხარით, ნუ აკეთებს ამას, რადგან ყველა ერთნაირი არ არისო.**

— პრობლემა ადამიანურია: ხელი რომ არ ჩამოართვას, უკადრისობაში შეიძლება ჩაუთვალონ. ადამიანური სისუსტის მაჩვენებელია.

**— იმ სისუსტის, რომელიც მაღალზნეობრიობას ახასიათებს.**

— დიახ. მაგრამ არის ეს სისუსტე? ველაპარაკე ამის თაობაზე ბატონ ბიძინას და, მართალი ხარო, მიპასუხა.

როცა ასეთი კავშირია ხალხსა და ლიდერს შორის, **მინდა მივმართო ქართულ ოპოზიციურ სპექტრს: დავანებოთ ერთმანეთის ჭამას თავი. ახლა ამის დრო არ არის, ნუ დავძაბავთ სიტუაციას, მტერმა რომ „არ გაიხაროს ჩვენზედა“.**

**მტერი კი ვინცაა, ყველამ კარგად ვიცით: „ნაციონალური მოძრაობა“ ფაშიზმზე უარესია!** ფაშიზმს, ყველა ნაცისტურ უბედურებასთან ერთად, სხვა ხალხებზე, მთელ მსოფლიოზე არიული რასის ბატონობის პრეტენზია ჰქონდა. ჩვენი ხელისუფლება საკუთარ ხალხზე ბატონობისკენ ისწრაფვის და, თუ მივცემთ უფლებას, ხოლოკოსტს მოგვიწყობს. **ამ ხელისუფლების ხელში ერთმანეთი უნდა დავიცვათ ადამიანებმა, ხოლო ისინი, ვისაც ადამიანური აღარაფერი შერჩენია, მოვიცილოთ** ისე და იმგვარად, „ქართულ ოცნებას“ რომ ეკადრება.

## „სანამ პეტრე მოვიდოდა“ და იმის შემდეგ...

ხელისუფლებას პატიების, ლმობიერების უნარი დაკარგული აქვს, საზოგადოებას წაართვა თავისუფლება, ზნეობა, სიცოცხლე წაართვა. იმდენი დანაშაული ჩაიდინა, რომ მდგომარეობის შესანარჩუნებლად თავისი ხალხის წინააღმდეგ, გააფთრებული ბრძოლის გარდა, არაფერი დარჩენია.

მთავრობაში გადასკუპგადმოსკუპების ეს ახალი ციკლიც ადასტურებს, რომ ზემო ეშელონებში საშინელი კრიზისია.

ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებაც, ვფიქრობ, ამას ნიშნავს.

**— იმ ანდაზისა არ იყოს, „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო“, ბიძინას მოსვლამდე ვანოსაც იგივე საშიშროება ხომ არ ემუქრება? განტევების ვაცად ხომ არ სჭირდება სააკაშვილს?**

— შეწირავს, ყველას შეწირავს და იტყვის — მე რა, ეგენი აკეთებდნენო ყველაფერს. გამოვა სასამართლოს სხდომაზე და იტყვის, მე ხომ არ დამიხვრეტია 26 მაისს რუსთაველზე, პოლიციელები დემონსტრანტებს დამიზნებით რომ ესროდნენ, მე ხომ არ ვიყავიო?! მერაბიშვილს მოჰკითხეთო.

ათასი ფიქრი მომდის თავში ამ გადაადგილებასთან დაკავშირებით: ხომ არ არის ეს სააკაშვილის სისუსტის გამომჟღავნება, რომ უფრო ძლიერი და დაუნდობელი, სისხლიანი კაცი დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ▶

## «ნაციონალური მოძრაობა» ფაშიზმზე უარესია!»

„ერთმა ქალბატონმა გამიშიფრა „ინოვაციური“ უნამუსობა, რომლითაც სააკაშვილის აგიტატორები არიან შეიარაღებულნი. ამომრჩეველს წინასწარ აძლევენ ბიულეტენს, რომელშიც ხუთიანია შემოხაზული. მას ფარულად შეაქვს ასეთი ბიულეტენი საარჩევნო უბანში და ყუთში აგდებს. სანაცვლოდ სუფთა ბიულეტენი გამოაქვს და აბარებს „კოორდინატორს“. ეს უკანასკნელი, ერთის მხრივ, ასე აკონტროლებს „თავის“ ამომრჩეველს, მეორე მხრივ, ხელისუფლებისთვის მიცემულ ხმებს ითვლის და უზრუნველყოფს „ნაცების“ გამარჯვებას.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამ ხელისუფლების ხელში ერთმანეთი უნდა დავიცვათ ადამიანებმა, ხოლო ისინი, ვისაც ადამიანური არაფერი შერჩენია, მოვიცილოთ...»

**◀ — ჯერ რომ არ დაუნიშნავს? (ჩვენი საუბარი ორშაბათს შედგა).**

— ჩემთვის უკვე დანიშნულია, მოდის, რადგან ბაჩო ახალაიას გარდა სხვა ვარიანტი მაგას არ აქვს... აბა, თემურ ჩხეიძეს ხომ არ დანიშნავს ან რობიკო სტურუას?! **(ეცინება).** გივი ბერიკაშვილს თუ დაითანხმებს, უკეთესი იქნება **(გულიანად ვიცინით).**

ჩვენი **პრეზიდენტის უკანასკნელი გასროლაა ახალაია — ბრმა იარაღი, და ამიტომ სანდო და უტყუარი.**

სააკაშვილს რას გაუგებ?! მისი ექსცენტრიულობა დეგენერატიზმამდე მიდის. ყვირის, ისტერიკაში ვარდება, ხელებს არაესთეტიკურად პარჭყავს. ადგილზე იწყებს ხტუნვას.

**— ფეხსაცმლიდან ამოხტაო, ამაზეა ნათქვამი.**

— არ უხდება პრეზიდენტს ასეთი ეგზალტირება, მაგრამ ბუნების წინააღმდეგ ვერ წახვალ.

**— აგერ, გასულ კვირას, კიევის ცენტრალური სტადიონის ლოჟაში ლუკაშენკოს გვერდით გამოგვეცხადა. დაჯდა პეპელა საჭირო ადგილზე, დიქტატურის სურნელებით მიზიდული.**

— ასეთი ადამიანისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მას რეალობის შეგრძნება არ აქვს... ბაქოდან სასწრაფოდ ჩამოვიდა, ვითომ ძალიან აწუხებს სამეგრელოში იმ ადამიანების მდგომარეობა, რომელთაც წყალი სახლებში შეუვარდა.

**— რატომ წამოვიდა, ისიც საკითხავია.**

— რასაკვირველია... ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ შეიძლება ვიღაცას ისე მოჰკიდა ხელი, რომ იძულებული გახადეს. ესეც არის... **ბაქოში ვიყავი ცოტა ხნის წინათ და მაშინ მითხრეს, არ შეიძლება ეგ კაცი თქვენი პრეზიდენტი იყოსო. უზრდელიაო.** თქვენ საიდან ასკვნით-მეთქი? ასე გეუბნებით და, როგორც გინდათ, ისე გაიგეო. **ძალიან უწესოდ იქცევაო...**

უაზროდ იმპულსურია. ხან სად გარბის, ხან სად მიფრინავს...

**— დროს ატარებს.**

— დროსაც ატარებს და ამით გვაჩვენებს, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაცია მისთვის პრობლემა არ არის. ამის დემონსტრაციას ახდენს.

## სოფელ-სოფელ, ხელისუფლების „ფხიზელი თვალის“ მიდევნებით

**ნოდარ მგალობლიშვილი ლაპარაკობს მცხეთა-მთიანეთში, სოფელ-სოფელ ჩამოვლით მიღებულ თავის შთაბეჭდილებაზე. ერთგვარი რეპორტაჟია „ქართული ოცნების“ ერთი ჯგუფის მიმოსვლაზე ამ მხარეში, მცხეთის 1 ივლისის შეკრების წინ:**

— გავიარეთ რამდენიმე სოფელი. წამოწვიმა. თავი შევაფარეთ ავტობუსის გაჩერებაზე მოწყობილ ფარღალალა მოსაცდელს. ამის აშენებისთვის ჩვენმა გამგებელმა 3 ათასი ლარი დაგვადებინაო, — გვეუბნება იქაური კაცი, — ათ-ათი, ხუთ-ხუთი, სამ-სამი ლარი, და ნახეთ, რას ჰგავს! ხელი რომ ჰკრა, წაიქცევა.

20-25 კაცი შეგროვდა ჩვენს ირგვლივ. ვსაუბრობთ. ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდა ჩასაფრებულა და თვალს არ გვაცილებს. მოდით-თქო, — ვეძახით.

— არ მოვლენო, — გვეუბნებიან ჩვენი თანამოსაუბრენი, — ესენი „მთავრობის ხალხია“.

ერთი გამგებლის ძმა ყოფილა, ვიღაც სხვა — ნათესავი, ვიღაცა კიდევ სახელმწიფო სამსახურში მყოფი.

დავიჟინეთ: ვიცით, რომ ჩვენი მოსვლა გულზე არ გეხატებათ, მაგრამ ხომ გაქვთ რაღაცა სათქმელი, დაველაპარაკოთ ერთმანეთს. ხმაც არ გაგვცეს, გვიყურებენ გაშტერებულები.

აქედან სხვა სოფელში რომ ჩავედით, იქ გვიკადრეს და მოვიდნენ. ერთობ უცნაურად — აგვივლიან, ჩაგვივლიან და რაღაც ულიმღამოდ იძახიან: „მი-შა! მი-შა!“, ჩვენგან ვიღაცამ „ბიძინაო“, — უპასუხა. გავაჩერე — არ არის საჭირო, იმათ იძახონ, სანამ არ მოსწყინდებათ-მეთქი.

მოსწყინდათ და მოშორებით გაჩერდნენ.

**ერთი, წითელპერანგიანი გამოეყო, მოვიდა ჩვენთან და თითქოს კეთილგანწყობით დაიწყო საუბარი: არავისი არ მჯერაო. ბიძინა ვინ არის და მე რა გამიკეთაო. და დაიწყო „საზეპიროებით“ ლაპარაკი — ტურიზმი და ინვესტორები გადაგვარჩენსო. ვუთხარი, რომ, თუ ტურიზმის იმედად დავრჩით, დაიღუპება ქვეყანა, შეგვჭამს ეს დარგი. რატომო? — არ მეთანხმება. — კარგი ქალებიც ხომ ჩამოვლენო.**

**წარმოიდგინეთ, როგორი არგუმენტებით ჰყავთ შეიარაღებული.**

**ამ ლაპარაკში რომ ვართ, შემოგვიერთდა ერთი ხელჯოხიანი კაცი და ჟიქურ მიმართა წითელპერანგიანს: შენ რა გალაპარაკებს, როცა მკვლელის მეგობარი შენც მკვლელი ხარო. შენმა ძმაკაცმა ჩემს შვილს შუბლში მოარტყა ტყვიაო...** ჩხუბი მომხდარა, ამ კაცის შვილი მოუკლავთ და ეს საწყალი ადამიანი, 4-5 წელიწადია, ამაოდ ეძებს სამართალს. საქართველოში რომ ვერ მიუგნია, ამოუთხრია საფლავი და... **(უჭირს ნოდარ მგალობლიშვილს საუბრის გაგრძელება)...** და შვილის თავის ქალა სტრასბურგში სარჩელთან ერთად ნივთმტკიცებად გაუგზავნია... ხედავთ, სანამდე მიჰყავს გამწარებული ადამიანები ჩვენს „მაღალრეიტინგულ“ სასამართლოს!

— ჩემს შვილს აღარაფერი ეშველება, მაგრამ სამართალი უნდა ვნახოო, — გამწარებულია კაცი...

...კარგი ქალების ჩამოსვლით საქართველოს ეკონომიკის აყვავების იმედად მყოფი წითელპერანგიანი „აგიტატორი“ იქაურობას ისე გაეცალა, ვერც შევამჩნიეთ.

**— ბატონო ნოდარ, სოფლებიდან „აკრეფილი“ შთაბეჭდილებებით, როგორ ფიქრობთ, აქვს ბიძინა ივანიშვილს მცხეთა-მთიანეთში გამარჯვების შანსი?**

— ყველგან გვეუბნებოდნენ, მთელი სოფელი გამოვა და ბიძინას მხარეს დადგებაო. 90 პროცენტი მაინცო. არიან დაშინებულებიც, მაგრამ ეს შიში თანდათან ნელდება.

**ხელისუფლება ასე იოლად დანებებას არ აპირებს და გაყალბების ახალ მეთოდებს სთავაზობს ხალხს. ერთმა ქალბატონმა გამიშიფრა ეს „ინოვაციური“ უნამუსობა, რომლითაც სააკაშვილის აგიტატორები არიან შეიარაღებულნი. ამომრჩეველს წინასწარ აძლევენ ბიულეტენს, რომელშიც ხუთიანია შემოხაზული. მას ფარულად შეაქვს ასეთი ბიულეტენი საარჩევნო უბანში და ყუთში აგდებს. სანაცვლოდ სუფთა ბიულეტენი გამოაქვს და აბარებს „კოორდინატორს“. ეს უკანასკნელი, ერთის მხრივ, ასე აკონტროლებს „თავის“ ამომრჩეველს, მეორე მხრივ, ხელისუფლებისთვის მიცემულ ხმებს ითვლის და უზრუნველყოფს „ნაცების“ გამარჯვებას.**

**— სქემა გაშიფრულია!**

— გაშიფრულიცაა, მაგრამ არის შხამსაწინააღმდეგო მეთოდიც, რომელიც იქვე შევთავაზე. დაფიქრდნენ, მოეწონათ, სწორი ხარო, მითხრეს, და ასეც მოვიქცევითო.

**— იტყვით, რა შესთავაზეთ?**

— არა. ახალი რომ არ მოიგონონ: სახელისუფლო მანქანა არჩევნების გაყალბებაზე მუშაობს.

**— მცხეთა-მთიანეთში ექსცესები არ იყოო, ამბობენ.**

— გამოხდომების მსგავსი არაფერი მინახავს... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვითარება ყველგან ერთნაირია. **ერთმა ახლობელმა, რომელიც სამეგრელოს კარგად იცნობს, მითხრა, რომ სამეგრელოშიც კი, სადაც ახალაიების გვარი პარპაშობს, იქაც კი გატყდა შიში.** კახეთში გულგატეხის მსგავსი რამ შეინიშნება: ხელისუფლების ძალადობა თრგუნავს ადამიანების ფსიქიკას... ასეა ან დაახლოებით ასეა დღეს. ვნახოთ, რა იქნება ხვალზეგ, როცა ბატონი ბიძინა თვითონ შეხვდება კახელებს.

**— მცხეთაში ვნახე ბატონი კახი კავსაძე რომ იყო, ბატონი გივი ბერიკაშვილი... ეს ნიშნავს, რომ ხელოვანი ხალხი ჩართული ხართ სოფლების „მოხილვის“ საჭირო საქმეში?**

— გულახდილად გეტყვით, რომ მთლად ასე არ არის, მაგრამ გააქტიურების ტენდენცია სახეზეა.

მე სხვა საკითხი უფრო მაწუხებს.

აი, გავიმარჯვეთ, მოვიდა ახალი მთავრობა, დაიწმინდა ამღვრეული წყალი. გაივლის ორიოდე თვე და, ვაითუ, საზოგადოებაში გაჩნდეს ასეთი განწყობილება: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მე რა? რა სიკეთე მერგო მე? მეშინია სულსწრაფობის, უმადურობის გამჟღავნების, იმიტომ, რომ ადამიანში ესეც არის.

**— ბატონომა ბიძინამ აკი თქვა მცხეთაში, რომ თითოეულ ადამიანამდე მივალთო. კოალიციის პროგრამები აქეთკენააო მიმართული.**

— ბატონმა ბიძინამ ისიც თქვა, რომ ძალიან მალე ყველაფრის შესრულებას ნუ ელითო. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან კი არის ადამიანი „საზოგადოებრივი ცხოველი“, მაგრამ სათავისოდაა განწყობილი ყოველთვის. ამის სამწუხარო მაგალითები ვიცი, თუნდაც იგივე ჭორვილაში, სადაც ივანიშვილი თავის თანასოფლელებს თან გადაჰყვა. ერთი ჭორვილელი თავის უკმაყოფილებას საჯაროდ გამოთქვამდა: ჩემს მეზობელს 500 ლარს აძლევს, მე — სამასსო. თუმცა იცოდა, რომ მეზობლის ოჯახი გაცილებით მრავალსულიანი და უფრო გაჭირვებული იყო. სხვა კაცი თავის პრეტენზიას არ მალავდა: იმას წითელი კრამიტით გადაუხურა სახლი, მე ყავისფრითო! არადა, ორივეს აუშენა ის ნაირფერსახურავებიანი სახლები.

ასეთი განწყობილება რომ ჩნდება, გადამდებია და ჭიასავით ხრავს სიკეთის ნაყოფს.

ამის მეშინია და ამისგან მინდა გავაფრთხილო ხალხი.

მადლიერება — მადლის წილ, ქრისტიანობის აქსიომაა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



«ამ კაცის შვილი მოუკლავთ და ეს საწყალი ადამიანი, 4-5 წელიწადია, ამაოდ ეძებს სამართალს. საქართველოში რომ ვერ მიუგნია, ამოუთხრია საფლავი და... და შვილის თავის ქალა სტრასბურგში სარჩელთან ერთად ნივთმტკიცებად გაუგზავნია... ხედავთ, სანამდე მიჰყავს გამწარებული ადამიანები ჩვენს «მაღალრეიტინგულ» სასამართლოს!»



«სამეგრელოშიც კი, სადაც ახალაიების გვარი პარპაშობს, იქაც კი გატყდა შიში»

# «მადლიერება — მადლის წილ, ქრისტიანობის აქსიომაა»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხიდის მშენებლობა 4 თვეს მიმდინარეობდა და მხოლოდ ხის კონსტრუქციაზე 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამას დაემატა ამ თვეების განმავლობაში მშენებლობაზე მომუშავე 150-ზე მეტი ადამიანის შრომის ანაზღაურება (საათში 3 ლარი). ეს ერთი დღის სანახაობისთვის გაკეთდა და თანხა წყალში ჩაიყარა.**

# ქობულეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 30 ადამიანი დაშავდა



**ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ორი სამარშრუტო მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგადაც 30 ადამიანი დაშავდა. „მედიანიუსის“ ინფორმაციით, დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ უმრავლესობას სხეულის მცირე დაზიანება ჰქონდა და საავადმყოფოდან მალევე გაწერეს.**

ორი პაციენტი ქობულეთიდან ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სხეულის მრავლობითი დაზიანება აღენიშნებოდათ. ექიმების განცხადებით, დაშავებულთა მდგომარეობა მძიმეა, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

# ავარიული გზები და შეუსრულებელი დაპირებები

**დაბა ჩოხატაურის მოსახლეობა, წლებია, ცენტრალური ქუჩების შეკეთებას ითხოვს. ავარიული ქუჩები ჩოხატაურში მრავლადაა და მოსახლეობა დახმარებას უშედეგოდ ითხოვს.**



გოგიბერიძის ქუჩაზე პოლიციის შენობა მდებარეობს. რამდენიმე დღის წინ ასფალტი მხოლოდ მის წინ დააგეს, რამაც ადგილობრივების გაღიზიანება გამოიწვია: **„წლებია, ასეთ დღეში ვართ. ამ ქუჩაზე ავტომანქანის გავლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყოველ გაწვიმებაზე გუბეები დგას. ვის არ მივმართეთ, რა წერილები არ ვწერეთ. ბოლო ორი არჩევნების წინ გვპირდებოდნენ ამ ქუჩის გაკეთებას, თუმცა ფაქტს თავად ხედავთ. ხმები უნდათ მხოლოდ, საქმის გაკეთება – არა“,** – ამბობენ გოგიბერიძის ქუჩაზე მცხოვრებნი „გურიანიუსთან“ საუბრისას.

იმავე მდგომარეობაში არიან ფიროსმანის ქუჩის მცხოვრებლებიც, რომლებიც დასძენენ, რომ ხელისუფლებას ისინი მხოლოდ არჩევნებზე ახსენდებათ. ავარიულია ჭავჭავაძის, ბენდელიანის, აღმაშენებლის, ნინოშვილის, გოგებაშვილის ქუჩები, მოუწესრიგებელია სანიაღვრე სისტემა, რაც ყოველი გაწვიმებისას აღნიშნული ქუჩების დატბორვას იწვევს.

ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარების პირობას ისევ დებს, თუმცა კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს. როგორც ამბობენ, მთავარია, რომ გაკეთდება, თუმცა როდის, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს.

# ვანო მერაბიშვილი ბაჩო ახალაიას თავდებში უდგება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ვანო მერაბიშვილმა სამთავრობო ცვლილებების შესახებ პირველი კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ბაჩო ახალაია შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურაა, რათა შენარჩუნდეს და გაგრძელდეს ის გზა და რეფორმები, რომლებიც სამინისტროს ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას ჰქონდა აღებული.**



**„მე ვარ გარანტია, რომ ბაჩო ახალაია არის საუკეთესო კანდიდატურა და მიხარია, რომ ჩემი ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა პრეზიდენტის მიერ. ჩვენ მასთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად გავაგრძელებთ რეფორმებს ყველა სამინისტროში და ყველა უწყებაში“,** — განაცხადა მერაბიშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილია **ბაჩო ახალაია;** თავდაცვის მინისტრის პოსტზე — **დიმიტრი შაშკინი;** განათლების მინისტრის პოსტზე — **ხატია დეკანოიძე.**

თანამდებობას ტოვებს კობა სუბელიანი, რომელსაც **დალი ხომერიკი** შეცვლის. ამის შესახებ განცხადება ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

ამასთან, პარლამენტში უკვე შევიდა ახალი სამთავრობო პროგრამა. მთავრობის მიერ ინიცირებული დოკუმენტის სახელწოდებაა **„უფრო მეტი სარგებელი ხალხს“.**

დოკუმენტი საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა შეიტანა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული პროგრამით მთავრობა საკმაოდ ამბიციურ განაცხადს აკეთებს, თუმცა პროგრამა შესრულებადია.

მისივე ინფორმაციით, რამდენიმე წუთში პარლამენტს უკვე მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობა წარედგინება, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ირაკლი გორდულაძე შეიტანს. ხუროშვილის განმარტებით, ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე განისაზღვრება ფრაქციებსა და კომიტეტებში პრემიერ-მინისტრობისა და მინისტრობის კანდიდატების შეხვედრების გრაფიკი. ბიურო დაადგენს, როდის დაინიშნება პლენარული სხდომა, რომელზეც საკანონმდებლო ორგანო მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობას და ახალ სამთავრობო პროგრამას ნდობას გამოუცხადებს.

რამდენიმე დარგობრივ კომიტეტსა და ფრაქციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრობისა და მინისტრობის კანდიდატები შეხვედრებს დღის განმავლობაში გამართავენ.

მთავრობაში საკადრო ცვლილებებს უკვე მოჰყვა გამოხმაურებები: პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძის** განცხადებით, **„ისეთი მინისტრები, რომელთა მიმართაც საზოგადოებას დიდი პრეტენზია გააჩნია, ახალ მთავრობაში არ უნდა დარჩენილიყვნენ“.**

როგორც „პირველს“ ცინცაძემ განუცხადა, **„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს და გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს საზოგადოების დიდი ნაწილის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ნდობა დაკარგული აქვთ“.**

დიმიტრი შაშკინი კი, მისი თქმით, კარგი მენეჯერი და რეფორმატორია. მას ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ჰქონია კავშირი აშშ-სა და ევროპაში. **„ვფიქრობ, რომ ნატოში შესვლასთან დაკავშირებით დაწყებულ რეფორმებს, თავდაცვის რეფორმებს ბოლომდე მიიყვანს. რაც შეეხება ბაჩო ახალიას, მან ბევრი კარგი რამ გააკეთა. წინასაარჩევნო კამპანია, ამ მხრივ, მისთვის კარგი ტესტი იქნება“,** — განაცხადა ცინცაძემ.

# დასაქმების ახალი მინისტრი — ანაკლიის ქარწაღებული ხიდის ავტორი

**ახლადდანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გლდანში პროფესიული სწავლების მშენებარე ცენტრთან, დასაქმების ახალ მინისტრად პაატა ტრაპაიძის კანდიდატურა წარმოადგინა.**



პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, ტრაპაიძე წარმატებული ბიზნესმენია, მან 700-მდე ადამიანი დაასაქმა და სხვადასხვა კომპანიაში მილიონობით დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

**ტრაპაიძე კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტის“ დირექტორია, რომელიც 2005 წელს დაარსდა და მისი ძირითადი საქმიანობა გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობაა. 2005-2011 წლებში აღნიშნული კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა:** თბილისის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტები (2005 წელი); საქართველოში პირველი ბეტონისსაფარიანი ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტი; ნატახტარი-აღაიანის 16-კილომეტრიან მონაკვეთზე, გერმანელ ინსტრუქტორებთან ერთად, ბეტონის ოთხზოლიანი გზის დაგება (2006 წელი); გერმანელ პარტნიორებთან ერთად, ჩქაროსნული გზატკეცილის მომდევნო, აღაიანი-იგოეთის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები (2007-2009 წ.წ.); პირველი ცემენტობეტონის გზის დაგება ექსპერიმენტული პროექტის „ბეტონის გზები სოფლად“ ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ქვედა სამებისა და ზედა სამების დამაკავშირებელ 4-კილომეტრიან გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა (2009 წელი); თბილისში — ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა; პირველი ცემენტობეტონის გზა ქ. თბილისში, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდა (2009-2010 წ.წ.); თავად კომპანია ამ პროექტს ყველაზე თვალსაჩინო და მასშტაბურ პროექტს უწოდებს. ქ. რუსთავში საავტომობილო რბოლის ტრასის მშენებლობა (2010 წელი); მესტიის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა (2010 წელი); ქუთაისში მთავრობის სახლის მშენებლობა (2010 წელი); ფეხით მოსიარულეთა ხიდის მშენებლობა ანაკლიაში (2010 წელი); **ანაკლიის ხიდის ხის კონსტრუქცია, რომელიც 2011 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა საზეიმოდ გახსნა, ღონისძიებიდან რამდენიმე დღეში ქარმა დაშალა, რის შემდეგაც ის უფრო მყარი კონსტრუქციებით ხელახლა ააწყეს.**

კურორტის გახსნა ფეიერვერკით და კონცერტით აღინიშნა. ესპანურმა არქიტექტურულმა კომპანია CMD Ingenieros-მ, ანაკლიაში საკურორტო ინფრასტრუქტურის დაპროექტებისთვის, კომპანიის მონაცემებით, 16,5 მილიონი ევრო მიიღო.

ხის ხიდის აგების აუცილებლობას, tspress.ge-სთან საუბარში, კომპანიის მთავარი ინჟინერი ირაკლი ბაჟუნაიშვილი ახალი ხიდის ასაგებად მუშების სადგომი ადგილის საჭიროებით ხსნიდა. **„ეს გერმანელმა არქიტექტორებმაც გვითხრეს...“** — ამბობდა ის. ბაჟუნაიშვილის თქმით, **ხიდისთვის საჭირო ხის მასალა ქუთაისის ქარხანაში აეწყო და, ხის ხარისხიდან გამომდინარე, გამძლეობა სუსტი ჰქონდა.**

კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც tspress.ge-ს ანონიმურობის გარანტიით ესაუბრა, აცხადებდა, რომ **აღნიშნული ხიდის მშენებლობა 4 თვეს მიმდინარეობდა და მხოლოდ ხის კონსტრუქციაზე 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამას დაემატა ამ თვეების განმავლობაში მშენებლობაზე მომუშავე 150-ზე მეტი ადამიანის შრომის ანაზღაურება (საათში 3 ლარი). მისი თქმით, ეს ერთი დღის სანახაობისთვის გაკეთდა და თანხა წყალში ჩაიყარა.**

**რაც ყველაზე საგანგაშოა, მოუვლელი ვენახების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა, ვაზის გაშენება კი მთლიანად შეჩერდა. ეს პროცესი გაცილებით მძიმე შედეგებს უკავშირდება, ვიდრე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ერთი დარგის კრიზისია. ვენახების განადგურება სოფლების დაცლის მიზეზი ხდება და ამ პროცესის სხვა საშუალებით შეჩერება შეუძლებელია.**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აუდიტი — კონტროლის პალატის ნაცვლად

**საქართველოს კონტროლის პალატა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად გარდაიქმნა, ხოლო კონტროლის პალატის თავმჯდომარეს გენერალური აუდიტორი ეწოდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან აცნობეს, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები უკვე ძალაშია. სამსახურში განმარტავენ, რომ სახელწოდების ცვლილება საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს.**



უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI) და მსოფლიო პრაქტიკა იცნობს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების სამ ძირითად სახეს, მათგან ერთ-ერთი საპარლამენტო სისტემაა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ვესტმინსტერული მოდელი. მისი განმასხვავებელი ნიშანი სხვა სახეებისგან არის ის, რომ მას ერთპიროვნულად მართავს არჩეული პირი, ხოლო თავად დაწესებულება საპარლამენტო ანგარიშვალდებულების სისტემის ნაწილია. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი სახელწოდება მსოფლიოში გავრცელებულია, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახური (National Audit Office, State Audit Office), ხოლო მისი ხელმძღვანელი კანონმდებლობაში მოიხსენიება, როგორც გენერალური აუდიტორი. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის წევრი ინსტიტუტების 95%, რომლებიც ვესტმინსტერულ მოდელს მიეკუთვნებიან, სწორედ ამ სახელწოდებებს იყენებენ. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტის საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობს.

**„მიმდინარეობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესი, რამაც არსებითად შეცვალა უწყების ბუნება და როლი საჯარო ფინანსების მართვაში. მაკონტროლებელი საქმიანობის ნაცვლად, უწყება ახორციელებს თანამედროვე, რისკზე დაფუძნებულ აუდიტს. ამდენად, უწყებაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ინსტიტუციონალური რეფორმა და მსოფლიო პრაქტიკა აისახა მის სახელწოდებაზე და უწყებას ეწოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მის არჩევით ხელმძღვანელს კი — გენერალური აუდიტორი“,** — აცხადებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

შესაბამისად, შეიქმნა უწყების ახალი ვებგვერდი www.sao.ge და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებგვერდი www.saomonitoring.ge, რომელზეც შესვლა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ასევე მთავარი ვებ-გვერდიდან. აღნიშნული ვებ-გვერდები ფუნქციონირებას კვირის ბოლომდე დაიწყებს.



# ახალი აეროპორტი საბჭოთა სამხედრო ბაზაზე აშენდება

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჩახვაძის განცხადებით, სოფელ მერიაში აეროპორტის მშენებლობა ნაკლებ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან იქ ადრე სამხედრო ბაზა იყო და საფრენი ზოლი დღემდე არსებობს.**

შეგახსენებთ: აღნიშნულ სოფელში აეროპორტის აშენების აუცილებლობის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

**„სექტემბერში ქუთაისის დიდი საერთაშორისო აეროპორტი გაიხსნება. ჩვენ აუცილებლად უნდა დავიწყოთ აეროპორტის მშენებლობა გურიაში, კერძოდ, სოფელ მერიაში. საქართველო, აეროპორტების მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა იქნება“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

სოფელ მერიის გამგებლის — ვაჟა ჩაჩანიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის სოფელში მხოლოდ ასაფრენი ზოლია შემორჩენილი, ინფრასტრუქტურა კი დიდი ხნის წინ განადგურდა. დამატებითი ინფორმაციის მოძიება commersant-მა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სცადა, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

# «ხან დასეტყვილ ვენახს ვგლოვობთ და ხან უხვ მოსავალს»

**გახშირებული წვიმების გამო, როგორც კახელი გლეხები ამბობენ, შესაძლებელია, ყურძნის ხარისხი დაეცეს და ყურძნის ჩაბარებას შემოდგომაზე დიდი პრობლემები შეექმნას.**

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში საფერავის პატრონები არიან. რამდენიმე წლის წინ ამ ჯიშის ყურძნის ფასმა ორ დოლარს გადააჭარბა, რის გამოც საფერავი მასობრივად გაშენდა. გასულ წელს შედარებით მაღალ ფასად „საფერავის“, „ქინძმარაულის“, „მუკუზნისა“ და „ახაშენის“ მიკროზონებში მოყვანილი ყურძენი გაიყიდა. წელს აქაც პრობლემაა.

**ცნობილი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებს საფერავის საკუთარი ზვრები აქვთ და ჯერ გასული წლების ღვინომასალებიც არ გაუყიდიათ. ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ გლეხების საფერავი შეიძინონ. მითუმეტეს, ძვირს ნამდვილად არ გადაიხდიან. საოჯახო მეღვინეობის მიმდევრები კი საფერავს საერთოდ არ ეტანებიან.**

„ყურძენი შეიძლება დამწიფდეს, მაგრამ „ვაშლი და შაქარასავით“ ვზივართ და შევცქერით. რომ დავკრიფოთ, სად უნდა წავიღოთ? ყურძნად ვერ გაყიდი, სამაგისო ჭურჭელი კი მთელ ჩვენს ავლადიდებაზე მეტი ღირს. ისეთი პირი უჩანს, ვენახი საერთოდ დაუკრეფავი დარჩება“, — აცხადებენ ახმეტელი მევენახეები tspress.ge-სთან საუბარში.

კახელებს „ქართული ოცნების“ ლიდერის — ბიძინა ივანიშვილის კი ეიმედებათ, მაგრამ მისი დაპირებული „სოფლის მეურნეობის სწრაფი აყვავება“ მაინც წინასაარჩევნო ფანდი ჰგონიათ.

**კახა ლულიაშვილი:**

**— ბიძინა კი გვპირდება, რომ 2-3 წელიწადში ააყვავებს სოფლის მეურნეობას, მაგრამ ასე ადვილი არ მგონია ეგ საქმე. გლეხს ყურძნის ჩასაბარებელი ფასის ხელოვნურად გაზრდაზე მეტად, ღვინის გაყიდვა უფრო აძლევს ხელს. ასე მოგებაც მეტია და ღვინოც არ ფუჭდება. პატარა გლეხური ღვინის ქარხნების შექმნა უნდა იყოს სიტუაციიდან გამოსავალი, რასაც ბევრი ფული სჭირდება. ყოველ წელს ყურძნის ჩაბარებით და ასე წვალებით საქმე ვერ გაკეთდება.**

**თემურ ნიკოლაშვილი:**

**— ხან დასეტყვილ ვენახს ვგლოვობთ და ხან უხვ მოსავალს. უბედურება ბევრნაირი გამიგია, მაგრამ კაცს რომ მოსავლის მოყვანისა ეშინოდეს, ასეთი არაფერი.**

რაც ყველაზე საგანგაშოა, მოუვლელი ვენახების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა, ვაზის გაშენება კი მთლიანად შეჩერდა. ეს პროცესი გაცილებით მძიმე შედეგებს უკავშირდება, ვიდრე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ერთი დარგის კრიზისია. ვენახების განადგურება სოფლების დაცლის მიზეზი ხდება და ამ პროცესის სხვა საშუალებით შეჩერება შეუძლებელია. მთლიანად აზრს კარგავს ღვინის ტურიზმისა და აგროტურიზმის ცნებები, რისი განვითარების მთავარი პირობა ტრადიციების გადარჩენაა.





# პენტაგონში გეებსა და ლესბოსელებს ესალმებიან

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში 26 ივნისს პირველად გაიმართა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეთა პატივსაცემი ღონისძიება. სააგენტო Reuters-ის ინფორმაციით, საუბარია გეიპარადზე, რომელიც გეებისა და ლესბოსელების მხარდაჭერასა და მათი უფლებების დაცვას ეძღვნება.**

ღონისძიებას 400-მდე ადამიანი ესწრებოდა. მათ პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტას ვიდეომიმართვები აჩვენეს. პანეტამ გეები და ლესბოსელები პროფესიონალიზმისა და სიმამაცისთვის შეაქო, რომლებიც ამ თვისებებს მანამდეც ავლენდნენ, ვიდრე არმიაში მათი ორიენტაციის აღიარება მოხდებოდა.

**ღონისძიებაზე სიტყვით სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი რამდენიმე სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტი გამოვიდა. ცერემონია არმიის შიდა ტელევიზიით უცხოეთში განლაგებული ბაზებისთვის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ამგვარი ცერემონიები სხვა უწყებებში, მაგალითად, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, უკვე 12 წელია, იმართება.**

ამერიკის შეიარაღებულ ძალებში სექსუალურ უმცირესობებზე აკრძალვა 2011 წლის 20 სექტემბერს მოიხსნა. მას შემდეგ სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ არ დამალონ საკუთარი ორიენტაცია. ამჟამად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 66 ათასი გეი და ლესბოსელი მსახურობს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის მთავრობამ ასევე მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავს ოპოზიციის დაფინანსების შესაძლებლობას. მან ბიძინა ივანიშვილს 74 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა და დაამკვიდრა როგორც პერსონალური, ასევე პროფესიული დაშინების სისტემა ოპოზიციის მხარდამჭერებისთვის; მაგალითად, სამსახურიდან გაათავისუფლა სახელმწიფო მოხელეები, პედაგოგები, რომლებმაც ოპოზიციის მხარდაჭერა გაბედეს.**

# საქართველოში დემოკრატიის გადარჩენის დროა

**ევროპული იმედები, რომლებიც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა, სერიოზულად გაცრუებულია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სულ უფრო ავტორიტარული ქმედებების გამო. ამ კვირაში ის ბრიუსელს სტუმრობს. ეს ფაქტი გამოყენებულ უნდა იქნას იმისთვის, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" ლიდერს აუცილებლად განუმარტონ ის, რომ მისმა მთავრობამ უნდა შეწყვიტოს მაქინაციები, რომელთაც ის ოქტომბრის არჩევნების ფალსიფიკაციისთვის მიმართავს.**

19 ივნისს ევროკავშირის ელჩმა საქართველოში — ფილიპ დიმიტროვმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა **„მეტი პროგრესისკენ ტოლერანტული და პლურალისტური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების გზაზე".**

20 ივნისს გამოქვეყნებულ **გაეროს ანგარიშში საუბარია „დაშინებისა და დევნის ატმოსფეროზე ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებისთვის".** მეორე დღესვე მთავრობამ, არაფრად ჩააგდო რა ეს შენიშვნები, დამოუკიდებელი საკაბელო ოპერატორების ათასობით თანამგზავრული თეფში დააპატიმრა. ამ ოპერატორების მიზანი სატელევიზიო საინფორმაციო სივრცეზე სახელმწიფოს ფაქტობრივი მონოპოლიის შერყევა იყო.

ამ შეტევის მთავარი სამიზნე მიხეილ სააკაშვილის მთავარი მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილია — ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების" ლიდერი. მთავრობის ყოფილ მხარდამჭერ ბიძინა ივანიშვილს, ცრუ ბრალდებების საფუძველზე, მოქალაქეობა ჩამოერთვა, უმალ, როგორც კი პოლიტიკურ ოპოზიციაში შესვლის შესახებ განაცხადა. ეს მოქალაქეობა მას დღემდე არ აღუდგინეს.

**სააკაშვილის მთავრობამ ასევე მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავს ოპოზიციის დაფინანსების შესაძლებლობას. მან ბიძინა ივანიშვილს 74 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა და დაამკვიდრა როგორც პერსონალური, ასევე პროფესიული დაშინების სისტემა ოპოზიციის მხარდამჭერებისთვის; მაგალითად, სამსახურიდან გაათავისუფლა სახელმწიფო მოხელეები, პედაგოგები, რომლებმაც ოპოზიციის მხარდაჭერა გაბედეს.**

მაშინ, როდესაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობის მოხიბვლას ცდილობს, დასავლეთის ლიდერებს მისი პოლიტიკა აშფოთებთ. **ევროკომისარმა შტეფან ფიულემ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარება მოითხოვა.** ახლახან, თბილისში ვიზიტის დროს, **ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ასეთი გაფრთხილება გააკეთა: „საქართველოს უსაფრთხოება და ხანგრძლივი კეთილდღეობა დიდწილად თქვენი დემოკრატიის ხარისხზეა დამოკიდებული".**

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მომავალ გაზაფხულზე, ქართველებს პრეზიდენტის არჩევაც უწევთ. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს მორიგი ვადით პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას, მაგრამ გარკვევით მიანიშნა, რომ პრემიერ-მინისტრობას შეეცდება, რომელიც, ბოლო საკონსტიტუციო რეფორმის მიხედვით, მას მეტ ძალაუფლებას მიანიჭებს. **მაშინ, როდესაც ეს არჩევნები რამდენიმე თვის შემდეგ იგეგმება, ფაქტები მკაფიოდ ცხადყოფს, რომ მმართველმა პარტიამ უკვე მოასწრო მისი მოპარვა ქართველი ხალხისთვის, უარი უთხრა რა მათ რეალური არჩევანის უფლებაზე.** ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბრიუსელში ვიზიტის დროს ევროპელმა ლიდერებმა მკაცრად განუმარტონ მიხეილ სააკაშვილს, რომ მისი ბოლოდროინდელი თავდასხმები ოპოზიციაზე მიუღებელია. ევროკავშირს მნიშვნელოვანი ბერკეტები აქვს საქართველოს წინააღმდეგ იმ ფონზე, როდესაც ის იწყებს მოლაპარაკებებს ახალ შეთანხმებაზე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამან იმის გარანტიები უნდა შექმნას, რომ „ვარდების რევოლუციის" დროს ჩასახული იმედები, რომლებიც თავისუფლებასა და დემოკრატიას უკავშირდებოდა, დავიწყებას არ მიეცემა რევოლუციის ზოგიერთი ინიციატორის ქმედებების გამო.

**სერ გრემ უატსონი,**
**ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის ბრიტანელი დეპუტატი; ლიბერალ-დემოკრატებისა და რეფორმატორების ევროპული პარტიის ხელმძღვანელი**

**LE MONDE**

**„საქართველო და მსოფლიომ" სცადა, გაერკვია ხელისუფლებისა და ოპოზიციის დამოკიდებულება, ასევე ექსპერტთა თვალსაზრისი „ლე მონდის" პუბლიკაციაში გამოთქმული პოზიციის მიმართ. გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას.**

## «რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ ამ ყველაფერს»



**დავით დარჩიაშვილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი:**

— ასეთი სტატიები არც ადრე ყოფილა იშვიათობა და არც ახლა. ასევე, ყოველთვის იქნება, რადგან ძალიან დიდი ფული იხარჯება ევროპაშიც და ამერიკაშიც საიმისოდ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას მაქსიმალურად მიადგეს ზიანი. ზოგიერთი ასეთ პროექტებში უცოდინარობიდან და გულუბრყვილობიდან გამომდინარე მონაწილეობს, ზოგიერთი კი, უბრალოდ, ფულსაა დახარბებული ან ძალაუფლება უნდა. რუსეთის იმპერიამ ცოტათი სახე იცვალა — ტანკები ტანკებად რჩება, მაგრამ ახლა პიარკომპანიებიც და დაქირავებული ლობისტებიც მოქმედებენ. ზოგჯერ თვითონ წერენ, ზოგჯერ ტვინის გამორეცხვას ეწევიან და მერე ასეთი სტატიები იქმნება. რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ ამ ყველაფერს.

სამყარო გლობალიზებულია, საინფორმაციო საშუალებები — თავისუფალი და ყველაზე ყველაფერი იწერება. პარალელი რომ გავავლოთ, ეს იგივეა, რაც ნებისმიერ ქალბატონზე ათასი ჭორი ააგორო. **არ ვიცი, სააკაშვილის ოპოზიციისადმი რომელ თავდასხმებზე საუბრობს სტატიის ავტორი. ის ხომ არ სჯობს, ვიკითხოთ: საქართველოს ბიუჯეტზე მეტი ფულის, ძალიან საეჭვოდ მშოვნელი ადამიანი ქვეყნის ყიდვას რატომ ლამობს?! ესაა საქართველოსთვის დემოკრატიულობის პერსპექტივა?! ესაა დემოკრატია თუ ის, რომ მდიდარი იქნება თუ ნახევრადმდიდარი, საშუალო ფენის წარმომადგენელი თუ ღარიბი — ყველა თანაბარ პირობებში იყოს პოლიტიკურ პროცესებში?**

**თავდასხმას თუ სტატიის ავტორი იმას ეძახის, რომ არ შეიძლება კანონდარღვევით და ფულით ამომრჩევლის მოსყიდვა და კიდევ ბევრი რამ, რასაც დემოკრატია არ უნდა დაარქვა, იყოს მაშინ ეს თავდასხმა.**

ევროკავშირთან საქართველოს ძალიან ინტენსიური ურთიერთობა აქვს და ამ ურთიერთობას, პირველ რიგში, მთავრობა ამყარებს. საქართველო რომ ისეთი ქვეყანა იყოს, როგორზეც სადმე დაწერენ ლობისტური საქმიანობით შეპყრობილი ადამიანების დახმარებით, მაშინ საქართველოს ევროკავშირთან არ ექნებოდა ის მოლაპარაკებები, რაც ახლა აქვს, იქნება ეს სავიზო რეჟიმის გამარტივება თუ თავისუფალი ვაჭრობა, იმიტომ, რომ ეს პირდაპირკავშირშია დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებასთან.

## «ასეთი ბევრი დაწერილა, ბევრიც უთქვამთ, მაგრამ რეალურად ვითარება არ შეცვლილა და არც შეიცვლება»



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— თუ ვინმეს იმედი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიის, ალბათ, ისევ დასავლეთს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ დასავლეთმა შეუწყო ხელი იმას, რომ საქართველოში არავითარი სახის დემოკრატია არ ყოფილიყო. დასავლური პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ისევე, როგორც ამერიკული, მიმართული იყო სააკაშვილის პოზიციების განმტკიცებისკენ და არა დემოკრატიის. **1995 წლიდან დაწყებული დასავლეთის ყველა ნაბიჯი იქეთკენ იყო გადადგმული, რომ ხელი შეეწყო ავტორიტარული მმართველობის განმტკიცებისთვის.** ასე იყო შევარდნაძის დროსაც, თავზე ხელს უსვამდნენ. მერე, როდესაც მოგვიგდეს მისი შემცვლელი სააკაშვილი, შევარდნაძე ბოლომდე არ გაწირეს და ციხეში არ გაასტუმრებინეს სააკაშვილს. მას შემდეგ მთელი აქცენტები კეთდება სააკაშვილზე.

**დემოკრატიაზე რომ ეფიქრა დასავლეთს, სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგალითად, 2008 წლის არჩევნების დროს, როდესაც სააკაშვილმა ფაქტობრივად წააგო ის არჩევნები, მაგრამ ჯერ დამთავრებული არ იყო ხმების დათვლა, როდესაც ბუშმა მას გამარჯვება მიულოცა და კბილებით იცავს დღესაც სააკაშვილის პოლიტიკას.** იქ, კულუარებში რა ხდება, მოსწონს თუ არა რომელიმე დასავლურ ან ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას სააკაშვილი, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. ესაა, უბრალოდ, სიტყვების ფუჭად ფლანგვა, გულის ფხანა და მეტი არაფერი.

**ის, რომ სააკაშვილი ასეთი იქნებოდა ამერიკელთა ხელში, ვინმეს ეჭვი ეპარებოდა?** მე, მაგალითად, მრავალი წლის განმავლობაში არ შემპარვია ეჭვი, თუნდაც ამ რვა წლის განმავლობაში, რაც ნაცები არიან ხელისუფლებაში. ახლა მჯიღის ცემა გულზე და იმის თქმა, რომ სააკაშვილი ასეთია და ისეთია, დროის ფუჭად კარგვაა. **სააკაშვილი ისეთია, როგორიც უნდოდა დასავლეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს.**

რა და როგორ იქნება, ამას ყველაფერს თქვენ თვითონ დაინახავთ არჩევნებზე, რომელიც მალე ჩატარდება. თუმცა წინასწარ მინდა გითხრათ, როდესაც აქ ბრძანდებოდა ქალბატონი კლინტონი, სიტყვაც არ დაუძრავს საქართველოში ანტიდემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ, ერთი სიტყვაც არ უთქვამს გადაბრუნებული, ეს რა ქვეყანა შექმენით, თქვე მამაცხონებულებო, ამდენი ფული დაგახარჯეთ და ტირანია შექმენით დემოკრატიის მაგივრადო. თქვა ასეთი რამ კლინტონმა? მან, უბრალოდ, ამოღერღა, რომ არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდესო, მეტი არაფერი. ამას ეს ქალბატონი ამბობს საქართველოს მსგავსი თითქმის ყველა ქვეყნის მისამართით. იმავეს ის ვერაფრით ვერ გაიმეორებს ევროპაში, რადგან იქ გაცილებით უფრო მეტი დემოკრატიაა, ვიდრე ამერიკაში. დანარჩენი კლინტონმა ილაპარაკა სააკაშვილის, მისი გატარებული რეფორმების, სიტუაციის, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა, სასიკეთოდ; ჩვენი „წარმატებების" შესახებ ისრაელშიც კი ისაუბრა. **ის, რასაც ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის ბრიტანელი დეპუტატი სერ გრემ უატსონი წერს, არაფერს ნიშნავს, ასეთი ბევრი დაწერილა, ბევრიც უთქვამთ, მაგრამ რეალურად ვითარება არ შეცვლილა და არც შეიცვლება, ვინაიდან, ვინც წყვეტს ამ საქმეს აშშ-ში, როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები, მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს სააკაშვილს. ასე რომ, „ლე მონდე" დაწერს თუ „ნიუ იორკ თაიმსი", მნიშვნელობა არ აქვს.**

ბუნდესტაგის ქდკ/ქსკ (CDU/CSU) ფრაქცია, ფასეულობებზე დამყარებული ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, მოუწოდებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, სერიოზულად მიუდგეს და გაითვალისწინოს წინა არჩევნების ნაკლოვანებები, ჩაატაროს საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და არჩევნებამდე შეასრულოს ეუთოს ყველა საარჩევნო სტანდარტი.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ევროპაში იციან, საქართველოში რა ვითარებაცაა, მაგრამ ეს არაა მათი პრობლემა»

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

— ევროპელ დიპლომატებთან მეც მქონია ურთიერთობა გასულ წლებში და, რა თქმა უნდა, ისინი ბევრად კრიტიკულები არიან და ბევრად ადეკვატურები, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, თუმცა მათი გავლენა სააკაშვილზე ბევრად უფრო ნაკლებია.

**რასაც ამბობს ეს ბრიტანელი დეპუტატი, რომ ევროკავშირს აქვს გარკვეული ბერკეტები საქართველოში, რა თქმა უნდა, მართალია. აშშ დაკავებულია საქართველოს საკითხების მოგვარებით, ხოლო ევროკავშირისთვის ეს ზედმეტი ტვირთია.** ისევე, როგორც ჩვენ ვიცით, რომ სადღაც ტაილანდში არის კორუფცია, მაგრამ ვიცით და მეტი არაფერი. ამის გამო ჩვენი მთავრობა და ოპოზიცია რაიმე ღონისძიებებს არ მიმართავს, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა ამ შემთხვევაშიც. **ევროპაში იციან, საქართველოში რა ვითარებაცაა, მაგრამ ეს არაა მათი პრობლემა. ევროკავშირს თავისი პრობლემები აქვს, მისი საზღვრები შენარჩუნებული იქნება თუ არა, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, გაფართოებაზე საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია, ამიტომ მათ სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტი შეადგინეს, რომელშიც წერია, რომ მათთვის მთავარია, ამ ქვეყნებიდან ევროპას არ შეექმნას პრობლემები. ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში მათ აქვთ ამოცანა, რომ იმიგრაცია როგორმე შეზღუდონ, თურქეთში – ისლამიზმი არ განვითარდეს, საქართველოში ერთადერთი აინტერესებთ: რუსეთისგან ალტერნატიული მილსადენები ექნებათ თუ არა.**

რაც შეეხება იმას, საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვას, გარწმუნებთ (თუ არა ცალკეული პატიოსანი დეპუტატები, რომლებიც, რა თქმა უნდა, იქნებიან ევროკავშირში), იქაური დეპუტატების დიდი უმრავლესობისთვის აბსოლუტურად მეათეხარისხოვანია. განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, რომელსაც თავისი სტრატეგიულ-პოლიტიკური ინტერესები აქვს საქართველოში. ევროკავშირი სააკაშვილის პრობლემებს კი არა, საკუთარ საკითხებს ვერ წყვეტს, იმავე ფინანსურ კრიზისს და არალეგალურ მიგრაციას, რადგან მას არ აქვს ერთიანი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები. **მაქსიმალური, რაც საქართველომ ევროპისგან შეიძლება მიიღოს, არის კრიტიკა. ესეც ძალიან უწყინარი, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიხეილ სააკაშვილს ჰყავს მოკავშირეები აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირა ქვეყნები და სხვ.** აქედან გამომდინარე, არ ვუყურებ მაინცდამაინც პერსპექტიულად იმ ამბავს, რომ ევროკავშირმა საქართველოსთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული პოლიტიკა გაატაროს.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



# მერაბიშვილის გაპრემიერებას «ფრანს პრესი» და «როიტერი» ეხმაურებიან

**„ფორინპრეს.გე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დანიშვნაზე უცხოური საინფორმაციო სააგენტოების გამოხმაურებას ავრცელებს.**

როგორც „როიტერი“ წერს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისი ახლო მოკავშირე, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დაასახელა. **„სააკაშვილმა, რომელიც არჩევნების წინ ახლად შექმნილ ოპოზიციურ ჯგუფთან სულ უფრო მზარდ კონკურენციას აწყდება, განაცხადა, რომ მერაბიშვილისგან სურს საქართველოს 16%-იანი უმუშევრობის დაძლევა და სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის სფეროში რეფორმების განხორციელება. 44 წლის მერაბიშვილი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ფიგურა გახდა 2003 წლის უსისხლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რევოლუციის, რომელმაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. 2004 წლის დეკემბრიდან შინაგან საქმეთა მინისტრის რანგში მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა პოლიციის რეფორმას და კორუფციასთან ბრძოლას, რის გამოც ზოგიერთი საერთაშორისო ინსტიტუტის და დამკვირვებლების შექება დაიმსახურა. თუმცა, ოპონენტები მას სააკაშვილის წინააღმდეგ 2007 და 2010 წელს მიმდინარე ოპოზიციური აქციების სასტიკ დარბევაში ადანაშაულებენ. პრეზიდენტის მსგავსად, მასაც პროდასავლელად და მოსკოვისადმი უნდობლობით განწყობილ ფიგურად მიიჩნევენ“,** — წერს **„როიტერი“.**

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი კვლევების თანახმად, ახალი ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება“ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჩამორჩება, მაგრამ კოალიციამ საკუთარ აქციებზე ამ კავკასიურ სახელმწიფოში, სადაც 4.5 მილიონი მოსახლეა, მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა შეკრიბა. როგორც „როიტერი“ აღნიშნავს, ანალიტიკოსები აღნიშნულ ნაბიჯს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის შემდგომ გაუმჯობესებას უკავშირებენ.

**„ფრანს პრესის“** სტატია შემდეგი სიტყვებით იწყება: **„საქართველოს პრეზიდენტმა მისი ძლევამოსილი შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ახალ პრემიერ-მინისტრად დაასახელა, რაც შემოდგომაზე დაგეგმილი მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნების წინ მოულოდნელი ნაბიჯი იყო.“**

**„პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვანო მერაბიშვილს წარადგენს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, თანამდებობაზე, რომლის უფლებამოსილებაც დღემდე შეზღუდულია, თუმცა პოლიტიკურად ეს წამყვანი პოზიცია ხდება კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, რომელიც პრეზიდენტის აღმასრულებელ ძალაუფლებას ზღუდავს მომავალი წლიდან. ივანე მერაბიშვილი 2004 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრია და ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსია. ის ხელმძღვანელობდა პოპულარულ და საერთაშორისოდ აღიარებულ პოლიციის რეფორმას, რამაც აღკვეთა მექრთამეობა, თუმცა ის იმავდროულად ოპოზიციის მკაცრი კრიტიკის ობიექტია, 2007 და 2011 წლებში საპროტესტო დემონსტრაციების ძალადობრივი დარბევების გამო“,** — აღნიშნავს **„ფრანს პრესი“.**

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ტექნოკრატი ნიკა გილაური ამიერიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის მიმართულებას უხელმძღვანელებს.

**„დასავლეთის მოკავშირე საქართველომ შემოდგომაზე ახალი პარლამენტი უნდა აირჩიოს და ამ ფონზე მთავრობა სერიოზული გამოწვევის წინაშეა მილიარდერი მაგნატის, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომელიც ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გახდა და პირობა დადო, რომ სააკაშვილის პარტიას დაამარცხებს. სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ მოხვდა, 2013 წელს უნდა გადადგეს, რადგან ამ დროს მისი მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადა იწურება“,** — აღნიშნავს **„ფრანს პრესი“.**

## ფილიპ მისფელდერი:

# საქართველოში უნდა ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები

**2012 წლის ოქტომბერში საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. არჩევნებისთვის მზადება დაწყებულია. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ბუნდესტაგის ქდკ/ქსკ ფრაქციის საგარეო პოლიტიკის სპიკერი ფილიპ მისფელდერი აცხადებს:**



„გერმანიის ბუნდესტაგის ქდკ/ქსკ (CDU/CSU) ფრაქციის აზრით, საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. **ეს არჩევნები იძლევა საშუალებას, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაამკვიდროს დემოკრატიის ახალი სტანდარტები და სამაგალითო გახდეს მთელი რეგიონისთვის.** საქართველოს ეს შეუძლია, რადგან 2008 წლის 21 მაისს გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები, ძირითადად, დადებითად შეაფასეს. შედეგებმა, პრინციპში, აჩვენა ამომრჩევლის ნება, არსებობდა რეალური ალტერნატიული არჩევანი. თუმცა **დამკვირვებლებმა გამოამჟღავნეს მრავალრიცხოვანი, ნაწილობრივ მძიმე, დარღვევებიც ცალკეულ უბნებზე და, ამდენად, ის გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.**

ბუნდესტაგის ქდკ/ქსკ (CDU/CSU) ფრაქცია, ფასეულობებზე დამყარებული ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, **მოუწოდებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, სერიოზულად მიუდგეს და გაითვალისწინოს წინა არჩევნების ნაკლოვანებები, ჩაატაროს საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და არჩევნებამდე შეასრულოს ეუთოს ყველა საარჩევნო სტანდარტი. მათ შორის, პირველ რიგში, ქვეყნის მედიაზე თავისუფალი წვდომა, საარჩევნო კამპანიის ჩატარების თავისუფლება, პოლიტიკური კონკურენტების თანასწორუფლებიანობა და ფარული არჩევნების შედეგად მიღებული ხმების საჯარო დათვლა.** გერმანია აშშ-ის შემდეგ მეორე დონორი ქვეყანაა საქართველოსთვის მის მიერ 1992 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან.

გრძელვადიანი თანამშრომლობის ძირითადი შეთანხმებული სფეროებია ენერგომომარაგება და გარემოს დაცვა, ეკონომიკის მდგრადი განვითარება, კომუნალური განვითარება, სამართლისა და იუსტიციის რეფორმა, აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამ ასპექტის გათვალიწინებითაც არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული სტანდარტების უზრუნველყოფა, რადგან ჩვენი სურვილია, რომ გაღრმავდეს ჩვენი თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში“.

PTEXT.DE

# ირანი — სანავთობო ემბარგოს წინააღმდეგ



**ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის — მაჰმუდ ბახმანის განცხადებით, ირანის ხელისუფლება ევროკავშირის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ ნავთობის ემბარგოს წინააღმდეგობას გაუწევს. მისი თქმით, ქვეყნის ოქროს ვალუტის რეზერვების მარაგი იმპორტის დაფინანსებისათვის საკმარისი იქნება, მაგრამ ირანის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია, თუ რა ზომების გატარებას აპირებს ირანი ევროკავშირთან მიმდინარე ნავთობის კონფლიქტში.** ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ირანული ნედლი ნავთობის შეტანა მთლიანად აიკრძალა. აღნიშნული სანქციები ევროკავშირმა ირანის წინააღმდეგ მას შემდეგ განახორციელა, რაც გაირკვა, რომ ირანი ბირთვულ იარაღს აწარმოებს. ირანული მხარე ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვული იარაღის წარმოება მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით ხორციელდება.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ მმართველი პარტია სკოლის ადმინისტრაციულ და ადამიანურ რესურსს საარჩევნო პროცესის დროს უპრობლემოდ იყენებს: მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნები უმეტესწილად სკოლის შენობებშია განთავსებული, ხოლო სკოლის პედაგოგები და დირექტორები საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებად და თავმჯდომარეებად მუშაობენ. ასევე, ძალიან ხშირია ფაქტები, როცა პედაგოგები სამუშაო საათების დროს ესწრებიან როგორც პრეზიდენტის, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს და ამის გამო მათ სიტყვიერ გაფრთხილებასაც არავინ აძლევს. პირიქით, ასეთი ქმედება წახალისებულია განათლების სამინისტროს მიერ.**

# კულტი პიროვნების გარეშე

**ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მოზარდ თაობაში, უკვე დიდი ხანია, პიროვნების კულტის დანერგვა ინფორმაციული ძალადობის გზით მიმდინარეობს, რაც სააკაშვილის განდიდებასა და კერპად ქცევას ისახავს მიზნად. შედეგად კი მივიღეთ ლუდოვიკო XIV-ის მსგავსად პატივმოყვარე და საკუთარ ფუფუნებაზე მზრუნველი, საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემებისადმი არაადეკვატური პრეზიდენტი, რომელმაც საკუთარი თავი „მიშა-მზედ“, ხოლო სახელმწიფო სიკეთეები მის პირად საკუთრებად გამოაცხადა.**


კიმ ჩენ ინი


„მიშა-მზე“

რამდენიმე წელია, განდიდების მანიით შეპყრობილმა სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ტელეეკრანები „დაიპყრო“. ამასთან, „მიშა-მზე“ ტელეეკრანზე ძირითადად სხვადასხვა ასაკის ბავშვების ფონზე ჩნდება და ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე და ჩრდილოეთიდან მოსულ „მუმიებზე“ დაუსრულებლად საუბრობს.

მართალია, პოლიტიკა ბავშვების ინტერესის სფერო არ არის და ქვეყნის პირველი პირი პოლიტიკურ კომპანიას ბავშვებთან, მითუმეტეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, არ უნდა მართავდეს, მაგრამ ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ერთი მარტივი მიზანი: **ყველა დიქტატორს სჭირდება მორჩილი საზოგადოება, რომელიც მას თაყვანს სცემს და გააღმერთებს, ხოლო 10-15 წლის შემდეგ სწორედ ეს ბავშვები იქნებიან „მიშა-მზის“ ამომრჩევლები, მიმდევრები, მეხოტბეები, ამიტომ მათი იდეოლოგიური აღზრდა და პოლიტიკური „გემოვნების“ ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან უნდა მოხდეს.**

13 ივნისს „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა მოქალაქე ჟურნალისტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელშიც აბიტურიენტი სასწავლო პროცესის დროს გამოვლენილ შემაშფოთებელ ტენდენციაზე საუბრობს. წერილიდან ირკვევა, რომ **მასწავლებელი-რეპეტიტორები ბავშვებს ურჩევენ, თუ სურთ მაღალი ქულების აღება, მაშინ მათი ნაწერები „რუსთავი 2“-ითა და „იმედით“ მოსმენილი არგუმენტებით გაამყარონ, ხოლო ტურიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა შეეხონ დონალდ ტრამპის ვიზიტს და მის მნიშვნელობას, ანაკლიის აღმშენებლობას ან კიდევ, ეკონომიკის განვითარებაზე წერისას 26 მაისს თბილისში გამართულ სამრეწველო სამამულო წარმოების აღლუმი დადებით კონტექსტში მოიხსენიონ.**

არც ისე დიდი ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეოჩანაწერები, სადაც ნაჩვენები იყო, თუ რა გულმოდგინედ ავარჯიშებენ მასწავლებლები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს თუ სკოლის მოსწავლეებს, „მიშა, მიშა“ მთელი მონდომებით, ფილტვის დახეთქვამდე რომ ეყვირათ.

**რა არის ეს, თუ არა ბავშვზე ძალადობა?! ავტორიტარი მმართველების ხელში მოზარდები არ უნდა იქცნენ პოლიტიკურ იარაღად, რადგან ეს საზოგადოებას ინტელექტუალურად გამოფიტავს და ხელში ზომბების მრავალრიცხოვანი არმია შეგვრჩება, რომლებიც „მიშა-მზეზე“ ილოცებენ.**

ამ აღვირახსნილი პროცესის შეჩერება სამოქალაქო საზოგადოებამ თუ ვერ შეძლო, წლების შემდეგ მივიღებთ სწორედ იმ სურათს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიო შოკირებული შესცქეროდა, ვგულისხმობ ჩრდილოეთ კორეაში კიმ ჩენ ირის სიკვდილის შემდეგ მომხდარ ფაქტს, როცა ბელადის დაკარგვით დამწუხრებული კორეელები უმოწყალოდ ურტყამდნენ თავს იატაკზე.

საქართველოს ხელისუფლებამ გაუაზრებელი და დეფორმირებული რეფორმებით პირველ ეტაპზე მიაღწია იმას, რომ ქართული ცოდნის კერები დატოვა ცოდნის გარეშე, ამჯერად კი მიზანში ამოიღო ქართული ენა, როგორც ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების უმთავრესი ინსტრუმენტი, და მის ჩანაცვლებას ინგლისური ენით ცდილობს. **„ვინც რა არ უნდა თქვას, ჩვენ უახლოეს მომავალში შემოვიღებთ წესს, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებს ვერ აიღებენ ის პირები, რომელთაც ინგლისური ენა არ ეცოდინებათ. ძალიან კარგია რუსული ენის ცოდნა, თუმცა დღეს მთელი ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკულად ინგლისურად მიდის. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული წესის შემოღება აუცილებელია“,** — განაცხადა სააკაშვილმა რამდენიმე კვირის წინ. ზოგადად, არც ერთი უცხო ენის ცოდნა ბავშვისთვის ცუდი არ არის, პირიქით უკეთესიცაა, ერთი ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს: „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ“, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ **ისე გულმოდგინედ ქართულ ენას არავინ ასწავლის ქართველ ბავშვებს, როგორც ამას ინგლისურის შემთხვევაში აქვს ადგილი.** მითუმეტეს, **თუ ინგლისურის სწავლებამ იძულებითი ხასიათი მიიღო, მაშინ ეროვნული თვითმყოფადობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.**

**ავტორიტარი მმართველების ხელში მოზარდები არ უნდა იქცნენ პოლიტიკურ იარაღად, რადგან ეს საზოგადოებას ინტელექტუალურად გამოფიტავს და ხელში ზომბების მრავალრიცხოვანი არმია შეგვრჩება**

დღეს განათლების სისტემა სერიოზულ კრიზისს განიცდის „ვარდოსნების“ მიერ გატარებული არაგონივრული და გაუმართლებელი რეფორმების, ლოტოტრონების თუ ტესტირება-გამოცდების შედეგად. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, სააკაშვილის რეჟიმმა მოახერხა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო პარტიული პროპაგანდის სამსახურში ჩაეყენებია. უფრო მეტიც, **ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განათლების სისტემას ისე ექცევა, თითქოს მას ევთანაზიისთვის ამზადებდეს.** შედეგად განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანები მმართველი პარტიის აგიტატორებად, აქტივისტებად და პროპაგანდისტებად გადაიქცნენ, ხოლო ვინც ამ უსამართლო პოლიტიკას არ იზიარებს, თანამდებობას ახსნა-განმარტების გარეშე ემშვიდობება.

**მასწავლებელთა კორპუსი რომ დეგრადაციის გზაზეა, ეს ნათლად გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილის რეგიონებში მოგზაურობისას, როცა თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში მოსახლეობასთან შეხვედრისას პროვოკაციებს, დებოშს თუ ხმაურს მასწავლებლები და სკოლის დირექტორები აწყობდნენ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დაკვეთით.**

მართალია, ნებისმიერ მოქალაქეს და მათ შორის მასწავლებლებსაც სრული უფლება აქვთ, ჰქონდეთ პოლიტიკური სიმპატიები მმართველი გუნდის მიმართ.მ მაგრამ პედაგოგი, რომელიც რიგითი პროვოკატორის დონემდე დადის, სკოლაში მუშაობის ღირსი არ არის. ასეთი ადამიანი ბავშვის აღმზრდელად არ გამოდგება, რადგან სკოლა მასწავლებლისთვის მხოლოდ დასაქმების ადგილი არ არის, სადაც ყოველდღე ივლის ავად თუ კარგად და ხელფასს აიღებს. მასწავლებლობა, უპირველეს ყოვლისა, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პედაგოგს მომავალი თაობის წინაშე, ვინაიდან მასწავლებელი უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. მასწავლებელი საფუძველს უყრის მომავალი თაობის სწორად აღზრდას, ანუ ერის მომავალ განვითარებას და წინსვლას.

**სააკაშვილის რეჟიმი სკოლების ტოტალურ კონტროლს ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ცდილობს და გარკვეულწილად მიაღწია კიდეც მიზანს. არასასურველი და მმართველი რეჟიმისადმი არალოიალური პედაგოგები სკოლიდან დაითხოვა და მოსწავლეების „სპარტანულად“ აღზრდის მიზნით, ერთი წლის წინ „მანდატურის ინსტიტუტიც“ შემოიღო, რომლის უმთავრესი მოვალეობა ბავშვების მეთვალყურეობა და მკაცრი კონტროლის პირობებში აღზრდაა.** არადა, აღმზრდელობითი ფუნქცია სკოლაში, წესით, მასწავლებელს, ანუ ცოდნის მიმცემს აქვს. ხელისუფლებამ კი მანდატურების მიერ გამოვლენილი სიმკაცრე „ქუჩური მენტალიტეტის“ ამოსაძირკვად მიმართულ ღონისძიებად შეაფასა. **კარგია, სასწავლო დაწესებულებები მეტნაკლებად ქუჩური მენტალიტეტისგან რომ გათავისუფლდა, მაგრამ სკოლაში სწორედ მანდატურებმა დანერგეს მეორე უკიდურესობა, ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტი, რომელიც პოლიციური სახელმწიფოს პროდუქტად აქცევს მომავალ თაობას.** ქართულ სკოლებში მიმდინარე ამ არასასურველმა პროცესმა პატრიარქიც შეაშფოთა: სკოლებში **„ზედამხედველებად ე.წ. მანდატურები დავნიშნეთ. ისინი კი არ ზრდიან ბავშვებს, აქცევენ მათ ენის მიმტანებად თავიანთ მასწავლებლებსა და მეგობრებზე, ამიტომ ეს საკითხი შესასწავლია. შიშით ვერ გავზრდით შვილებს, მხოლოდ სიყვარულითა და კეთილი სიტყვით უნდა აღვზარდოთ ისინი. მადლობა ღმერთს, რომ ვცხოვრობთ დროში, როდესაც გვაქვს ორი სასულიერო აკადემია და ათობით სასულიერო სასწავლებელი. მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის“,** — ბრძანა უწმინდესმა ილია მეორემ.

**ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ მმართველი პარტია სკოლის ადმინისტრაციულ და ადამიანურ რესურსს საარჩევნო პროცესის დროს უპრობლემოდ იყენებს:** მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნები უმეტესწილად სკოლის შენობებშია განთავსებული, ხოლო სკოლის პედაგოგები და დირექტორები საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებად და თავმჯდომარეებად მუშაობენ. ასევე, **ძალიან ხშირია ფაქტები, როცა პედაგოგები სამუშაო საათების დროს ესწრებიან როგორც პრეზიდენტის, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს და ამის გამო მათ სიტყვიერ გაფრთხილებასაც არავინ აძლევს. პირიქით, ასეთი ქმედება წახალისებულია განათლების სამინისტროს მიერ.** მაგრამ, თუკი პედაგოგმა „გაბედა“ და ხმამაღლა დააფიქსირა თავისი პოლიტიკური სიმპათიები რომელიმე ოპოზიციური პარტიის თუ მისი ლიდერის მიმართ, მაშინ მის წინააღმდეგ რეპრესიებს მთელი სახელისუფლო მანქანა განახორციელებს.

ამ შემთხვევაში გამოსავალი სკოლის (ისევე როგორც პოლიციის და ჯარის) დეპოლიტიზაციაშია. უფრო კონკრეტულად კი, **უნდა აიკრძალოს საარჩევნო ოლქებისა თუ უბნების საქმიანობაში სკოლის დირექტორებისა და პედაგოგების მონაწილეობა, უნდა შეწყდეს სასწავლო დაწესებულებებში საარჩევნო უბნების გახსნა, ასევე შეეზღუდოს პრეზიდენტს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფო მოხელეს სკოლაში პოლიტიკური კამპანიის წარმოება.** ეს კი შესაძლებელს გახდის, ქვეყანაში სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, დირექტორები და, რაც მთავარია, მოსწავლეები პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლდნენ. მითუმეტეს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, **„დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზირება“,** ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია. თუმცა იმ ფაქტმა რომ ბატონი შაშკინი სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან ჯერ განათლების, ხოლო ახლა თავდაცვის მინისტრად გადაიყვანეს, ცხადყო რომ „ციხის რეჟიმი“ ხელისუფლებას ჯერ სკოლებში, მერე კი ჯარშიც უნდა დაემყარებინა და განათლების სისტემის კვალდაკვალ ჯარიც უკიდურესად პოლიტიზირებული გაეხადა.

**ზურაბ ჯამბურია**

**მეუფე ანანია: ქალბატონ დენიზა სუმბაძის ახალი წიგნი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ძველი საქართველოს მრავალწახნაგოვანი კულტურა კვლავაც შესასწავლია და მასში დაფარული სულიერი საგანძური საკვლევია... მისი ახალი ხედვა, განსაკუთრებით ბაგრატოვანთა იბერიელობის შესახებ და სხვა ნაკვლევები, ავსებენ ჩვენს ცოდნას. იმედი გვაქვს და ვლოცულობთ, რომ ქალბატონი დენიზა ამ წიგნს მალე გააცნობს უფრო ფართო საზოგადოებას და შემდგომში კვლავაც გაგვამდიდრებს სიახლეებით.**

მეცნიერება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ზნეობრივი მზე საქართველოდან უნდა ამოვიდეს»




**პროფესორ დენიზა სუმბაძის წიგნი „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ უთუოდ მიიპყრობს არამხოლოდ ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერის — გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებით დაინტერესებული სპეციალისტების ყურადღებას, არამედ ფართო მკითხველიც დიდი ინტერესით გაეცნობა პავლე მოციქულისადმი მიძღვნილ მისეული საევედრებლის ახლებურ ისტორიოსოფიურსა და თეოლოგიურ განმარტებას, რომელსაც ქალბატონი დენიზა გვთავაზობს.**




**„ამ საოცარი წიგნის წაკითხვამ ისე აღმაფრთოვანა, რომ დიდად გახარებული ვამბობ: ეს ნაშრომი გახლავთ არა მარტო ქალბატონ დენიზას, არამედ მთელი ქართული სამეცნიერო აზრის უდიდესი გამარჯვება!** — წერს წიგნის წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი ზურაბ რატიანი. — **აქვე უნდა ვთქვა, რომ მოცულობით არც თუ დიდი წიგნი მკითხველს ახარებს არა ერთი, არამედ რამდენიმე სამეცნიერო დარგში გამარჯვებით. ასეთებია: ქართველი ერის სიბრძნისმეტყველება, ქართველი ერის ცხოვრება, ქართველი ერის ღმრთისმეტყველება, ქართველი ერის სიტყვაკაზმული მწერლობა...“**

**„ეს უდიდესი გამარჯვება ქართველ ერს მოუტანა ქალბატონმა, ქართლის დედის მშვენიერმა შთამომავალმა და ამით სამშობლოსათვის ქართველი ქალის ფასდაუდებელი მნიშვნელობა დიდ წინაპართა მსგავსად დაგვანახა: ქართველი ქალი „ღვთისა დანაბადია“, ჭეშმარიტად!“** — დასძენს ზურაბ რატიანი და ამ მოსაზრებას უთუოდ გაიზიარებს ნებისმიერი, ვინც დენიზა სუმბაძის ამ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს გაეცნობა.

წიგნის რეცენზენტები არიან ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგიკურ და პოლიტოლოგიურ აკადემიათა აკადემიკოსი **რევაზ ბალანჩივაძე** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გია გელაშვილი.**

რევაზ ბალანჩივაძე აღნიშნავს, რომ **„გახსნილია წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“,** ხოლო **გია გელაშვილი** პროფესორ დენიზა სუმბაძის ნაშრომის შესახებ ამბობს რომ ეს არის **„დასკვნები ქართველთა სამომავლო მისიაზე“.**

**რევაზ ბალანჩივაძე: „ცნობილი ქართველი მკვლევარისა და მოაზროვნის — დენიზა სუმბაძის ამ პატარა წიგნში — „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ — გახსნილია წინასწარმეტყველება ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ახალი ერის შესახებ. ამ ნაშრომში იმდენი სიახლეა, იმდენი საინტერესო აზრი და იდეაა, რომ არა მგონია, ეს ყველაფერი მარტო მისი ავტორის ნიჭიერების გამო ხდებოდეს და ამაში ღვთის ხელი არ ერიოს. ჩემი ღრმა რწმენით. სწორედ ზეციური შთაგონება აკეთებინებს მას ამდენ მოულოდნელ დასკვნას, აღმოაჩენინებს ამდენ საიდუმლოს, აკავშირებინებს მათ ლოგიკურად ერთმანეთთან და ამ გზით, ამ პატარა წიგნის სახით, თავისი ქვეყნისათვის თავისეულ „ახალ საგალობელს“ აწერინებს.“**

**გია გელაშვილი: „დენიზა სუმბაძე გვთავაზობს თავისეულ, ამასთან, სავსებით მისაღებ დასკვნებს ქართველთა და ქართული ენის სამომავლო მისიის თაობაზე, ბაგრატიონთა წარმომავლობაზე და სხვ. ამავე დროს, ავტორი ეხება თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას (ბზიგნევ ბჟეზინსკისა თუ ჯორჯ სოროსის აზრებს, ნატოს თუ აშშ-ის პოლიტიკას, ევროკავშირს) და ამ ფონზე საქართველოს მდგომარეობას. ჩვენ ვიზიარებთ ავტორისეულ მეცნიერულ ხედვასა და მსჯელობას. ჩანს, რომ იგი ნამდვილი ეროვნული სულის მატარებელია და ებრძვის ხალხის ცნობიერებიდან ეროვნული იდეალების ამოშლას. მას სურს, რომ „საქართველო დაეხმაროს მსოფლიოს და აჩვენოს კაცთმოყვარეობისა და ურთიერთსიყვარულის მაგალითი“, რომ „ზნეობრივი მზე საქართველოდან უნდა ამოვიდეს“.**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დენიზა სუმბაძის წიგნი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლის პროპაგანდის ცენტრმა წარუდგინა საზოგადოებას. მეცნიერების, ეკლესიის, „ბაგრატიონთა სახლის“, „თავადაზნაურთა საკრებულოს“ წარმომადგენლები დიდი ინტერესით ისმენდნენ ავტორის და მოწვეული სპეციალისტების მოსაზრებებს ამ უდავოდ მნიშვნელოვანი ნაშრომის შესახებ. დენიზა სუმბაძის კვლევას საფუძვლად უდევს იოანე ზოსიმეს, გიორგი მთაწმინდელის და სხვათა რეფორმატორული მოძღვრება, ასევე დავით აღმაშენებლისა და იოანე პეტრიწის ნააზრევი და მოღვაწეობა.

წიგნის წარდგინების შემდეგ აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ** განაცხადა:

**„ქალბატონ დენიზა სუმბაძის ეს ნაშრომი — „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ — უაღრესად საინტერესო გამოკვლევაა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის მესიანიზმის პრობლემა საქართველოსი და საქართველოს მომავალი ბედის განჭვრეტა გიორგი მთაწმინდელის მიერ... ძალიან რთული საკითხია... შეიძლება ზოგ რამეში არ დაეთანხმო, შეიძლება ზოგი რამ სხვანაირად გაიაზრო, მაგრამ ის ფაქტი, რომ დაიდო ასეთი ნაშრომი, თუ როგორ წარმოედგინა გიორგი მთაწმინდელს საქართველოს შემდგომი განვითარება, ძალიან მნიშვნელოვანია.“**

მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის დიალექტების შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ **მეუფე ანანიამ** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა:




**„ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ამაყი იყო და არის თავისი დიდებული ქალბატონებით. წმინდა ნინოს, თამარისა და ქეთევანის მადლი ჯერაც არ გამქრალა. ამის მაგალითია ქალბატონ დენიზა სუმბაძის დაუღალავი ღვაწლი. მისი ორიგინალური წიგნები, უკვე მრავალი ათეული წელია, სულიერად აძლიერებს თაობებს. მისი ახალი წიგნი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ძველი საქართველოს მრავალწახნაგოვანი კულტურა კვლავაც შესასწავლია და მასში დაფარული სულიერი საგანძური საკვლევია, რომელსაც კარგად ახერხებს ქალბატონი დენიზა. მისი ახალი ხედვა, განსაკუთრებით ბაგრატოვანთა იბერიელობის შესახებ და სხვა ნაკვლევები, ავსებენ ჩვენს ცოდნას. იმედი გვაქვს და ვლოცულობთ, რომ ქალბატონი დენიზა ამ წიგნს მალე გააცნობს უფრო ფართო საზოგადოებას და შემდგომში კვლავაც გაგვამდიდრებს სიახლეებით.“**

როგორც აღვნიშნეთ, ქალბატონ დენიზა სუმბაძის წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს „ბაგრატიონთა სახლის“ წარმომადგენლები: „ბაგრატიონთა სახლის“ წინამძღვარი, ბატონი ნუგზარ ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირი კანონიერი მემკვიდრე, და ბატონი გიორგი ბაგრატიონი — „ბაგრატიონთა სახლის“ პირველი წინამძღვრის, ქალბატონ ნინო ბაგრატიონის ვაჟიშვილი.

„ბაგრატიონთა სახლის“ სახელით საწარდგინებო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ბ-ნმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ:

**„მე მინდა, თქვენ მადლობა მოგახსენოთ იმ უზარმაზარი თავდადებისათვის, რომელსაც თქვენ მუდამ იჩენდით ქართველი ხალხის, ყველა ჩვენგანის, ჩვენი თაობის, ჩვენზე უმცროსების, ჩვენი მომავალი თაობის განათლების მხრივ, რაც ესოდენ სჭირდება მათ... კერძოდ, მე მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი, ჩემთვის ფასდაუდებელი ღვაწლისთვის, რომელიც დასდეთ ჩვენს ოჯახს: თუ არა თქვენი დიდი ძალისხმევა, [მამაჩემი] პეტრე გრუზინსკი არ იქნებოდა გადასვენებული სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში. მე უმორჩილესად, მოწიწებით გიხრით თავს ამისთვის. ეს ჩვენი ოჯახისთვის და, მე მგონი, საქართველოსთვის იმ დროს ძალიან მნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებო ფაქტი გახლდათ. თქვენი თხოვნა ესოდენ ახლოს მიიტანა უწმინდესმა და უნეტარესმა და მისი ლოცვა-კურთხევით შედგა ეს მნიშვნელოვანი ფაქტი. მადლობას მოგახსენებთ. თავს გიხრით დიდი მოწიწებით“.**

## მეორე «ახალი საგალობელი» ჩვენი სულის საოხად და ჩვენს გამოსაფხიზლებლად

**ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიერ წარმოდგენილი ახალი ნაშრომი, „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, რომელიც ეხება ჩვენთვის საჭირბოროტო და ისტორიისთვის ძნელად საკვლევ საკითხებს, თემატურად მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა ეს საკითხი ერთ წერტილში იყრის თავს და სიღრმისეული საბუთიანობით აშუქებს იმ საოცრად დიდი მნიშვნელობის პრობლემას, როგორიცაა ქართველი ერის სულიერი მისია.**

აღნიშნულ საკითხს პირდაპირ თუ ირიბად მრავალი მკლევარი შეხებია, მაგრამ მეტად მწირი ისტორიული წყაროების აქა-იქ გაბნეული და დღემდე შემორჩენილი მცირეოდენი ცნობებიდან, ასეთი დასკვნები არავის გამოუტანია. გასაოცარია ავტორისეული წყაროებში წვდომის უნარი, მათ შორის ურთიერთკავშირის დანახვის ნიჭი და ბოლოს მკითხველის დაყენება დიდი აღმოჩენის წინაშე, რაც პირველი შემთხვევა არ არის ისტორიის წიაღის ფარულ შრეებში მისი ღრმა წვდომისა.

**ჩემი პირველი გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია მისმა ნაშრომმა მცხეთელი ქალდეველი მოგვების შესახებ, რომელსაც ასეთი თვალთახედვით არც ერთი ისტორიკოსი ჯერ არ შეხებია. ეს იყო გენიალური მიხვედრა, როდესაც მან მცხეთაში მცხოვრებ ქალდეველ მოგვებში შეიცნო ის ბიბლიური ხალხი, რომელიც ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებით ბეთლემში ჩავიდა, ხოლო მისი წამების შემდეგ კი უფლის კვართი მცხეთაში ჩამოიტანა.**

ნაშრომში თანმიმდევრულადაა გადმოცემული, სად, როგორ იშვა და განვითარდა ქართველი ერის „ახალ“, „საღმრთო“, ანუ „ღვთაებრივ ერად“ ჩამოყალიბების იდეა, რომელიც უკვე აშკარად ჩანს გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი საევედრებლიდან, რომელშიც ის ქართველ ერს მოიხსენიებს როგორც **„ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“,** ხოლო საქართველოს მოიაზრებს ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლ ქვეყნად. გიორგი მთაწმინდელისეულ ამ მცნებასთან იგი აერთიანებს იოანე ზოსიმეს ცნობილ ნაწარმოებთან „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„ყოველი საიდუმლო დამარხულია ამ ენაში და ჟამსა მეორედ მოსვლისასა უფალი ილაპარაკებს ამ ენით“.** აქ უკვე აშკარად ჩანს ქართული ენის დამარხული ვინაობის გახსნა და სამომავლო სულიერი მისია. ენა ხომ სულია ერისა. როგორც ქალბატონი დენიზა აღნიშნავს, **„ეს მოძღვრება საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა, როგორც საიდუმლო ცოდნა ერისა, ყალიბდებოდა ერის რჩეულთა და ხელდასხმულთა მიერ და ვლინდებოდა ძუნწად“.** სწორედ ეს **ქართული ეკლესიის ეზოთერიული, ანუ საიდუმლო და ძუნწად გამოვლენილი თეორია გახსნა ქალბატომა დენიზამ თავის ბრწყინვალე წიგნში ახლებური გაცნობიერებითა და ეროვნული თვითშეგნებით.** აღნიშნულ წიგნში დაყენებულია ქართული ქრისტიანობის საკაცობრიო მისიის საკითხი და ამიტომ ამ თვალსაზრისით ეს არა მარტო ქართული მეცნიერების გამარჯვებაა (როგორც ბატონი ზურაბ რატიანი სამართლიანად აღნიშნავს), არამედ ეკლესიური აზრისაც, რაც უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. ვფიქრობთ, რომ ამას ღირსეულად შეაფასებს ქართული ეკლესია და მისი ავტორის ამ დიდ ღვაწლს სათანადოდ წარმოაჩენს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქვე ავტორმა მკაფიოდ გამოკვეთა ის აზრიც, რომ ქართველ ერს მსოფლიოს ახალი წესრიგის ანტიქრისტიანულ და ანტიეროვნულ სივრცეში უწევს თავისი ისტორიული მისიის შესრულება.

ნებისმიერი ერის ღირსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ერის სულიერი მისიის წარმოჩენას, მითუმეტეს ჩვენთვის, დღევანდელ დაკნინებულ სამშობლოში. ალბათ, სწორედ დღეს უნდა დაწერილიყო ეს მეორე **„ახალი საგალობელი“** ჩვენი სულის საოხად და ჩვენს გამოსაფხიზლებლად, რათა მარად გვახსოვდეს — რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით უნდა წავიდეთ. ავტორი ამ წიგნით მთელი ძალით მოგვიწოდებს — **„სდექ, მტკიცედ და შეურყევლად“** ჩვენს ენასა და სარწმუნოებაზე.

**ლეილა მირიანაშვილი,**
**ისტორიკოსი, ეთნოგრაფი**

იბეჭდება შემოკლებით

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასული წლის დასაწყისში ევროზონის ყველა ქვეყნის სახელმწიფო ვალი ერთად მათივე ერთობლივი საერთო შიდა პროდუქტის 82%-ს შეადგენდა. ეს კი ბევრად აჭარბებს დასაშვებ ზღვარს, რომელიც საერთო შიდა პროდუქტის 60%-ზე გადის. აშშ-ში სახელმწიფო ვალის მაჩვენებელმა საერთო შიდა პროდუქტის 103% შეადგინა, იაპონიაში კი — 230%. დასავლური ქვეყნები გამდიდრების შესაბამისად სულ უფრო უნებისყოფონი ხდებოდნენ და ზედმეტად ითმენდნენ იმას, რამაც საბოლოო ჯამში მიიყვანა კიდეც კრახამდე.**

# განებივრებული დასავლეთის თვითლიკვიდაცია



**წამყვან დასავლურ სახელმწიფოებზე თავსდამტყდარი ახლანდელი უბედურებების ეკონომიკურ ჭრილში განხილვა საკითხის მარტივი და ბუნებრივი გადაწყვეტაა. ჩვენ ხომ სწორედ ასე გვაწოდებენ ამ ყველაფერს. საკითხი ნამდვილად ეკონომიკის სიბრტყეზე დევს, განსაკუთრებით — ერთი შეხედვით, მაგრამ, თუ უკან მივიხედავთ, მივხვდებით, რომ დასავლური ცხოვრების წესის აღსასრულის ეპოქაში ვცხოვრობთ.**




პრობლემა სინამდვილეში დიდად არაა დამოკიდებული ესპანეთის ვალებზე, ერთიან ევროპულ ვალუტაზე და თვით ევროკავშირზეც კი. ამ მხრივ საკვანძო მომენტი არც აშშ-ის საბიუჯეტო დეფიციტი და ეკონომიკური ვარდნაა.

ფუნქციების სრული მოშლის ის სიმპტომები, რომელთაც ადგილი აქვს დასავლურ სახელმწიფოებში, განპირობებულია არა რაღაც გარეშე ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებით, არამედ თავად ადამიანებითა და მათ მიერ გატარებული პოლიტიკით. რაც ახლა ხდება, იმის მიზეზები ძალზე მარტივია და ის თავად ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძებოთ. დასავლეთის დასასრული, პირველ რიგში, საკუთარი სისუსტეებისადმი მორჩილებითაა განპირობებული.

ეს მოვლენა სამი არხით ვრცელდებოდა. პირველი მათგანი სახელმწიფოებრივ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები დაემორჩილნენ ელექტორატის, მსხვილი კომპანიებისა და ეკონომიკის სექტორების სურვილებს. ისინი უთმობდნენ მათ ზეწოლის შედეგად და თანხმდებოდნენ მოსახლეობის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ისინი უფრო მეტს ხარჯავდნენ, ვიდრე ჰქონდათ. ყველას უნდოდა მეტი ანაზღაურება და სუბსიდიები, მაგრამ არავის სურდა გადასახადების გაზრდა. ითვლება, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ როგორმე ზომიერების ჩარჩოებში უნდა მოაქციოს ეს მოთხოვნები ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნების ლიდერები კი ამას არ აკეთებდნენ. შედეგად, ბიუჯეტებში დეფიციტები იზრდებოდა, ვალები კი გროვდებოდა და გროვდებოდა.

დასავლური ბლოკის წამყვან სახელმწიფოთა სიაში შედიან არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ იაპონიაც. ყველა ამ მსხვილ ეკონომიკას ახასიათებდა ისეთი შტრიხები, როგორიცაა ხელგაშლილი ხარჯვა და გადასახადების არაადეკვატური სისტემა.

უკანასკნელ ორ წელიწადში პენსიონერებმა, სახელმწიფო მოსამსახურეებმა და ხელისუფლებამ საბერძნეთში პრესის მხრიდან არაერთი საყვედური მოისმინა საკუთარი სისუსტეების მიმართ გადამეტებული მორჩილების გამო. მათ აკრიტიკებდნენ ძალზე მაღალი ანაზღაურებებისა და პენსიების მიღების და გადასახადებისგან თავის არიდების სურვილის გამო.

მართლაც, მფლანგველობას ევროპის მრავალ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი, იქ საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც კი გაუმართლებელი შეღავათები ურიგდებოდათ. გარდა ამისა, ევროპის ხელისუფლებები განუწყვეტლივ ასრულებდნენ მსხვილი კორპორაციებისა და ეკონომიკის სექტორის მოთხოვნებს.

მაგალითისათვის განვიხილოთ ფერმერები. **ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი, კერძოდ — 47%, ფერმერთა მეურნეობების სუბსიდირებაზე მიდის. ევროკავშირის ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ ჩამოაყალიბა უიმედოდ კონკურენტუუნარო ფერმერების მთელი არმია, რომლებიც, სიმართლე რომ ითქვას, დიდი ხნის წინ უნდა წასულიყვნენ ბიზნესიდან.**

მაგრამ ისინი ძალიან მძლავრ და ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ასე რომ, მათ სწორედაც კონკურენტუუნარობისთვის უხდიან ფულს. იმავე ახასიათებს იაპონიასა და აშშ-საც, მაგრამ იქ ანალოგიური სცენარი ასე მკვეთრად არაა გამოხატული.

## აშშ თავდაცვაზე იმდენივეს ხარჯავდა, რამდენსაც სხვა 190 ქვეყანა ერთად

სხვადასხვა დარგის ინტერესებისადმი მორჩილების ყველაზე თვალნათელი მაგალითი ამერიკაში სამხედრო პროგრამებისათვის გათვალისწინებული გადაჭარბებული ხარჯებია. **2000 წლის დასაწყისში აშშ-ის მოსახლეობა პლანეტის მოსახლეობის 5%-ს შეადგენდა, ვაშინგტონის სამხედრო ხარჯები კი მთელი დანარჩენი მსოფლიოს იმავე მაჩვენებლის ნახევარს შეადგენდა. აშშ თავდაცვაზე იმდენივეს ხარჯავდა, რამდენსაც სხვა 190 ქვეყანა ერთად.**

იაპონიაში ამგვარი ფეტიში მშენებლობის ხარჯები იყო, თანაც ამგვარი გადამეტებული ხარჯვა არა მხოლოდ ცუნამის შემდეგ, არამედ ცუნამამდე ათი წლით ადრე დაიწყო. 2003 წელს ხელისუფლებამ ბიუჯეტის 40% მხოლოდ მშენებლობებს დაახარჯა, მიუხედავად იმისა, რომ იაპონია ისედაც მსოფლიოს ყველაზე „აშენებულ“ ქვეყნებს შორისაა.

ამგვარი ქმედების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ დარგის კომპანიები მიღებული თანხის ნაწილს უკან უბრუნებდნენ გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებს.

მეორე არხი, რომლის საშუალებითაც ხორციელდებოდა სურვილების დაკმაყოფილების პოლიტიკა, **ცენტრალური ბანკები** იყო. თავიდან იაპონიაში, შემდეგ კი აშშ-სა და ევროპაშიც ცენტრალურმა ბანკებმა ფული უკიდურესად გააიაფეს, თანაც საკმაოდ დიდი დროით. ამგვარი ქმედების შედეგები ფატალური აღმოჩნდა.

**ცენტრალურ ბანკებს მოქმედების თავისუფლება და პოლიტიკისაგან დამოუკიდებლობა ერთი უბრალო მიზეზის გამო მიანიჭეს — ხალხს მოსწონს კრედიტების დაბალ პროცენტად აღება, პოლიტიკურ ლიდერებს კი მოსწონთ, გააკეთონ ის, რაც ხალხს მოსწონს.**

მაგრამ თუ პროცენტი დაბალი რჩება საკმაოდ ხანგრძლივი დროით, ფასები იზრდება, რაც კოშმარულ პრობლემებს განაპირობებს. 1980-იან წლებამდე ფულის მეტობა საქონლის ფასებში შედიოდა, რის შედეგადაც ინფლაციის პერიოდული აფეთქებები მეორდებოდა.

**მაგრამ 1980-იანი წლებიდან რაღაც შეიცვალა. ჭარბი ფულის არსებობის შედეგად დაიწყო აქტივების ფასის ზრდა და ეს განსაკუთრებით უძრავი ქონების აქციებს შეეხო. იაპონელები ამ პრობლემას ჯერ კიდევ 1980-იან წლებში შეეჯახნენ და, როდესაც ბუშტი გასკდა, ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური ვარდნა, რომლისგანაც თავის დაღწევა მან ამ დრომდეც ვერ მოახერხა.**

აშშ, რომელიც თავს ირწმუნებდა, რომ თავად განსაკუთრებული გზით მიდიოდა, რომ ამერიკელები სხვებზე უკეთესები არიან და ბოლოს და ბოლოს მათ ჰყავთ ისეთი გენიოსი, როგორიც ალენ გრინსპენია, იმავე შეცდომას ვერ გადაურჩა. შედეგიც ანალოგიური იყო.

რატომ წამოეგო ვაშინგტონი ამავე ანკესს? როგორც გონივრულად შენიშნა დამოუკიდებელი ჟურნალის — „Grant's Interest Rate Observer“-ის რედაქტორმა ჯიმ გრანდმა, გრინსპენი უფრო პოლიტიკოსი იყო, ვიდრე ბანკირი. მან ამერიკელებისათვის ნამდვილი ცხოვრების დღესასწაული მოაწყო და ნაციონალური გმირიც კი გახდა, თუმცა შედეგად ქვეყანა იაფ კრედიტებს ნარკოტიკივით შეეჩვია, ეს კი, როგორც ყველამ ვიცით, ძალზე სევდიანად დასრულდა.

მესამე არხი გახდა **საბანკო სისტემა**, განსაკუთრებით მსხვილი საინვესტიციო ბანკები. პოლიტიკოსები და მარეგულირებელი ორგანოები ამერიკაში, უფრო ნაკლებად კი ევროპაშიც, ხელს უწყობდნენ საინვესტიციო ბანკების ფანტასტიურ რენტაბელობას და უფლებას აძლევდნენ, გულუხვი შემოწირულობები გაეღოთ საარჩევნო კამპანიებისთვის.

ვითომდა თვითრეგულირების ჯადოსნური უნარის მქონე თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას ამოფარებულნი, ფინანსური დაწესებულებები სულ ახალ-ახალ და სულ უფრო სახიფათო გზებს პოულობდნენ იაფი ფულის ნაკადებიდან მოგების მისაღებად. ეს იაფი ფული შადრევნებივით გადმოჩქეფდა ცენტრალური ბანკებიდან. ერთ-ერთი ამგვარი მეთოდი სუბსტანდარტული იპოთეკური კრედიტირება გახდა.

**როდესაც ეს ქაღალდის სახლი დაინგრა, პოლიტიკურ ლიდერებს ბანკებისათვის ექსტრემალური დახმარების აღმოჩენა მოუხდათ, ამგვარი დახმარება კი სულაც არ იყო იაფი სიამოვნება. ეს ყველაფერი დაემატა იმ უზარმაზარ სახელმწიფო ვალს, რომელიც პოლიტიკოსებმა მანამდე მოაგროვეს და წრეც ჩაიკეტა.**

**გასული წლის დასაწყისში ევროზონის ყველა ქვეყნის სახელმწიფო ვალი ერთად მათივე ერთობლივი საერთო შიდა პროდუქტის 82%-ს შეადგენდა. ეს კი ბევრად აჭარბებს დასაშვებ ზღვარს, რომელიც საერთო შიდა პროდუქტის 60%-ზე გადის. აშშ-ში სახელმწიფო ვალის მაჩვენებელმა საერთო შიდა პროდუქტის 103% შეადგინა, იაპონიაში კი — 230%.**

**დასავლური ქვეყნები გამდიდრების შესაბამისად სულ უფრო უნებისყოფონი ხდებოდნენ და ზედმეტად ითმენდნენ იმას, რამაც საბოლოო ჯამში მიიყვანა კიდეც კრახამდე.**

ასე რომ, დასავლური სამყაროს ახლანდელი გაჭირვების ისტორია იმდენად ძველია, რამდენადაც თავად სამყარო, უბრალოდ, ის კიდევ ერთხელ განმეორდა ჩვენს დროში.

**The Sydney Morning Herald**

მოკლედ

## ფსიქიატრიული — მარტო ბრეივიკისთვის



**ნორვეგიის ჯანდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, ოსლოში — ილას ციხის ერთ-ერთი კორპუსის ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთება.** იგი გათვლილია მხოლოდ ერთ პაციენტზე, 33 წლის ტერორისტ ბრეივიკზე, რომელიც მუდმივი კონტროლის ქვეშ იქნება. დღისით მას თვალყურს მიადევნებს კლინიკის 4 თანამშრომელი, ღამით კი – სამი. ტერორისტის ქცევებისა და მკურნალობის კონტროლისთვის აღიჭურვება სპეციალური სამედიცინო კაბინეტი. ამას გარდა, ბრეივიკის განკარგულებაში იქნება საძინებელი, სააბაზანო, საპირფარეშო, სპორტული დარბაზი და მისაღები ოთახი.

## ეიფელის კოშკზე თვითმკვლელები დაბრუნდნენ

**პარიზის სამაშველო სამსახურმა ბოლო ორი დღის განმავლობაში ეიფელის კოშკიდან თვითმკვლელობის მეორე მცდელობა აღკვეთა.** ორშაბათს დაახლოებით ადგილობრივი დროით დილის 9-ის ნახევრისთვის 20 წლის გოგონა ცდილობდა თავის მოკვლას და კოშკის პირველი საფეხურიდან ხტებოდა. შემთხვევის ადგილზე მაშინვე მივიდა სახანძრო სამსახური, პოლიცია და სპეციალური ვერტმფრენი, რომლებმაც გოგონა უსაფრთხოდ ჩაიყვანეს ქვემოთ. ამ ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე ეიფელის კოშკზე დაფიქსირდა თვითმკვლელობის შემთხვევა, რომელიც ტრაგედიით დასრულდა: დაიღუპა 25 წლის ბიჭი. ის 24 ივნისს კოშკის დასავლეთის მხრიდან 125 მეტრ სიმაღლეზე ავიდა.

**შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საბოლოო მიზანს რუსეთსა და ჩინეთს შორის სადავო საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს, მაგრამ რუსეთი იმედოვნებს, რომ ორგანიზაციას ნატოს საპირწონედ აქცევს. ჩინეთს კი ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ კავშირად წარმოუდგენია. ირანი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში წევრობას ნატოსა და აშშ-ის მეთაურობით სხვა სტრუქტურების ალყაში ყველაზე ღირებულ აქტივად მიიჩნევს და ეს პოზიცია მოსკოვს მშვენივრად ესმის.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალყაშემორტყმული ირანი სამხედრო მხარდაჭერას პოსტსაბჭოთა სივრცეში ეძებს



**ისრაელის მხრიდან შესაძლო თავდასხმის თაობაზე მზარდი რიტორიკის ფონზე კუთხეში მიმწყვდეული ირანი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში სრული თანამშრომლობისკენ ისწრაფვის, რაც მისთვის საერთაშორისო დიპლომატიური „სიცოცხლის დაზღვევის“ დამატებითი შრეა. 12 ნოემბერს ნაციონალური უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის თანაშემწემ ალი ბაგერიმ განაცხადა, რომ ირანი ამ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსიდან სრულუფლებიანი წევრის სტატუსზე გადასვლას აპირებს და, როგორც მან მოსკოვში ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისი განცხადებაც უკვე შეტანილი აქვს. ახლა ირანმა რაღაც მხარდაჭერის მსგავსი მიიღო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისაგან, ძალის გამოყენების მიუღებლობის სახით.**



შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები — ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი ორდღიანი კონფერენციის შედეგად მიღებულ ერთობლივ განცხადებაში აცხადებენ, რომ ირანის პრობლემის ძალისმიერად გადაწყვეტის ნებისმიერი მცდელობა მიუღებელია და, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგებით დასრულდეს.

ეს საკმაოდ შთამბეჭდავი მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანი ამჟამად ორგანიზაციაში მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსს ინარჩუნებს.

**2001 წელს შანხაიში შექმნილი თანამშრომლობის ორგანიზაცია ამჟამად მხოლოდ ზემოჩამოთვლილი ქვეყნებისგან შედგება. ისეთ ქვეყნებს კი, როგორიცაა ირანი, ინდოეთი, მონღოლეთი და Pპაკისტანი, მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი აქვს. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრობის ან დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას ყველა წევრი ქვეყნის კონსენსუსი სჭირდება.**

იანმა ორგანიზაციის დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად განცხადება პირველად 2005 წლის 25 თებერვალს წარადგინა, შემდეგ კი, 2008 წლის მარტში. მოითხოვა სტატუსის შეცვლა ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრამდე.

სამი წლის წინ მოსკოვი უფრო გულგრილად უყურებდა ირანის თხოვნას. მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ანდრეი კრივცოვმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გაფართოებას, რადგან არც ერთი ქვეყანა არ ცდილობს ორგანიზაციის გაფართოებას მხოლოდ გაფართოებისთვის. ირანის სწრაფად მიღების თაობაზე არც ერთ ინფორმაციას არ აქვს რაიმე საფუძველი“.

**ახლა რუსეთში ირანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის 2011 წლის 6 ნოემბრის სამიტში, გავლენიანი მოკავშირე ჰყავს. რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვს ირანისა და ინდოეთის ორგანიზაციაში მიღებას. იმხანად რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მიესალმება ნებისმიერი ფორმით ორგანიზაციასთან მიერთების განაცხადების დადებით განხილვას ნებისმიერ ქვეყანასთან მიმართებაში. ნატოს წევრმა თურქეთმა, რომელსაც „დიალოგისათვის პარტნიორის“ სტატუსი აქვს, ასევე მოითხოვა ორგანიზაციის სრული წევრობა.**

**შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საბოლოო მიზანს რუსეთსა და ჩინეთს შორის სადავო საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს, მაგრამ რუსეთი იმედოვნებს, რომ ორგანიზაციას ნატოს საპირწონედ აქცევს. ჩინეთს კი ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ კავშირად წარმოუდგენია.**

**ირანი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში წევრობას ნატოსა და აშშ-ის მეთაურობით სხვა სტრუქტურების ალყაში ყველაზე ღირებულ აქტივად მიიჩნევს და ეს პოზიცია მოსკოვს მშვენივრად ესმის.**

2011 წლის ივლისში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალეხიმ რუსეთის მასმედიასთან ინტერვიუში ირანი რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვან მეზობლად მოიხსენია და აღნიშნა, რომ ის დგას აშშ-ის მეთაურობით წამოწყებულ რუსეთის შემოსაზღვრის სტრატეგიის წინაღობად.

თუმცა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანების გარეშეც კი ირანი რუსეთს საკუთარ მოკავშირედ მოიაზრებს ირანზე სამხედრო დარტყმის განხორციელების შემთხვევაში. როგორც 2011 წლის 8 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, ირანის ბირთვულ პროგრამას სამხედრო გადაწყვეტა არ გააჩნია ზუსტად ისევე, როგორც არ გააჩნია სამხედრო გადაწყვეტა თანამედროვე მსოფლიოს არც ერთ პრობლემას.

**რაც შეეხება ჩინეთს, ამჟამად ის ირანის უმსხვილესი პარტნიორია ნავთობის მიმართულებით და ცალსახად უარყოფს მის მიმართ დაწესებულ ნებისმიერ სანქციას. ჩინეთი განაგრძობს ირანში ინვესტირებას, თავის მხრივ, ირანი სიდიდით მეოთხეა ჩინური ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს შორის არა ობლიგაციებით, რაც სამხედრო დარტყმას საფრთხის წინაშე აყენებს.**

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ირანის წევრობა ირან-ჩინეთის ურთიერთობებს ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ აბსოლუტურად ჩაშლის ირანის იზოლაციის მიმართულებით აშშ-ის ყველა მცდელობას.

**სამხედრო პარტნიორების მოპოვების მცდელობებში ირანს სახელოში კიდევ ერთი კოზირი აქვს დამალული — კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია.** ეს ორგანიზაცია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გვერდით 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიქმნა. როდესაც ირანმა დაიწყო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაერთიანების საშუალებების ძიება, კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციისაგან თბილი მიღება მიიღო. მაშინ, 2007 წლის 18 მაისს, კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაი ბორდიუჟამ განაცხადა, რომ ორგანიზაცია გახსნილია. მისივე განცხადებით, კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია სიამოვნებით განიხილავდა ირანის განცხადებას, თუ ის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად იქნებოდა წარდგენილი.

**კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციაში ირანის გაწევრება გააძლიერებს მის სამხედრო კავშირებს.** როგორც ორგანიზაციის წესდების მე-4 პუნქტი იუწყება, წევრი-სახელმწიფოებისგან ნებისმიერის მიმართ აგრესიის აქტის შემთხვევაში ყველა დანარჩენი წევრი-სახელმწიფო მას ნებისმიერ საჭირო დახმარებას გაუწევს, მათ შორის სამხედრო დახმარებასაც. გარდა ამისა, მხარდაჭერას გაუწევენ მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, რომელიც გაეროს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებულია კოლექტიური თავდაცვის უფლების ფარგლებში.

განამტკიცა რა ირანის იმედები, 2011 წლის 13 აპრილს ბორდიუჟამ, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ირანი არ უხსენებია, განაცხადა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია განიხილავს დაჯგუფების გაფართოების საკითხს.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასა და კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციასთან მიერთების ირანულ ინტერესს აკლია ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი — დრო. როგორც ცნობილია, არც მოსკოვი და არც ჩინეთი ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არ იღებენ, რის შედეგადაც ირანმა მალე შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მოვლენებს ბევრად გაუსწრო. მიუხედავად ამისა, რუსეთისა და ჩინეთის მტკიცედ დგომა სამხედრო ჩარევის დაუშვებლობის პოზიციაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია როგორც თელ-ავივისათვის, ასევე ვაშინგტონისთვისაც.

მაშ ასე, **საით წავა დასავლეთი ამგვარ პირობებში?**

განა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ამჟღავნებს, რომ მონაწილეობას მიიღებს ირანის საწინააღმდეგო კონფლიქტში?

არა.

თუმცა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის მიმართ ირანის ინტერესი ლამის რიგითი სავარჯიშოა პოლიტიკურ ხელოვნებაში, როდესაც რუსეთი, ყაზახეთი (არც ერთი არ შედის ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში) და ირანი ერთად მსოფლიოს მთელი ნავთობის მეხუთედს აწარმოებენ. ეს ნავთობი, შესაძლოა, შეწყდეს, თუ საერთაშორისო საზოგადოება თავგადასავლების ძიებას გადაწყვეტს.

ფრაზას „ირანის პრობლემის ძალით მოგვარების ნებისმიერი მცდელობა მიუღებელია და, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი გარემოებებით დასრულდეს“ ხელი მოაწერეს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებმა — რუსეთმა, ჩინეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს მათთვის, ვინც ირანთან ომისაკენ იხრება.

mixednews.ru

## ყველაზე საშინელი ხანძარი ამერიკის ისტორიაში

**აშშ-ის დასავლეთით, ტყეში ისევ მძვინვარებს ძლიერი ხანძარი. ახლა ეპიცენტრი ქალაქ კოლორადო-სპრინგშია.** ხანძრის შედეგად უკვე დაიწვა ასობით საცხოვრებელი სახლი და 30 ათას ადგილობრივ მცხოვრებს დაატოვებინეს საშიში რაიონი. ხანძრის პირველი კერები კოლორადოში 9 ივნისს დაფიქსირდა. კვირის დასაწყისამდე 200 სახლზე მეტი დაიწვა. კოლორადო-სპრინგში პარასკევს, ღამით, გახდა ცნობილი პირველი მსხვერპლის შესახებ. ცხედარი, რომელიც გაურკვეველია, ქალისაა თუ მამაკაცის, ერთ-ერთ დამწვარ სახლში იპოვეს. ორი ადამიანი დაკარგულად ითვლება. ბოლო მონაცემებით, ცეცხლმა 346 სახლი გაანადგურა. მეხანძრეებმა შეძლეს ცეცხლში გახვეული ფართობის 15 პროცენტით შემცირება. ახლა საფრთხე ემუქრება 20 ათასამდე საცხოვრებელ სახლსა და 100-მდე დაწესებულებას. ხანძრის ბოლი კოლორადოში კოსმოსიდანაც შეიმჩნევა.

## პუტინმა ისრაელის მაღალჩინოსნები გააფრთხილა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თელ-ავივში ვიზიტის დროს ისრაელელი მაღალჩინოსნები გააფრთხილა, რომ ირანზე თავდასხმა არ განახორციელონ.** პუტინის აზრით, ისრაელში უნდა გაითვალისწინონ ის სირთულეები, რომლებიც აშშ-ს ერაყსა და ავღანეთში ომის დროს შეექმნა. რუსეთის პირველი პირის აზრით, ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი დიალოგის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკას არჩევანის გაკეთება მოუწევს. თუ ის განაგრძობს სვლას იმ გზაზე, რომელსაც უკანასკნელ ათწლეულში მიუყვებოდა, მაშინ შესაძლებლობების არქონა საზოგადოებაში განხეთქილებას გააღრმავებს, რაც ხასიათდება ზრდის გაცილებით ნაკლები ტემპითა და გაცილებით მაღალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით. მეორე მხრივ, ამერიკას შეუძლია აღიაროს, რომ ეკონომიკამ წონასწორობა დაკარგა.**

# უპილოტო სნაიპერი — ბარაკ ობამა

**ობამას აშშ-ის პრეზიდენტობის პერიოდში ამერიკის დარტყმები უპილოტო საფრენი აპარატებიდან მასობრივი ხასიათის მოვლენა გახდა. მასმედიის ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა პირადად აკონტროლებს უპილოტო საფრენი აპარატების „ალ ქაიდასა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ დარტყმებისათვის სამიზნეების არჩევის პროცესს. შერჩევის ამ მრავალსაფეხურიანი პროცესის ბოლოს ობამა ამტკიცებს, თუ ეჭვმიტანილთაგან რომელი მოხვდება განწირულთა სიაში. ამის შესახებ „ნიუ იორკ თაიმსი“ ყოფილ მრჩეველზე, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეზე, დაყრდნობით იტყობინება.**





„იგი წყვეტს, შეესაბამება თუ არა მიღებული ზომა ოპერაციის მასშტაბს“, — იმეორებს გაზეთი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ობამას მრჩევლის — ტომ დინილონის სიტყვებს და აღწერს იმ აბსოლუტურად გასაიდუმლოებული პროცესის დეტალებს, რომლის დროსაც ანტიტერორის მხრივ პენტაგონის ასობით ექსპერტი ასახელებს საეჭვო პირებს, რომლებთაც სომალსა თუ იემენში უპილოტო საფრენმა აპარატებმა უნდა მიაყენოს დარტყმა. პაკისტანში თემების საცხოვრებელ ტერიტორიებზე სამიზნეების არჩევაზე პასუხისმგებელია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური.

შემდეგ ინფორმაცია მიდის პრეზიდენტთან, რომელიც მწვანე სინათლეს უნთებს დარტყმებს უპილოტო საფრენი აპარატებიდან იემენისა და სომალის ტერიტორიაზე, ასევე განსაკუთრებით რთულ შეტევებს პაკისტანის ტერიტორიაზე. ობამა თავის ექსპერტებთან ერთად თეთრი სახლის სიტუაციურ ოთახში თათბირობს და ამ თათბირის პროცესში შეისწავლის ფოტოებსა და ეჭვმიტანილთა მოკლე ბიოგრაფიებს. შემდეგ სვამს კითხვებს და საბოლოოდ წყვეტს ვიღაცის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს.

**ობამას პრეზიდენტობა მშვიდობის ნობელით დაიწყო. მიუხედავად ამისა, უპილოტოების დახმარებით ტერორიზმთან ბრძოლას მან მართლაც მასიური ხასიათი მისცა. იანვრის დასასრულს ობამამ პირველად აღიარა პაკისტანში მათი გამოყენება და განაცხადა, რომ ამ პროცესში დაღუპული სამოქალაქო პირების რაოდენობა უმნიშვნელოა.**

მიუხედავად ამისა, მაღალჩინოსნებმა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლთა „უმნიშვნელო“ რაოდენობა გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ ეს შეფასება რეალობას არ შეესაბამება. საქმე ისაა, რომ ობამას ლოგიკით, ყველა მამაკაცი, რომელიც განადგურების ობიექტის სიახლოვეს იმყოფებოდა, ავტომატურად ითვლება ბოევიკად.

**„ნიუ იორკ თაიმსის“ მონაცემებით, წლეულს ამერიკელმა სამხედროებმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე განახორციელეს, სულ მცირე, 18 უპილოტო შეტევა პაკისტანში, 22 — იემენში და ერთი — სომალიში.**

## ამერიკა შესაძლებლობების ქვეყანა აღარ არის

**უთანასწორობამ ამერიკაში ასწლოვან მაქსიმუმს მიაღწია. ნაციონალური ტკბილეულის უდიდესი წილი პირამიდის წვერში მყოფთათვისაა განკუთვნილი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა კი დღითიდღე იზრდება. თანდათან იზრდება სხვაობაც მაღალანაზღაურებად და საშუალო შემოსავლების მქონე პირებს შორის. ერთ დროს ამერიკა საკუთარ თავს საშუალო ფენის ქვეყნად მიიჩნევდა, მაგრამ ეს ასე აღარ არის.**

ეკონომისტებმა ეს დისპროპორციულობა ახსნეს „უკიდურესი მწარმოებლობის თეორიით“, რომელიც გაცილებით მაღალ შემოსავალს საზოგადოების კეთილდღეობაში უფრო დიდი დაბანდებებით ხსნის. მაგრამ ისინი, ვინც მართლაც გარდაქმნის ამერიკის საზოგადოებას იმ ცოდნის მიცემით, რომელიც ტექნოლოგიური მიღწევების უკან დგას, საკმაოდ დაბალ ანაზღაურებას იღებს. დაფიქრდით ლაზერის გამომგონებელზე, ტიურინგის მანქანის შემქმნელზე ან იმ მეცნიერებზე, რომლებმაც დნმ-ი აღმოჩინეს. მათმა ინოვაციებმა, ვინც უოლ-სტრიტზე ზის, მართალია, გამომგონებლებს დიდი შემოსავლები მოუტანა, მაგრამ გლობალური ეკონომიკა კოლაფსის ზღვარზე მიიყვანა, ეს ფინანსური მეწარმეები კი თავიანთ მეგაშემოსავლებს არ ჩამოშორებიან.

„გაჟონვის ეკონომიკის“ თეორიაში ერთი მარცვალი სიმართლე მაინც რომ ყოფილიყო, ამერიკელები, ალბათ, უფრო მშვიდად შეეგუებოდნენ უთანასწორობას. მაგრამ ახლა ამერიკელთა გასაშუალოებული შემოსავალი უფრო ნაკლებია, ვიდრე 25 წლის წინ იყო, ხოლო მომუშავე მამაკაცის საშუალო ანაზღაურება უფრო დაბალია, ვიდრე ეს 40 წლის წინ იყო. მიუხედავად ამისა, პირამიდის მწვერვალზე მყოფთ ისტორიის მანძილზე არასდროს უცხოვრიათ ესოდენ მდიდრულად.

ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ უთანასწორობის ზრდა ბაზრის გარდაუვალი მავნე ქმედებაა. ესეც ტყუილია, მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებიც არ ამცირებენ ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მაგრამ ამცირებენ უთანასწორობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

**ბაზრის ხასიათს თამაშის წესები განსაზღვრავს. ამერიკის პოლიტიკურ სისტემას აქვს დაწერილი წესები, რომლებიც მდიდრებს უფრო მომგებიან მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე სხვა ყველას.** ფინანსური ნორმები უშვებენ მტაცებლურ კრედიტირებას და საკრედიტო ბარათების გამოყენების არაჰუმანურ პრაქტიკას, რაც ფულის ქვემოდან ზემოთ გადაქაჩვას განაპირობებს. ასევეა გაკოტრების კანონებიც, რომლებიც უპირატესობას დერივატივებს ანიჭებს. გლობალიზაციის წესი, რომლის პირობებშიც კაპიტალი აბსოლუტურად მობილურია, სამუშაო ძალა კი არ აძლიერებს ისედაც მძლავრ ასიმეტრიას სავაჭრო ურთიერთობებში: კომპანიები ქვეყნიდან გასვლით იმუქრებიან, თუ მასში მომუშავენი მნიშვნელოვან დათმობებს არ დათანხმდებიან.

სახელმძღვანელოებში წერია, რომ ამერიკული საზოგადოება შეიძლება გახდეს უფრო ეგალიტარული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის ზრდაზე ან ეფექტურობაზე. თუმცა უფრო დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამერიკას ძალზე ძვირი უჯდება უთანასწორობა: ის ხელს უწყობს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ არასტაბილურობას, ასევე ზრდის ტემპების შენელებას. უფრო ჯანსაღი ეკონომიკის მქონე დასავლური ქვეყნები თანასწორობის გაცილებით მაღალი დონით გამოირჩევიან.

აშშ-ის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ ათწლედში გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე შემდეგ პერიოდებში. მაშინ უთანასწორობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1980-იანი წლების შემდეგ, როდესაც პირამიდის მწვერვალზე, შემოსავლების შეუსაბამოდ, დიდი წილი მიდიოდა. სხვადასხვა ქვეყნის მრავალწლიანი გამოცდილება ადასტურებს კავშირს უთანასწორობას, ზრდასა და სტაბილურობას შორის.

ამ ყველაფერში ერთი კარგი ამბავიც არის: თუ ამერიკა ნაკლებად მოინდომებს ნამცხვრის დიდი ნაჭრის ხელში ჩაგდებას და თავად ნამცხვრის გაზრდაზე იზრუნებს, შესაძლოა, უფრო სამართლიანი საზოგადოება და უფრო ეფექტური ეკონომიკაც კი მიიღოს. **კანონები, რომელთა თანახმადაც მდიდრები ორჯერ ნაკლებ გადასახადებს იხდიან, ვიდრე ისინი, ვინც თავის გასატანად შრომობს ან ინოვაციებს ქმნის, რაღაცას ამბობენ ამერიკელთა ფასეულობებზე. მაგრამ, გარდა ამისა, ისინი ამახინჯებენ ქვეყნის ეკონომიკას, ახალგაზრდებს აზარტული თამაშებისაკენ უბიძგებენ. გადასახადების გაზრდა მდიდრებს ბევრ მისწრაფებაზე აალებინებდა ხელს.**

**ოდესღაც ამერიკას შესაძლებლობების ქვეყნად თვლიდნენ. დღეს ამერიკაში დაბადებული ბავშვის მომავალი ცხოვრება უფრო მეტადაა დამოკიდებული მისი მშობლების შემოსავლებზე, ვიდრე ევროპაში ან ნებისმიერ სხვა განვითარებულ ქვეყანაში.**

ამერიკას შეუძლია კვლავ შესაძლებლობების ქვეყანა გახდეს, მაგრამ ეს არ მოხდება თავისთავად და არ მოხდება იმ პოლიტიკის პირობებში, რომლის სათავეშიც განათლებაზე და საშუალო თუ დაბალი კლასის შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ სხვა პროგრამებზე ხარჯების შემცირება დგას, მითუმეტეს, თუ ამ დროს მდიდრებისთვის გადასახადები მნიშვნელოვნად მცირდება. **„ბაფეტის წესის“ მიხედვით, მდიდრებმა, სულ მცირე, თავიანთი შემოსავლების იგივე წილი უნდა გადაიხადონ გადასახადების სახით, რამდენსაც ნაკლებად შეძლებული ადამიანები იხდიან.** ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. სამაგიეროდ პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატის — მიტ რომნის შემოთავაზება სახელმწიფო მოხელეთა შემცირების თაობაზე არის საგანგაშო ნიშანი ზუსტად ისევე, როგორც მისი დუმილი კითხვაზე, — უნდა დაიბეგროს თუ არა სპეკულაციის შედეგად მიღებული შემოსავლები უფრო დაბალი ნიხრით, ვიდრე მძიმე შრომით მიღებული შემოსავლები.

**ამერიკას არჩევანის გაკეთება მოუწევს. თუ ის განაგრძობს სვლას იმ გზაზე, რომელსაც უკანასკნელ ათწლედში მიუყვებოდა, მაშინ შესაძლებლობების არქონა საზოგადოებაში განხეთქილებას გააღრმავებს, რაც ხასიათდება ზრდის გაცილებით ნაკლები ტემპითა და გაცილებით მაღალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით. მეორე მხრივ, ამერიკას შეუძლია აღიაროს, რომ ეკონომიკამ წონასწორობა დაკარგა.**

მოოქროვილმა ეპოქამ პროგრესული ერა მოიტანა, ოციან წლებს დიდი დეპრესია მოჰყვა, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა „ახალი კურსი“. ამერიკა ყოველთვის ხედავდა იმ უკიდურესობებს, რომლებისკენაც ამა თუ იმ პერიოდში მიექანებოდა და დროულად ჩერდებოდა. ახლა საკითხავია: მოიქცევა თუ არა ანალოგიურად ამჯერადაც?

**ჯოზეფ სტიგლიცი**,
**2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, გამოსაცემად მომზადებული წიგნის „უთანასწორობის ფასი“ ავტორი.**
The Financial Times

მოკლედ

## ეგვიპტის ახლადარჩეული პრეზიდენტი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა

**მოჰამედ მურსიმ, ეგვიპტის პირველმა პრეზიდენტმა, რომელიც თავისუფალ არჩევნებში იქნა არჩეული, ფიცი დადო და თავისი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა.** მურსი, რომელმაც მხარდაჭერა ისლამისტურ მოძრაობა „ძმები მუსლიმანებისგან“ მიიღო, ფიცი ეგვიპტის უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლების წინაშე დადო. ამის შემდეგ პრეზიდენტი ქაიროს სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა, შემდეგ კი სამხედრო ბაზაზე გაემგზავრა იმისათვის, რომ მმართველი სამხედრო საბჭოსაგან საქმეები გადმოებარებია.

## პაკისტანში მომლოცველები ააფეთქეს

**პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ ქვეტაში, უცნობმა ექსტრემისტებმა ძლიერი ბომბი ააფეთქეს ავტობუსის გვერდით, რომელშიც იმყოფებოდა შიიტი მომლოცველების ჯგუფი — დაახლოებით 50 მგზავრი. ისინი ირანში ბრუნდებოდნენ.** დაღუპულია 20 ადამიანი. მოწყობილობა ასევე ამუშავდა ესკორტის მანქანის ქვეშ, რომელშიც სამხედროები და პოლიციელები ისხდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 7 მათგანი დაიღუპა, 4 კი – დაიჭრა. ბევრი დაშავებულის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ადგილობრივი დამკვირვებლების თქმით, ტერაქტების უკან, შესაძლოა, მებრძოლთა ჯგუფი texrike Talibae pakistani (პაკისტანის თალიბთა მოძრაობა) იდგეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიტლერი ბევრად უფრო კეთილსინდისიერი იყო: ის ომში აგზავნიდა თავის ჯარისკაცებს, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ მისთვის, აშშ კი ომში, ძირითადად, დაქირავებულ ჯარისკაცებს გზავნის, თავად კი მხოლოდ კუთხიდან ისვრის და მოწინააღმდეგეს მხოლოდ უსაფრთხო პოზიციებიდან ანადგურებს.**

# «დემოკრატიულმა» ამერიკამ ფაშისტურ გერმანიას აჯობა

**მსოფლიოში სიტუაცია ახლა უარესია, ვიდრე 1938-39 წლებში. ომის შეჩერება მხოლოდ რუსეთს შეუძლია. 22 ივნისს ვიხსენებთ ტრაგედიას, ვგლოვობთ დაღუპულებს. ჩვენ ვამაყობთ მათით, ვინც საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა და პასუხიც გასცა. ვამაყობთ იმითაც, რომ ამ საშინელი დარტყმის მიღებით ხალხმა ძალა მოიკრიბა და გაანადგურა მტერი, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მსოფლიოს, უკვე დიდი ხანია, არ ახსოვს თეზისი, რომელიც 50 წლის მანძილზე აკავებდა მას და ომის წამოწყების საშუალებას არავის აძლევდა: „41 წელი არ უნდა განმეორდეს“.**



**აშშ-სა და ნატოს დღევანდელ ანგარიშზეა: რუსეთის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის ომის დაგეგმვა, მომზადება და წამოწყება და ქვეყნის ღია დაცვის ქვეშ აყვანა სამხედრო დამარცხების შემდეგ**

ხანდახან თვით პროსაბჭოთა ორიენტაციის ადამიანები და პოლიტიკური ფიგურები (რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც საკუთარ თავს სხვა ქვეყნების შვილად მიიჩნევს) სკეპტიკურად საუბრობენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკის გადატვირთვის შესახებ, ირონიით იხსენებენ „უსტინოვის დოქტრინას“, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირი მზად უნდა ყოფილიყო ერთდროულად ორ ზესახელმწიფოსთან (იგულისხმებოდა აშშ და ჩინეთი) ომისათვის და ირწმუნებიან, რომ სწორედ ამ დოქტრინამ დაანგრია საბჭოთა კავშირის ეკონომიკა.

დაანგრია თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან თვით 1991 წლამდე მრეწველობის უმეტეს დარგში პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები მატულობდა. და თუ რატომ იყო ამ დროს მაღაზიების თაროები გამოცარიელებული და რატომ გაივსო ყველანაირი პროდუქტით მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ ნებადართული იყო პროდუქტებზე ფასების დამოუკიდებლად ზრდა — ეს უკვე სულ სხვა თემაა და სულ სხვა ადამიანებს ეხებათ.

უსტინოვი ნამდვილად ამ მიდგომას ემხრობოდა, მაგრამ ეს მისი ჩამოყალიბებული ფორმულირება არ იყო: მსოფლიო პოლიტიკაში დიადი ქვეყნის სტატუსი მუდამ განისაზღვრებოდა მისი უნარით, ეწარმოებია ომი ერთდროულად ორ სხვა სახელმწიფოსთან. უსტინოვმა იცოდა, რატომაც უჭერდა მხარს ამ მიდგომას: იმიტომ, რომ 1941 წლის 9 ივნისს მან ჩაიბარა საბჭოთა კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატი და იცოდა, რომ საჭიროა, შეაიარაღო ჯარი, რომელიც იძულებულია, სათანადოდ შეუიარაღებელმაც იომოს. და ყველა ცვლილებების მიუხედავად ზემოხსენებული თანამდებობის სახელწოდებაში, ის ამ თანამდებობაზე რჩებოდა, სანამ 1976 წლის თავდაცვის მინისტრი არ გახდა.

შემდეგ, 80-იანი წლების დასასრულს, გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავშირს შეიარაღება აღარ სჭირდება, რომ ცივი ომი დამთავრდა და რომ საფრთხეს აღარავისგან ველით. ცივ ომს ძალზე მნიშვნელოვანი ღირსება აქვს: ის არ არის „ცხელი“. მაგრამ, როგორც კი ის დასრულდა, მსოფლიოში სწორედაც რომ „ცხელი“ ომები დაიწყო.

მართალია, რუსეთს დამოუკიდებელი ქვეყნებიდან, თანაც გახსნილად, ჯერჯერობით თავს არავინ დასხმია, მაგრამ მას უკვე არაერთხელ დაესხნენ თავს პატარა სამხედრო სუბიექტები დიდი ქვეყნების წაქეზებითა და დახმარებით. მეორეც, მსხვილი სამხედრო სუბიექტები თავს არ დაესხნენ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის შეიარაღებაში დარჩა იარაღი, რომელიც სწორედ საბჭოთა კავშირში შეიქმნა და ეს იარაღი საკმარისი იყო იმისათვის, რომ არაერთხელ გაენადგურებია თითეული მათგანი ან ყველა ერთად. მაგრამ ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის შემდეგ ამგვარი სიტუაცია აღარ იქნება.

**იმის გათვალისწინებით, რომ ახლა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა არაფრითაა უკეთესი 1914 წლის ან 1939-41 წლების წინ შექმნილ სიტუაციებზე, საუბარი იმის შესახებ, რომ, თუ საბჭოთა კავშირი (რუსეთი) შეწყვეტს დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას, განიარაღდება და უარს იტყვის თავის სოციალურ-ეკონომიკურ წყობაზე, მსოფლიო ომის საფრთხეც გაქრება და მთელ მსოფლიოში ყველა მშვიდობიანად და მეგობრულად განაგრძობს ცხოვრებას, სისულელეზე უარესია.** ეს ნამდვილი სიცრუეა და მიმართულია საბჭოთა კავშირის მორალური კაპიტულაციისკენ. **1914 წელს ინგლისი და საფრანგეთი მცირედ თუ განსხვავდებოდნენ გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთისაგან, მონარქიული რუსეთი კი ომობდა არა უკანასკნელი მონარქიების, არამედ ბრიტანული და ფრანგული დემოკრატიის მხარეს.**

30-იან წლებში ჰიტლერის შესაძლო აგრესიის ასარეკლად ევროპული კოლექტიური თავდაცვის მოწოდებით ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ფაშისტური იტალიის ლიდერი ბენიტო მუსოლინი. ის რეიხთან კავშირზე მხოლოდ მაშინ წავიდა, როდესაც დაინახა, რომ ინგლისი და საფრანგეთი უარს აცხადებდნენ ამგვარი სისტემის შექმნაზე. ამასთან, **მეორე მსოფლიო ომი დაიწყო არა კაპიტალისტური ქვეყნების სოციალისტურთან დაპირისპირებით, არამედ კონფლიქტებითა და ომით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.**

იმის ვარაუდი, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ომი არ იქნება მხოლოდ იმის გამო, რომ ორივე მათგანი „არასოციალისტურია“, სისულელეა. 1939 წელს ჰიტლერს კონფლიქტი ჰქონდა არა მხოლოდ სსრკ-თან, არამედ თავისივე ანალოგიური წყობის ქვეყნებთან და ეს კონფლიქტები იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ახლა აქვს ამერიკას.

ჰიტლერმა მაშინ ჯარები შეიყვანა გერმანიის ტერიტორიაზევე არსებულ დემილიტარიზებულ რეინის ზონაში. მან განახორციელა ავსტრიის ანშლუსი ფორმალურად თავად ავტრიის ნებით. დასავლეთის ქვეყნების ნებართვით, ჩეხოსლოვაკიას ჩამოაჭრა სუდეტსკის ოლქი, შემდეგ კი მთელი ჩეხოსლოვაკია ჩაიგდო ხელში. ესპანეთის სამოქალაქო ომში ფრანკოს მხარეს გამოდიოდა. სულ ოთხი კონფლიქტია და მათგან ერთადერთია შეიარაღებული. მიუხედავად ამისა, ჰიტლერს ყველა აგრესორად მიიჩნევდა და ყველა ამბობდა, რომ ომი კარსაა მომდგარი.

**აშშ-სა და ნატოს დღევანდელ ანგარიშზეა:**

**ორი აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ, მისი გახლეჩა ნაწილებად;**

**შეჭრა ერაყში, ეროვნული ხელისუფლების ჩამოგდება და ქვეყნის ოკუპირება იქ ამერიკული რეჟიმის დამყარებით;**

**ზუსტად ანალოგიური ქმედებები ავღანეთში;**

**რუსეთის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის ომის დაგეგმვა, მომზადება და წამოწყება და ქვეყნის ღია დაცვის ქვეშ აყვანა სამხედრო დამარცხების შემდეგ;**

**აგრესია ლიბიის წინააღმდეგ, ქვეყნის მხეცურად დაბომბვა, ნაციონალური ხელისუფლების ჩამოგდება, ქვეყნის ლიდერის მოკვლა და ხელისუფლებაში ნამდვილი ბარბაროსული რეჟიმის მოყვანა;**

**სამოქალაქო ომის გაჩაღება სირიაში და ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის მზადება;**

**სუვერენული ირანისადმი ომით მუქარა;**

**ნაციონალური ხელისუფლებების ჩამოგდება ტუნისსა და ეგვიპტეში;**

**საქართველოში ნაციონალური ხელისუფლების დამხობა და მარიონეტული რეჟიმის მოყვანა ხელისუფლებაში, ანუ სინამდვილეში ქვეყნის ოკუპირება: ახლა საქართველოში სამსახურის დაწყების ან უნივერსიტეტის დიპლომის მიღების მთავარი პირობა აშშ-ის ენის სრულყოფილი ცოდნაა;**

**ნაწილობრივ იმავეს განხორციელება ან განხორციელების მცდელობა სერბეთსა და უკრაინაში.**

სულ 13 აგრესიაა, მათგან 6 — პირდაპირი შეიარაღებული შეჭრა. ჰიტლერს კი ოთხი აგრესიიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა შეიარაღებული. სხვადასხვა ტექსტით ერთი და იგივე ქმედებები ხორციელდება. განსხვავება ერთადერთია — რაც უნდა საოცარი იყოს, **ჰიტლერი ბევრად უფრო კეთილსინდისიერი იყო: ის ომში აგზავნიდა თავის ჯარისკაცებს, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ მისთვის, აშშ კი ომში, ძირითადად, დაქირავებულ ჯარისკაცებს გზავნის, თავად კი მხოლოდ კუთხიდან ისვრის და მოწინააღმდეგეს მხოლოდ უსაფრთხო პოზიციებიდან ანადგურებს.**

აშშ-მა თავისი გეოპოლიტიკური შეტევის შედეგად სამჯერ მეტი აგრესიის აქტი და ექვსჯერ მეტი ომი გააჩაღა, ვიდრე ჰიტლერმა ომისწინა პერიოდში, ანუ ახლა მსოფლიოში სიტუაცია გაცილებით უარესია, ვიდრე 1938-39 წლებში იყო. გარდა ამისა, ჰიტლერის აგრესიის აქტები შედარებით ლოკალური ხასიათისა იყო და, ძირითადად, მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებს ეხებოდა, აშშ-ის აგრესიამ მთელი მსოფლიო მოიცვა.

30-იან წლებში მსოფლიოსა და ევროპაში არსებობდა რამდენიმე დაახლოებით თანაბარ ძალთა ცენტრი, რომლებსაც შეეძლოთ გაერთიანება და ჰიტლერის შეჩერება. დღევანდელ მსოფლიოში კი ჰეგემონიისაკენ ისწრაფის და სამხედრო პოტენციალით მნიშვნელოვნად აღმატება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას მხოლოდ ერთი ქვეყანა.

**ახალი მსოფლიო ომის საფრთხე დღეს მეტია, ვიდრე 1930-იანი წლების მეორე ნახევარში იყო. ერთადერთ ფაქტორად, რომელიც მას არარეალურად აქცევს, რუსეთის შემაკავებელი შესაძლებლობებია. ეს ფაქტორი გაქრება რამდენიმე თვეში, როგორც კი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა შეიქმნება.**

**შესაძლოა, ომი არც იყოს, მაგრამ ის არ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მზად იქნება ამ ომისთვის. მსოფლიო ომისკენ მიდის და რუსეთს არ აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მოემზადოს ამ ომისთვის.**

**1941 წლის 22 ივნისი მართლაც არ უნდა განმეორდეს.**

KM.RU

მოკლედ

## რუსეთი არავის მისცემს უფლებას, მას ძალის ენით ელაპარაკოს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კრემლში სამხედრო აკადემიისა და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე განაცხადა: **„რუსეთი ძალის ენით საუბრის უფლებას არასდროს არავის აძლევდა და არც ახლა მისცემს. სახელმწიფოს ყველა სამხედრო ორგანიზაციის ამოცანაა, მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის გარანტი იყოს, ასევე, ნებისმიერ საფრთხეზე ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი“.**

## გაეროს ექსპერტებმა ჩრდილოეთ კორეა სირიასთან იარაღით ვაჭრობაში დაადანაშაულეს

**გაეროს ექსპერტებმა ჩრდილოეთ კორეა სირიასთან იარაღით ვაჭრობაში დაადანაშაულეს.** მიმდინარე წლის დასაწყისიდან ჩრდილოეთი კორეა სირიას იარაღს აწვდიდა და ამ საქმეში შუამავლად ჩინეთს იყენებდა. ამასთან ერთად, ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალული იარაღის შემუშავების ტემპები შეანელეს. კერძოდ, რაკეტები, რომლებიც ფხენიანმა აღლუმზე სადემონსტრაციოდ გამოიტანა, შეძლოა, ნამდვილი არ ყოფილიყო.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ საკაცობრიო საზოგადოება ჭეშმარიტად მყარი არსებობით, აუცილებელია, დავეყრდნოთ მრავალპოლარულ და მრავალწყობილებიან მსოფლიოს რეალობას. ამასთან, რელიგიური და სხვა ტრადიციული მოდელები უნდა გავითვალისწინოთ საერთოცივილიზაციური სურათის ფორმირებისას... დღეს მსოფლიოს სჭირდება რეალური რელიგიათაშორისი დიალოგი, განსაკუთრებით, — ქრისტიანულ-მუსლიმური, და დიალოგი რელიგიური და ეკულარულ-ჰუმანიტარულ აზრთა შორის.“

# «კონვენციური ქრისტიანობა»: შესაძლებელია შეუთანხმებლის შეთანხმება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №24 (162)

**ეკუმენური პრაქტიკით საიდუმლოს დესაკრალიზაციით ჩანაცვლების შედეგი რწმენის სიმწირედ და ეკლესიური ცხოვრების საეროდ გახდომად წარმოგვიდგება (შდრ. „ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან. ამაოდ მცემენ თაყვანს, რაკი ადამიანთა განკარგულებებს მოძღვრების მსგავსად ასწავლიან“. მათ. 15, 8-9). ამით იქმნება საფუძველი სხვაგვარი კონვენციონალიზმისთვის — ქრისტეს ეკლესიასა და სეკულარურს, ე.ი. ანტიქრისტიანულს, მონდიალისტურ-საეროს შორის თანხმობის მისაღწევად.**



წმინდა წერილში ამ საკითხზე მოცემულია ნათელი და არაორაზროვანი მითითება — **„და რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?.. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! ამბობს უფალი, უწმინდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ“** *(2 კორ. 6, 15, 17).* ეს გზა გაიარეს პროტესტანტებმა, რომლებმაც გამოფიტეს საიდუმლო, უგულებელყვეს წმინდა თქმულება, განაცალკევეს ზეცა ზნედაცემული დედამიწისგან, რომელიც მათ წარმოიდგინეს, როგორც ადამიანური ცოდვების გადაულახავი კედელი და გარდაქმნეს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება თავისი არსით შრომით-გამასწორებელ კოლონიაში სასჯელის მოხდის მსგავს რამედ, სადაც ქრისტიანს სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ **„სრულყოს ზნეობა და სიკეთის ქმნა, სანიმუშოდ შეასრულოს მოვალეობა, რომელიც მის სოციალურ სტატუსს ესადაგება“.** ათას ხუთასი წლის შემდეგ ამ მიმართულებით დაიძრა ეკუმენური „დიალოგებითა“ და „ევქარისტული ტოლერანტობით“ მომზადებული მმართველობა მართლმადიდებლური ეკლესიისა.

და წარმატებასაც მიაღწია.

მაგალითისთვის შემოგთავაზებთ რამდენიმე ფრაგმენტს **სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის — კირილის სიტყვიდან, რომელიც მან 2003 წლის 7 სექტემბერს წარმოთქვა ერთ-ერთ საეკლესიო კრებაზე. ეს ადამიანი, ჩვენმა მკითხველმა იცის, დღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელია.**

**„კომუნიზმის დანგრევის შემდეგ, მესამე ათასწლეულის დასაწყისში კაცობრიობის წინაშე ახალი კონფლიქტების საშიშროება დადგა, რომელთა ფესვები მსოფლიოში ძალაუფლებისა და ფასეულობათა შესახებ საკითხშია გამდგარი...**

**იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ საკაცობრიო საზოგადოება ჭეშმარიტად მყარი არსებობით, აუცილებელია, დავეყრდნოთ მრავალპოლარულ და მრავალწყობილებიან მსოფლიოს რეალობას. ამასთან, რელიგიური და სხვა ტრადიციული მოდელები უნდა გავითვალისწინოთ საერთოცივილიზაციური სურათის ფორმირებისას...**

**დღეს მსოფლიოს სჭირდება რეალური რელიგიათაშორისი დიალოგი, განსაკუთრებით, — ქრისტიანულ-მუსლიმური, და დიალოგი რელიგიური და ეკულარულ-ჰუმანიტარულ აზრთა შორის. დიალოგების მიზანი ახალი მრავალპოლარული მსოფლიოს აშენება უნდა იყოს. მისი პოლუსები უნდა წარმოვიდგინოთ არა იმდენად პოლიტიკური ძალაუფლების პოლუსებად, თუმცა ესეცაა, რამდენადაც კულტურულ-ცივილიზაციურ პოლუსებად...**

**ევროპაში და მთელ მსოფლიოშიც მონოპოლიური, ერთი ცივილიზებული მოდელის (მონდიალისტური) კრიტიკა არ ნიშნავს უარყოფით დამოკიდებულებას ამ მოდელისთვის დამახასიათებელი ფასეულობებისადმი, ასევე — უარყოფით დამოკიდებულებას ტრადიციული რელიგიების ზნეობრივი იდეების ამ ფასეულობებთან ჰარმონიზებისადმი.**

**უფრო მეტიც.**

**სეკულარულ და რელიგიურ შეგნებაზე დამყარებული დიალოგით აუცილებელია უზრუნველვყოთ ამგვარი ჰარმონიზება. მიმაჩნია, რომ ამ ჰარმონიზაციის საფუძველი უნდა იყოს როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებათა აღიარება, ასევე იმ ზნეობრივ ფასეულობათა აღიარება, რომლებიც რელიგიური ტრადიციების მეშვეობით გამოიხატება“...**

ზემოთ მოხმობილ ნაწყვეტებში აშკარად გამოიკვეთა ერთი გზა: მწვალებლებთან „დიალოგიდან“ — სხვა რწმენის მქონეებთან „დიალოგამდე“, აქედან კი — ფასეულობათა სისტემის ქრისტესთან მებრძოლ მონდიალისტებთან ერთად განხილვისა და შეთანხმების მიღწევამდე (საინტერესოა, რომ ეს მეუფე ზემოთ ჩამოთვლილ მწვალებლებთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას ასაბუთებდა ლიბერალური — ნეოლიბერალური — მონდიალისტური იდეების წარმოშობის ისტორიით, რომელიც განხორციელდა „პროტესტანტული აზრის მონაწილეობით, რამეთუ თვით პროტესტანტიზმი აღმოცენდა როგორც ქრისტეს მოძღვრების ლიბერალური წაკითხვის მცდელობა). და ამ კონვენციური საქმიანობის მიმართულებაც სავსებით ნათლად და არაორაზროვნად წარმოგვიდგება: ქრისტეს ეკლესია უნდა ჩაეწეროს ანტიქრისტიანულ სეკულარულ სამყაროში, ინტეგრირებულ უნდა იქნას მასში.

ბუნებრივია, აცხადებენ თეოლოგები, რომ ამგვარი დამოკიდებულების შესაძლებლობაც კი სერიოზულ ღვთისმეტყველურ განსჯასა და დასაბუთებას მოითხოვს, ეს მით უფრო ეხება ასეთი მიდგომიდან გამომდინარე ქმედებას.

ორთოდოქსი მართლმადიდებლების აზრით, **ეკლესიის შესახებ მოძღვრების რევიზიად არის აღიარებული „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები“,** რომლებიც 2000 წლის 13-16 აგვისტოს საეკლესიო კრებაზე მიიღეს.

მიჩნეულია, რომ ამ დოკუმენტს დოქტრინის დონეზე შემოაქვს პროტესტანტული „სოციალური მსახურების შესახებ მოძღვრების“ ანალოგი, ანუ წესები თითოეული ქრისტიანისა და სრულად მთელი ეკლესიისთვის მსახურებისა და მოვალეობათა შესახებ, მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა ქრისტესა და ქრისტიანობის მიმართ.

სწავლული მამები გვეუბნებიან, რომ მთავარი აზრი, რომელიც აქ მოცემული ყველა დასკვნის (დოგმის) საფუძველია, **ემსახურება ერთ მიზანს — უზრუნველყოს მისი ლეგალური ინსტიტუირებული სტატუსი სეკულარულ (ანუ — ანტიქრისტიანულ) სახელმწიფოში.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი — ანტიქრისტიანული სახელმწიფო — უნდა გაქრეს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამკვიდრებისთანავე, როცა მას ჩაენაცვლება საზოგადოების ორგანიზების სხვა ფორმა — „ქსელი“, მაშინ უეჭველია, რომ „ეკლესიის ლეგალიზაციის სტატუსი“ ჩამოყალიბდება მას შემდეგ, რაც **ღვთის სახლი გაივლის საბაზრო სტრუქტურად ჩამოყალიბების პროცესს.**

**«ეკლესიის ლეგალიზაციის სტატუსი» ჩამოყალიბდება მას შემდეგ, რაც ღვთის სახლი გაივლის საბაზრო სტრუქტურად ჩამოყალიბების პროცესს**

„სოციალური კონცეფციის საფუძვლების“ მიღების შემდეგ მკვეთრად დაკნინდა ეკლესიის არსის გაგება, იგი დაიყვანეს იმ ადამიანთა კრებულამდე, რომელთაც სწამთ ქრისტე და რომელიც მსოფლიოს **გადასარჩენად** და **აღსადგენად** მოგვევლინა. ახალი აღთქმა კი გვასწავლის: **„...ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მიცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე:**

**რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი, არამედ გადარჩენილიყო მის მიერ“** *(იონ. 3,16-17);* **„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს.** პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისათვის გავცემ *(იონ. 6,51).* მან, უცოდველმა, გასწირა თავი კაცობრიობის ცოდვათა გამო და ამით მოინანია საკაცობრიო ცოდვები, რომლებიც ადამის დროიდან გვქონდა ჩადენილი: **„მე ვარ კარი, ვინც შედის ჩემით, გადარჩება. და შევა და გამოვა და საძოვარს ჰპოვებს“** *(იონ. 10,9).* და თუმცა გადარჩენის აქტი გრძელდება, მაგრამ უკვე არა მსოფლიოსი — იგი გადარჩენილია ერთხელ და სამუდამოდ, არამედ — ადამიანთა სულების, რწმენით მათი განწმენდის გზით, ქრისტეს ეკლესიის წიაღში ღმერთთან შეერთების მეშვეობით. ამიტომაა, რომ მოციქული პავლე წერს: **„სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა? სიკვდილის ნესტარია ცოდვა, ხოლო ცოდვის ძალა რჯულია, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“** *(1 კორ. 15,55-57).*

მოხმობილი ციტატებიდან აშკარაა, თუ რა არის **ეკლესიის მიზანი** და რა საშუალებებით მიიღწევა იგი — განწმენდა ცოდვილ ადამიანთა და შემდეგ — შეერ- ▶

მოკლედ



## დედამ შვილი გადაარჩინა

**ფლორიდის შტატის ქალაქ ვინუსში ტორნადოს შემდეგ, რომელიც ტროპიკულმა ქარიშხალმა „დებიმ“ გამოიწვია, სამი წლის ბავშვი იპოვეს, რომელიც თავის სხეულზე ჩახუტებით დედამ გადაარჩინა.** სამი შვილის დედა, 32 წლის ხიზერ ტაუნი მისი 3 წლის გოგონას — ანა მარიას ტირილის წყალობით იპოვეს. პატარა მაშინვე წაიყვანეს, ეკლიან მავთულში გახვეული ქალი ძლივსღა სუნთქავდა. მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. ნეკნები ბავშვს თავად დედამ დაუმტვრია მისი გადარჩენის დიდი სურვილით ძლიერად ჩახუტებისას. ტროპიკული შტორმი „დები“ 23 ივნისს განვითარდა და 4 დღე-ღამეზე მეტხანს მძვინვარებს ფლორიდაში. მისმა გუბერნატორმა შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. შტატში 20 ათასამდე მცხოვრების ევაკუაცია უკვე მოხდა. ელექტროენერგიის გარეშე 29 ათასამდე სახლი დარჩა. ზოგან წყალი სახლების მეორე სართულამდე ავიდა და მაშველები დატბორილ სახლებამდე ნავებითა და ვერტმფრენებით მიდიან. გზები ზოგ ადგილას ხეებით ჩაიხერგა.



**მარტივად ეს „მოძღვრება“ ლოგიკურად ასე ყალიბდება: ადამიანისთვის საჭირო არ არის, ეკუთვნოდეს ეკლესიას, საჭირო არ არის არც ნათლობა, არც ზიარების, არც სხვა ქრისტიანულ საიდუმლოებათა მიღება. მთავარია, იცხოვრო მიამიტურად, ისე, თითქოს ვერც ამჩნევ, რომ არსებობს სახარება, და მიიჩნიო, რომ არ მონაწილეობ მწვალებლობაში და არ ღალატობ ქრისტიანობას. განა ასე არ ცხოვრობს ევროპა და მთელი მსოფლიო, რომლებიც თანდათან დექრისტიანდება?**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თება ღმერთთან. დაკვირვებით წაიკითხეთ მოციქულ პავლეს წერილი ეფესელთა მიმართ და დარწმუნდებით ამ დასკვნის სისწორეში:

**„მან დააყენა ერთნი მოციქულებად, მეორენი — წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლად, ზოგნი მწყემსებად და მოძღვრებად, რათა სრულეყო წმიდანი მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად, ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღვთის ძის შემეცნებას სრულქმნილ კაცად, ქრისტეს სრული ასაკის ზომას, რათა აღარ ვიყოთ ბალღები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით, არამედ ჭეშმარიტების სიყვარულით მთქმელნი, ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი, ქრისტე.**

**ვის მიერაც მთელი სხეული შენაწევრებული და შემტკიცებული ყოველნაირი მაცოცხლებელი კავშირების საშუალებით, სხეულის თითოეული ასოს ზომიერად მოქმედებით იზრდება თავისი თავის სიყვარულში აღსაშენებლად“** *(ეფ. 19. 4,11-16).*

ყოველივე ამის მიღწევა კი შეიძლება იმ გზებით, რომლებიც თავად მაცხოვარმა განვლო, იგი — ვითარცა მოციქული და მოძღვარი, ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და ასწავლიდა ადამიანებს, არწმუნებდა, რომ **„სხვა ქალაქებსაც უნდა ვახარო ღმერთის სასუფეველი, ვინაიდან ამისთვის ვარ წარმოგზავნილი“** (*ლუკ. 4,43*). ასე დაიძლევა ადამიანების უცოდინარობა და შეიქმნება გადარჩენის პრინციპული შესაძლებლობა, ამიტომ მოციქულთა და ეკლესიის პირველი ამოცანაა — **„ამიტომ წადით და გახადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და აი, მე თქვენთან ვარ ყველა დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე“** *(მათ. 28,19-20).*

**მეორე** წინაღობა, რომელიც ცოდვილი ადამიანის წინაშე დგას, არის მისი ბრალეულობა ღმერთის წინაშე, რაც ნებას არ აძლევს, დაადგეს ზეციერი მამისკენ დაბრუნების გზას, როგორც ეს ქმნა ქრისტემ თავისი თავის გაწირვით ცოდვათა მოსანანიებლად: **„რამეთუ ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები, ვინაიდან, ვინც მოკვდა, ცოდვისგან თავისუფალია. და თუ ჩვენ ქრისტესთან დავიხოცენით, გვწამს, რომ მასთან ვიცოცხლებთ კიდეც“** *(რომ. 6,6-8)*; **„ვინაიდან ის არის ჩვენი მშვიდობა, რომელმაც ორი ერთად აქცია და დაანგრია შუაზე მდგარი ზღუდე. გააუქმა მტრობა — თავისი ხორცით, მცნებათა სჯული დებულებებით, რათა ორისგან თავისში წარმოექმნა ერთი ახალი კაცი მშვიდობის დასამყარებლად. და ერთ სხეულში შეერიგებინა ორივენი ღმერთთან ჯვრის საშუალებით, მოკლა მტრობა მასზე“** *(ეფ. 2,14-16).*

ეკლესიის მიერ გადასაწყვეტი **მესამე** ამოცანა პირველ ორთანაა დაკავშირებული და მათგან გამომდინარეობს, **თავისი დასუსტებული ბუნების გამო ზნედაცემულ ადამიანს არ გააჩნია საკმარისი ზნეობრივი ძალა, რათა არ გადაუხვიოს გზას და უკანაც კი წავიდეს, მიუხედავად იმისა, რომ იცის ამ გზის დასასრული.**

ამიტომ დააარსა მან თავისი ეკლესია — მწყემსოს ადამიანები, გზა გაუკვალოს მარადიული ცხოვრებისკენ, ზუსტრად შეუთავსოს მათი ქმედება კანონებსა და წესებს.

ეს არის მთავარი და არა გარე სამყაროს გადარჩენა და აღდგენა, რასაც გვიმტკიცებს „ძირითადი სოციალური კონცეფციები“.

სწორედ ეს ხის ტანი ამოიყრისო, ამტკიცებენ მართლმადიდებელი თეოლოგები, ყველა იმ შეუსაბამობათა ტოტებს, რომლებიც აღნიშნული „კონცეფციების“ ისეთ თავებშია მოცემული, როგორებიცაა „ეკლესია და ერი“, „ეკლესია და სახელმწიფო“, „საერთაშორისო ურთიერთობანი. გლობალიზაციის და სეკულარიზმის პრობლემები“, „ბიოეთიკის პრობლემები“ და სხვ. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან შემდგენლებმა იხელმძღვანელეს პროტესტანტული მიდგომით — „ქრისტიანობის წერილის“ ლიბერალური წაკითხვის პრინციპით, რაც უნდა მისადაგებოდა მონდიალისტური საზოგადოების ნეოლიბერალურ ფასეულობებს. შედეგად მივიღეთ დოგმატიკის მწვალებლური შერყვნა, რომელიც ანტიქრისტიანულ სოციალურ წყობაში ჩანერგილი, ეკლესიის ორგანიზებულობის უმძიმესი ძვრების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

## „გადარჩენა“ რწმენისა და მონანიების გარეშე

**ჩვენი მკითხველების წინაშე უნდა ვაღიარო, რომ ზემოთ აღწერილი შეუსაბამობანი სრულად ვერ ასახავს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მქადაგებელთა და ორგანიზატორთა მიერ მართლმადიდებლური ეკლესიისთვის შემთანხმებლური ფასეულობების თავზე მოხვევის მთლიან სპექტრს. იგი უაღრესად მრავალპლანიანია და მის უღრანებში შესვლა ანალიტიკოსებსაც და მსმენელ-მკითხველებსაც ხელის ჩაქნევამდე დააბნევს — რაც არის, იყოს, ოღონდ ამ აბდაუბდისთვის თავი დამაღწევინაო.**

ეს ერთი. მეორე კი ისაა, რომ კონვენციონალიზმი, ისევე, როგორც ნებისმიერი გადახვევა, არასოდეს დამთავრდება, სანამ სრულად არ ამოწურავს საკუთარ თავს ამა თუ იმ მიმართულებით. შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, სანამ შემტევი მხარის მოთხოვნები ან მთლიანად იქნება მიღებული, ან მთლიანად — უარყოფილი.

ესე იგი, **გამოსავალი პოზიციის ურყევობასა და ორთოდოქსთა ერთგულებასა და სიმტკიცეშია.**

როგორ შეიძლება შევაფასოთ ქრისტიანების წინააღმდეგ განსახორციელებელი „ეკუმენური პროექტი“? იგი პრაქტიკულად უკვე სრულად არის გამოვლენილი, რეალიზებულია და ჩანერგილია შესაბამის სოციალურ სტრუქტურებში.

ე. ი. პრაქტიკულად ამოქმედებულია.

რა შეიძლება ითქვას საბაზრო სტრუქტურად ეკლესიის ტრანსფორმაციის პროექტის შესახებ, რომელიც ღვთის სახლს ანტიქრისტიანულ საზოგადოებასთან ადაპტირებულ და ანტიქრისტიანული ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარ ორგანიზაციად აქცევს?

იგი ამოქმედებულია და მის კურატორთა ფხიზელი კონტროლის წყალობით, რომლებიც აქტიურობენ როგორც ეკლესიის გარეთ, ასევე მის გალავანს შიგნით, ქრისტიანული ცხოვრება სულ უფრო შედეგიანად იდევნება.

მაშასადამე, ესეც უკვე რეალობაა.

ამას გარდა, არის კიდევ ერთი პროექტი, რომელიც მოწოდებულია, დაასრულოს პირველი ორის მიერ დაწყებული საქმე. იგი ჯერ კიდევ ცხრაკლიტულს იქით ხორციელდება, ზედაპირზე თითქმის არ ჩანს და რეალიზებულია უმთავრესად ღვთისმსახურთა სწავლებისა და მომზადების დროს სასულიერო აკადემიებსა და სემინარიებში. **მისი მიზანია, სახით შეაბრუნოს ქრისტიანები „უცნობი ღმერთისკენ“, რომელსაც არ იცნობენ, მაგრამ ეთაყვანებიან** *(საქ. 17,23).*

საამისოდ უმარტივესი გზა აქვთ შერჩეული: გადააქციონ ისინი, ვისაც ქრისტეს ფარის ცხვრები კეთილ მწყემსებად მიიჩნევენ, ჯერ დაქირავებულებად, შემდეგ კი — „უცნობი ღმერთის მოციქულებად“.

**სპეციალურ ლიტერატურაში კრიტიკულად არის განხილული ზოგიერთი ღვთისმეტყველის მოძღვრება, რომლის მიხედვით გადარჩენა შესაძლებელია ეკლესიის გარეშეც.** თავისთავად ეს საკითხი როგორც კანონიკურად, ასევე დოგმატურად, დიდი ხანია, გადაწყვეტილია და არავითარი „დამატებითი“ მოძღვრება არ სჭირდება.

**მარტივად ეს „მოძღვრება“ ლოგიკურად ასე ყალიბდება: ადამიანისთვის საჭირო არ არის, ეკუთვნოდეს ეკლესიას, საჭირო არ არის არც ნათლობა, არც ზიარების, არც სხვა ქრისტიანულ საიდუმლოებათა მიღება. მთავარია, იცხოვრო მიამიტურად, ისე, თითქოს ვერც ამჩნევ, რომ არსებობს სახარება, და მიიჩნიო, რომ არ მონაწილეობ მწვალებლობაში და არ ღალატობ ქრისტიანობას. განა ასე არ ცხოვრობს ევროპა და მთელი მსოფლიო, რომლებიც თანდათან დექრისტიანდება?**

აქედან გამომდინარე, გადარჩება წარმართიც, რომელმაც არ იცის ქრისტე.

ახლა კი, სწორ გზას რომ არ ავცდეთ, ჩავიხედოთ სახარებაში და იქ ვიპოვოთ პასუხი სქოლასტიკურ შეკითხვაზე: გადარჩება კი წარმართი, რომელმაც არ იცის ქრისტე? ახალ აღთქმაში უაღრესად ზუსტად (მრავალგზისი გამეორებით) მითითებულია გადარჩენის პირობები. გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმეს უმეტესობიდან:

**„ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე“** *(იოან. 3,36);*

**„ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე.**

**ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც ვუარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“** *(მათ. 10,32-33);*

**„ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება“** *(მარ. 16,16);*

**„მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება. და შევა და გამოვა, და საძოვარს ჰპოვებს“** *(იოან. 10,9);*

**„მას, ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს.**

**რადგან მე ჩემით კი არ ვილაპარაკე, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, მომცა ნება, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო.**

**მე ვიცი, რომ მისი მცნება საუკუნო სიცოცხლეა. ამიტომ, რასაც ვლაპარაკობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვლაპარაკობ“** *(იოან. 48-50);*

**„ვიღაცამ უთხრა მას: „უფალო, ნუთუ ცოტანი გადარჩებიან?“ მან კი უთხრა მათ:**

**ილვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან; რადგან გეუბნებით, მრავალი ეცდება შესვლას და ვერ შეძლებს“** *(ლუკ. 13,23-24).*

ციტირების გაგრძელება უთუოდ აღარაა საჭირო, რადგან ვინც წაიკითხა, იმისთვის სავსებით ნათელი უნდა იყოს, როგორია ადამიანის გადარჩენის ჭეშმარიტი გზა.

მაშასადამე, ადამიანი თავისი სიცოცხლის წესით, ქრისტეს რწმენით ეძიებს და პოულობს გადარჩენის გზას და ეს შესაძლებელი ხდება ისე და იმდენად, რამდენადაც სრულად გამოიყენა მან მინიჭებული შესაძლებლობის — „იცნობდეს ქრისტეს“ რეალიზება: **„ვინაიდან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს; ხოლო ეს უვარგისი მონა გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა“** *(მათ. 25,29-30).*

დასასრული იქნება



ლუკას კრანახი — „ქრისტე და მეძავი ქალი“

**«ვიღაცამ უთხრა მას: «უფალო, ნუთუ ცოტანი გადარჩებიან?» მან კი უთხრა მათ: ილვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან; რადგან გეუბნებით, მრავალი ეცდება შესვლას და ვერ შეძლებს»** *(ლუკ. 13,23-24)*

**შედეგად მივიღეთ დოგმატიკის მწვალებლური შერყვნა, რომელიც ანტიქრისტიანულ სოციალურ წყობაში ჩანერგილი, ეკლესიის ორგანიზებულობის უმძიმესი ძვრების საფუძველი უნდა გამხდარიყო**



## სალვადორ დალის მოპარული ნახატი ფოსტის საშუალებით დააბრუნეს

**ქურდმა სალვადორ დალის ნახატი — Carter des Don Juan Tenorio ავიაფოსტის საშუალებით დააბრუნა. ნიუ იორკის პოლიციას აცნობეს, რომ ჯორჯ კენედის სახელობის აეროპორტის საფოსტო განყოფილებაში სალვადორ დალის ნახატია აღმოჩენილი.** აკვარელი, რომლის ღირებულებაც 150 ათას დოლარს აჭარბებს, აშშ-ში ევროპიდანაა გაგზავნილი. ნახატი, რომელიც გასულ კვირას მოიპარეს, უკან იდეალურ მდგომარეობაში დააბრუნეს. იმ მუზეუმის ადმინისტრაციაში, საიდანაც სურათი მოიპარეს, ელექტრონული ფოსტით მივიდა შეტყობინება „Carter des Don Juan Tenorio-ი უკან მომავალ გზაზეა“. როგორც მუზეუმის დაცვა იტყობინება, სურათის ქურდი გალერეაში მშვიდად შევიდა, წყნარად ჩამოხსნა სურათი და გაუჩინარდა.



კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ჩერჩილს მიაჩნდა, რომ იზოლაციური პოლიტიკის ინიციატორი იქნებოდა სტალინი, უნდა მოეცადა, სანამ ასე მოხდებოდა, და მაშინ დაედანაშაულებია იგი ხალხთა შორის მტრობის ჩამოგდების მცდელობაში. ასეთი მეთოდი, ალბათ, უფრო გაუმართლებდა. მაგრამ ჩერჩილი ჩქარობდა ურთიერთობის გამწვავებას საბჭოთა კავშირთან, რადგან იმედი ჰქონდა ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალების უპირატესობის, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ამერიკული ატომური იარაღით, რომლის შექმნას, ყოფილი პრემიერის აზრით, საბჭოთა კავშირი უახლოესი 10 წლის განმავლობაში ვერ შეძლებდა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-24 (139-162)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

ჩერჩილს შავი დღე უთენდებოდა. ინგლისში არჩევნები ჩატარდა. 26 ივლისს ოფიციალური შედეგები უნდა გამოეცხადებიათ. იგი პოტსტდამიდან ლონდონში გაფრინდა, დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებდა და დაუყოვნებლივ დაბრუნდებოდა კონფერენციაზე. ბრძანებაც კი გასცა, რომ ტრიუმფის დღეს ლონდონის მის ბინაში საზეიმო სუფრა გაეწყოთ.

მისი სურვილი, რა თქმა უნდა, შეასრულეს, საზეიმო სადილი კი გაიმართა, მაგრამ განწყობილება ქელეხისა იყო: კონსერვატორებმა სამარცხვინოდ წააგეს არჩევნები, ჯარისკაცების უმრავლესობამაც კი არ დაუჭირა მხარი პრემიერს, რომელსაც თავი გამოჩენილ სამხედრო ლიდერად მიაჩნდა.

საზეიმო სუფრასთან გულჩათხრობილი იჯდა და ხმის ამოღებაც უჭირდა, მისი ქალიშვილები ცრემლებს არ მალავდნენ.

ლეიბორისტების მთავრობას არასახარბიელო მემკვიდრეობა ერგო: ომისშემდგომი გაპარტახება, ბრიტანეთის იმპერიის რღვევის დაწყება (მასში შემავალმა რიგმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა), დემობილიზებული ჯარისკაცების უზარმაზარი მასის სამუშაოთი უზრუნველყოფა... ამასთან, გავლენიანი წრეები, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ იარაღის წარმოებასთან, დაინტერესებულნი იყვნენ, შეენარჩუნებიათ დაძაბულობა, ინგლისის მოქალაქეების „საბჭოთა აგრესიის“ დაშინების გზით.

1945-1946 წლების ზამთარი ჩერჩილმა აშშ-ში გაატარა, სადაც შეხვდა ტრუმენს და სხვა მოღვაწეებს, ვისთანაც ორი ქვეყნის ერთიან სტრატეგიას ამუშავებდა. აშშ პრეზიდენტთან ერთად ჩავიდა მისურის შტატის ქალაქ **ფულტონში, სადაც საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვას, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ობიექტური მიზეზები ედო საფუძვლად: სსრ კავშირის ავტორიტეტის მნიშვნელოვანი განმტკიცება მსოფლიოში, სტალინის საქვეყნო დიდება, სოციალისტური სახელმწიფოების რაოდენობის ზრდა და კოლონიური ქვეყნების გათავისუფლება.**

მაგრამ იყო სუბიექტური მიზეზებიც: თავმოყვარე ჩერჩილმა უმძიმესი დარტყმა განიცადა — სტალინის სიდიადემ იგი იმდენად დაჩრდილა, რომ საერთაშორისო ასპარეზიდან პრაქტიკულად გაქრა. მას შურდა სტალინის. ყოფილ პრემიერს სურდა აშშ-სა და ინგლისის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მკვეთრად გამწვავების გზით კვლავ ტალღის თავზე მოქცეულიყო. ამ კურსის გამოცხადებით იგი „დასავლეთის სამყაროს“ — ინგლისურენოვანი სახელმწიფოების არაოფიციალური ლიდერი ხდებოდა.

თავისი მიზნების შესასრულებლად **იგი შეეცადა ნაცისტური იდეის რეანიმირებას,** რომელმაც თავისი ეფექტიანობა ჰიტლერულ გერმანიაში დაადასტურა. მან წამოაყენა წინადადება **„ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ძმური ასოციაციის“ შექმნის შესახებ, მაგრამ არა კულტურული თანამშრომლობისთვის, არამედ ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ჩამოსაყალიბებლად. მიანიშნა საერთო მტერიც — სსრკ. „ძალთა თანაფარდობის ჩვენი ძველი დოქტრინა,** — თქვა მან, — **უსაფუძვლოა. ჩვენ ვერ დავრჩებით ძალების უმნიშვნელო უპირატესობის იმედად“.**

ყველამ, ვინც იცნობს სამხედრო სტრატეგიას, შესანიშნავად იცის, ძალის მცირე უპირატესობა წარმატებული თავდაცვის გარანტიაა, თავდასხმას კი მნიშვნელოვანი უპირატესობა სჭირდება. ჩერჩილს სწორედ ეს უკანასკნელი ჰქონდა მხედველობაში.

„რუსეთთან ურთიერთგაგება, — მისი აზრით, — მიღწეული უნდა იყოს ინგლისურენოვანი ქვეყნების ერთობლივი ძალით და ყველა სხვა კავშირით“. თანაც ამას დაუყოვნებლივ, 1946 წელსვე უნდა მიაღწიონ. გაუგებარი არაფერი რომ არ დარჩენილიყო, ჩერჩილმა დაუმატა: „რუსებთან ჩემი შეხვედრებით თუ ვიმსჯელებთ, დარწმუნებული ვარ, რომ მათ ყოველთვის აღაფრთოვანებთ ძალა“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგაო დრო, სტალინს ძალის პოზიციიდან რომველაპარაკოთო; იგი იძულებული იქნება დათმოს, უკან დაიხიოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებს სასიკვდილო დარტყმას ატომური ბომბებით (გავა დრო და გამჟღავნდება, რომ ასეთი დარტყმები ჩვენს მოკავშირეებს დეტალურად ჰქონდათ დაგეგმილი). ამას აცხადებდა კაცი, რომელიც აღფრთოვანებით ადღეგრძელებდა სტალინს და საკუთარ თავს მის ერთგულ მეგობრად წარმოგვიჩენდა.

მან გამოაცხადა **ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის აუცილებლობა სოციალისტურ სისტემაში შემავალ ქვეყნებთან: „შტეტინიდან ბალტიის ზღვაზე, ტრიესტამდე ადრიატიკაზე, მთელი ევროპის გადაკვეთით დაეშვა რკინის ფარდა“.**

მგონი, არცაა საჭირო, ჩვენს მკითხველებს მივუთითოთ, კიდევ ერთხელ რომ წაიკითხონ ჩერჩილის ეს ლოზუნგი, ტირადა, თეზისი (რაც გსურთ, ის დაარქვით), რათა კარგად დაიხსომონ და სხვებსაც გადასცენ, თუ სინამდვილეში ვინ არის ავტორი „რკინის ფარდის“ დაშვებისა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის.

სტალინს აბრალებენ!

მაგრამ რა არის საინტერესო, იცით? საინტერესოა, რომ ეს ფრთიანი გამოთქმა „რკინის ფარდა“ ჩერჩილს არ ეკუთვნის: ინგლისის ყოფილი პრემიერის მიერ **ფულტონში წარმოთქმულ სიტყვამდე ერთი წლით ადრე მესამე რაიხის იმდროინდელმა პროპაგანდის მინისტრმა იოზეფ გებელსმა თავის სტატიაში „რკინის ფარდის იქით“ ორჯერ ახსენა ასეთი ფარდა, რომელიც გერმანიას რუსეთისგან გამოყოფდა.**

მაგრამ არც გებელსი იყო ორიგინალური. მან შეიძლება, არც იცოდა, რომ ეს გამოთქმა ჯერ კიდევ 1914 წელს გამოიყენა ბელგიის დედოფალმა ელიზავეტამ, როცა მისი ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრებულ გერმანულ ჯარზე ლაპარაკობდა. რამდენიმე წლის შემდეგ ბერლინში ბრიტანეთის ელჩმაც გაიმეორა... და საერთოდ „რკინის ფარდა“ მოდის თეატრიდან, როცა იგი — ნატურალური და არა მხოლოდ გამოთქმა — მაყურებელთა დარბაზისგან სცენის გამოსაყოფად საფრანგეთში გამოიყენეს XVIII საუკუნის ბოლოს.

მთავარი აქ „მოქნეული სიტყვის“ პრობლემა კი არ არის, არამედ პოლიტიკა, რომელიც, ამ ფარდის დაშვების შემდეგ განხორციელდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — ჩერჩილის მიერ შემოგდებულ იზოლაციურ პოლიტიკაზე ვლაპარაკობ.

ანალიტიკოსების დაკვირვებით ეს ფარდა სულაც არ გამოდგა ისეთი შეუვალი და გაუმტარი, როგორიც მის ავტორს (პლაგიატორს) ჰქონდა ჩაფიქრებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სერიოზული დიპლომატიური თამაშის (გნებავთ, ბრძოლა ვთქვათ) აქცენტირებული ელემენტი, თუნდაც — დედააზრი.

მაგრამ — წაგებული თამაშის, გაცუდებული დედააზრით.

ისტორიკოსები ასე მსჯელობენ:

თუ ჩერჩილს მიაჩნდა, რომ იზოლაციური პოლიტიკის ინიციატორი იქნებოდა სტალინი, უნდა მოეცადა, სანამ ასე მოხდებოდა და მაშინ დაედანაშაულებინა იგი ხალხთა შორის მტრობის ჩამოგდების მცდელობაში. ასეთი მეთოდი, ალბათ, უფრო გაუმართლებდა. მაგრამ ჩერჩილი ჩქარობდა ურთიერთობის გამწვავებას საბჭოთა კავშირთან, რადგან იმედი ჰქონდა ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალების უპირატესობის, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ამერიკული ატომური იარაღით, რომლის შექმნას, ყოფილი პრემიერის აზრით, საბჭოთა კავშირი უახლოესი 10 წლის განმავლობაში ვერ შეძლებდა. **თავის ექიმთან საუბარში მან ივარაუდა, რომ ახალი ომი უახლოეს წლებში, შესაძლოა, 1947 წლის დადგომისთანავე დაიწყებოდა.**

**ფულტონის გამოწვევას სტალინმა უცებ** არ უპასუხა. 1946 წლის 13 მარტს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ.

უწინარეს ყოვლისა, მან აღნიშნა, რომ ფულტონის სიტყვის მიზანი არის **განხეთქილების დათესვის მცდელობა მოკავშირე სახელმწიფოებს შორის,** გააძნელოს და გაართულოს მათი თანამშრომლობა.

ჩერჩილს თავისი პირადი ინტერესი ამოძრავებდა: სურდა ჩამდგარიყო ანტიკომუნისტური მოძრაობის სათავეში, თავის გარშემო შემოეკრიბა წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების გავლენიანი მოღვაწენი, წარმომდგარიყო როგორც მსოფლიო ლიდერი, კვლავ დაეპყრო პოლიტიკური ძალაუფლების მწვერვალები. მას შეურაცხყოფილი თავმოყვარეობაც ამოძრავებდა. მაგრამ ჩანაფიქრი შორსგამიზნული ჰქონდა, რაზეც ისაუბრა სტალინმა. მან თქვა, რომ **„ბატონი ჩერჩილი ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას. და აქ ბატონი ჩერჩილი მარტო არ არის. მას მეგობრები ჰყავს არა მარტო ინგლისში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც“** (სტალინი, კერძოდ, ტრუმენზე მიუთითებდა).

რატომ გადადგა ჩერჩილმა ასეთი თავზეხელაღებული ნაბიჯი? მკვლევარები, მათ შორის, ამ წიგნის ავტორები, შეკითხვას, თუ რატომ გახდა უინსტონ ჩერჩილი საომარი ისტერიის წამომწყები, როცა მასობრივი განადგურებისკენ მოწოდება, მით უფრო, ატომური ბომბის გამოყენებით, მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვას ნიშნავს, რატომ გადაწყვიტა ასეთი პოლიტიკის განხორციელება მოღვაწემ, რომელიც დემოკრატიის დამცველად მიიჩნევდა საკუთარ თავს, უპასუხებენ ასე:

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მისი გაგებით დემოკრატია არის ძალაუფლება მდიდრების, წარჩინე- ▶

უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნებზე კონსერვატორების დამარცხებამ, რომელთაც ჩერჩილი ედგა სათავეში, ამ ადამიანის ფსიქიკაზე სერიოზული გავლენა იქონია, ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს ცნობილი იყო მაშინაც და სტალინმა მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია მოახდინა. ჩერჩილი იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მიმართ ცინიზმითა და შეურაცხმყოფელი გამოთქმებით გამოირჩეოდა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო იმ ქებათა-ქების შემდეგ, იმ აღფრთოვანებული დამოკიდებულების ფონზე, რომელსაც იგი ამჟღავნებდა ომის პერიოდში საბჭოთა ხალხის გმირობისა და მისი ლიდერის — სტალინის სიბრძნის მიმართ.**

◀ ბულთა, „რჩეულთა“ და არა ხალხის მასებისა და მათი დამცველების ხვედრი. ამას გარდა, იგი ისწრაფოდა დიდი ბრიტანეთისთვის დაებრუნებია ზესახელმწიფოს დაკარგული სტატუსი მთავარი კონკურენტის საბჭოთა კავშირის განადგურების გზით. დაბოლოს, რისი ხაზგასმაც მნიშვნელოვანია: იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება იზრდებოდა, მისი გავლენა მსოფლიოში სულ უფრო ფართოვდებოდა, რაც ჩერჩილის სათაყვანებელი კაპიტალის სამყაროს ძირს ურყევდა, იგი კი, სულით ხორცამდე ბურჟუა იყო და გულხელდაკრეფილი ამას ვერ შეურიგდებოდა. „ცივი ომის“ დაწყების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა.

სტალინმა თავის პასუხში ფულტონის სიტყვის ძირითადი დებულებების უზნეო ხასიათს გაუსვა ხაზი:

**„ომის გაჩაღების საქმე ჰიტლერმა დაიწყო იმით, რომ საქვეყნოდ წამოაყენა რასობრივი თეორია, განაცხადა, რომ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც გერმანულ ენაზე ლაპარაკობენ, წარმოადგენენ სრულფასოვან ერს. ბ-ნ ჩერჩილი ომის გაჩაღების საქმეს ასევე რასობრივი თეორიით იწყებს, როცა ამტკიცებს, რომ მხოლოდ ის ერები, რომლებიც ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ, არიან სრულფასოვანი ერები, მსოფლიოს ბედის გადასაწყვეტად მოწოდებულნი.**

**ფაქტობრივად ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და აშშ-ში ერებს, რომლებიც არ ლაპარაკობენ ინგლისურ ენაზე, წარუდგენენ ულტიმატუმის მსგავს მოთხოვნას: აღიარეთ ჩვენი ბატონობა ნებაყოფლობით და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ომი გარდაუვალია.**

**მაგრამ ერებმა ხუთი წლის განმავლობაში დაუნდობელ ომში სისხლი დაღვარეს თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არა იმიტომ ჰიტლერების ბატონობა ჩერჩილების ბატონობით შეეცვალათ. სავსებით მოსალოდნელია, რომ ერები, რომლებიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ და, ამასთან, მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ, კისერზე მონობის ახალი უღლის დადგმას არ ისურვებენ.**

**ბ-ნ ჩერჩილის ტრაგედია არის ის, რომ მას, როგორც ფესვგადგმულ ტორის, არ ესმის ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება“.**

იოსებ სტალინმა გამოააშკარავა ჩერჩილის ნააზრევის სუსტი რგოლი. ინგლის-ამერიკელების დაპირისპირების მცდელობას დანარჩენი მსოფლიოსთვის, რა თქმა უნდა, შეეძლო გამოეწვია ამ ქვეყნების გარკვეულ წრეებში ნაციონალისტური გრძნობების გამძაფრება. მაგრამ თვით აშშ-ის მოსახლეობას შორის, არაფერი რომ არ ვთქვათ მსოფლიო მოსახლეობაზე, მსგავსი მოწოდება პოპულარული ვერ გახდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ნაცისტურ გერმანიასა და, ასევე, თავისებურად ნაცისტურ იაპონიაზე გამარჯვება სულ ახალი მოპოვებული იყო. **მსოფლიოს თვალში რასობრივი უპირატესობის თეორია დისკრედიტირებული იყო.** ხოლო საბჭოთა კავშირის სულიერი ზეობა — ასევე საყოველთაოდ დამტკიცებული.

**„ბ-ნი ჩერჩილი,** — განაგრძობდა სტალინი, — **ამტკიცებს, რომ „ვარშავა. ბერლინი. პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია — ყველა ეს სახელგანთქმული ქალაქი და მათი რაიონების მოსახლეობა იმყოფება საბჭოთა სფეროში და ამა თუ იმ ფორმით არა მარტო საბჭოთა გავლენას განიცდის, არამედ მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მზარდი კონტროლის ქვეშ იმყოფება. ბ-ნი ჩერჩილი ამ ყველაფერს აკვალიფიცირებს, როგორც საბჭოთა კავშირის უსაზღვრო „ექსპანსიურ ტენდენციებს“.**

**განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება იმის დანახვას, რომ ბ-ნი ჩერჩილი უხეშად და უბოდიშოდ ცილს სწამებს როგორც მოსკოვს, ასევე სსრკ-ის მეზობელ აქ დასახელებულ სახელმწიფოებს“.**

„საბჭოთა კავშირმა მეტი ადამიანი დაკარგა, ვიდრე ინგლისმა და ამერიკამ ერთად აღებულმა, — ხაზი გაუსვა სტალინმა, — შეიძლება აქა-იქ მიდრეკილნი არიან დაივიწყონ საბჭოთა ხალხის ეს კოლოსალური მსხვერპლი, რომელიც გაღებული იყო ჰიტლერული უღლისგან ევროპის გათავისუფლების უზრუნველსაყოფად. მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ამის დავიწყება. **საკითხავია, რა შეიძლება იყოს გასაკვირი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი მომავალში თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად ცდილობდეს, რომ ამ ქვეყნებს ჰყავდეს მთავრობები, რომლებიც ლოიალური დამოკიდებულება ექნებათ საბჭოთა კავშირთან? განა შეიძლება, თუ ჭკუაზე არ გადადექი, შეაფასო საბჭოთა კავშირის სამშვიდობო მისწრაფება, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ექსპანსიონისტური ტენდენცია?“**

შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს, რომ ოპონენტის სიგიჟეზე მითითება უხეშობა და უტაქტობაა. მაგრამ უნდა პირდაპირ ვთქვათ, რომ არჩევნებზე კონსერვატორების დამარცხებამ, რომელთაც ჩერჩილი ედგა სათავეში, ამ ადამიანის ფსიქიკაზე სერიოზული გავლენა იქონია, ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს ცნობილი იყო მაშინაც და სტალინმა მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია მოახდინა. ჩერჩილი იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მიმართ ცინიზმითა და შეურაცხმყოფელი გამოთქმებით გამოირჩეოდა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო იმ ქებათა-ქების შემდეგ, იმ აღფრთოვანებული დამოკიდებულების ფონზე, რასაც იგი ამჟღავნებდა ომის პერიოდში საბჭოთა ხალხის გმირობისა და მისი ლიდერის — სტალინის სიბრძნის მიმართ.

სტალინის პასუხის მკვეთრი ტონი და უკომპრომისობა მისი ქვეყნის წინააღმდეგ გამოხდომის ადეკვატური იყო. ორი პოლიტიკოსის პირადი სიმპათიები საერთაშორისო ვითარების შეცვლასთან ერთად აორთქლდა. ჩერჩილის განდგომა და მოღალატური გამოხდომა აშკარა იყო. სტალინი კი ორგანულად ვერ იტანდა მოღალატე, ორპირ, სიტყვის გამტეხ ადამიანებს.

**პოტსდამის კონფერენცია: უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი, იოსებ სტალინი**



## უკანასკნელი „დიდი სამეულიდან“

1946 წლის გაზაფხულმა ჩერჩილს დიდი იმედგაცურება მოუტანა. 1 აგვისტოს ძალაში შევიდა აშშ კონგრესის მიერ დამტკიცებული მაკმაგონის აქტი, რომელიც კრძალავდა ატომური საიდუმლოებების სხვა ქვეყნებისთვის გადაცემას. ამ იარაღის ხელში ჩაგდების იმედი ჩერჩილს საპნის ბუშტივით გაუსკდა: აშკარა გახდა, რომ „ზეიარაღის“ გარეშე დარჩენილი ყოფილი პრემიერი სტალინს თავის ნებას ვერ უკარნახებდა.

19 სექტემბერს შვეიცარიაში, ჟენევის ტბის ნაპირზე დასვენების შემდეგ ჩერჩილი ციურიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა. აშკარად გამოჩნდა, რომ მან გადახედა „პოლიტიკური თამაშების“ თავის სტრატეგიას: როგორც ჩანს, გაითვალისწინა სტალინის შენიშვნები და ალაპარაკდა არა ინგლის-ამერიკულ, არამედ ევროპის ერთობაზე. თავდაპირველად რიტორიკული შეკითხვა დასვა:

— რატომ არ უნდა არსებობდეს ევროპული ჯგუფი, რომელიც ამ ბობოქარი და ძლიერი კონტინენტის გაგიჟებულ ხალხებს ამაღლებული პატრიოტიზმისა და საერთო მოქალაქეობის გრძნობას ჩაუნერგავდა.

იგი გულისხმობდა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა აღმოსავლეთ ევროპა და კონტინენტის ამ რეგიონში შეცვლილი რეალობა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ამჯერად ახალი გეოპოლიტიკური იდეით წარსდგა იგი მსმენელების წინაშე. ჩანდა, რომ მან გული აიცრუა ამერიკელ პარტნიორზე, რომელიც თავდაჯერებით ასრულებდა ატომური ხელკეტით შეიარაღებული „დიდი ძმის“ როლს და შეეცადა ომისშემდგომ ევროპაში ინგლისის ცენტრალური ადგილის დამკვიდრებას.

მისი აზრით, არსებობდა სამი სფერო: ბრიტანეთის იმპერია მასში შემავალი ყველა ქვეყნით; ინგლისურენოვანი ქვეყნები; გაერთიანებული ევროპა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სამივე ამ სფეროში შედის, ინგლისია და ამიტომ სწორედ მას ხელეწიფება დანარჩენების გაერთიანება.

რისთვისაა საჭირო ეს გაერთიანება? ქვეყნების არც ეკონომიკური, არც სავაჭრო, არც კულტურული, არც სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა. უფრო მეტიც, სტალინს არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განსამტკიცებლად. თანაც, გაიხსენეთ, მისი წინადადებით არ დაუშვიათ რკინის ფარდა ევროპაში!

გამოდის, რომ ჩერჩილი საომარ დაპირისპირებას გულისხმობდა. მაგრამ ნუთუ მართლა გაგიჟდა ჩერჩილი, რომელიც ახალი ომისკენ მოუწოდებდა პარტნიორებს მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობების მოშუშებამდე ჯერ კიდევ შორს იყო?

ასეთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა. არც აშშ-ის, არც ინგლისის ხალხები ასეთ ავანტიურას არ აჰყვებოდნენ. ჩერჩილისთვისაც საკმარისი იყო ომის საშიშროების პერსპექტივით აეფორიაქებია საზოგადოებრივი აზრი. არავითარი ჯვაროსნული ლაშქრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მას არ გამოუცხადებია. ფულტონში გამოსვლაც კი ასეთი შესავლით დაიწყო: „მე უაღრესად აღფრთოვანებული ვარ და ვაფასებ სახელოვან რუს ხალხს და ომის დროინდელ ჩემს ამხანაგს — მარშალ სტალინს“.

მაშ, რა მიზნები ამოძრავებდა ჩერჩილს, ომის ისტერიკას რომ აღვივებდა? უწინარეს ყოვლისა, **მას მხარდაჭერა აღუთქვეს გავლენიანმა მილიტარისტულმა წრეებმა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ შეიარაღების წარმოებაში, რასაც უზარმაზარი მოგება მოჰქონდა მათთვის.**

**ასე უნდოდა სამხერო-სამრეწველო კომპლექსს, ასე სურს მას დღესაც.**

ამ თემაზე სტალინმა ამომწურავად ისაუბრა გაზეთ „სანდი ტაიმსთან“ ინტერვიუში 1947 წლის 17 სექტემბერს.

**„ახალი ომის“ შესახებ ამჟამად უმთავრესად ხმაურობენ სამხედრო-პოლიტიკური მზვერავები და მათი მცირერიცხოვანი მხარდამჭერები სამოქალაქო ჩინოსნების წრიდან. მათ ეს ხმაური სჭირდებათ თუნდაც იმისთვის, რათა: ა) ომის აჩრდილით დააშინონ ზოგიერთი გულუბრყვილო პოლიტიკოსი მათი კონტრაგენტების რიგებიდან და ამით დაეხმარონ თავიანთ მთავრობებს, გამოსტაცონ კონტრაგენტებს რაც შეიძლება მეტი დათმობა; ბ) გარკვეული დროით გააძნელონ თავიანთ ქვეყნებში სამხედრო ბიუჯეტის შემცირება; გ) დაამუხრუჭონ ჯარების დემობილიზაცია და ამით თავიდან აიცილონ თავიანთ ქვეყნებში უმუშევრობის სწრაფი ზრდა.**

**უნდა განვასხვავოთ „ახალი ომის“ გამო ატეხილი ხმაური და „ახალი ომის“ რეალური საშიშროება, რომელიც ამჟამად არ არსებობს“.**

მან თქვა, რომ სჯერა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დემოკრატიების მეგობრული და ხანგრძლივი თანამშრომლობის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებითი იდეოლოგიური განსხვავებაა, სჯერა ორი სისტემის „მეგობრული შეჯიბრების შესაძლებლობის. ნიშანდობლივია, რომ სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებდა აშშ-ის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ჰენრი უოლესიც.

შეკითხვას ატომური თავდასხმის შესახებ სტალინმა ასე უპასუხა:

„— ატომური ბომბი არ მიმაჩნია ისეთ სერიოზულ ძალად, როგორადაც ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს სურს წარმოიდგინოს. **ატომური ბომბები სუსტი ნერვების მქონეთა დასაშინებლად არის განკუთვნილი,** მაგრამ ისინი ვერ წყვეტს ომის ბედს... **ატომური ბომბის საიდუმლოს მონოპოლური ფლობა, რა თქმა უნდა, წარმოქმნის საშიშროებას, მაგრამ მის წინააღმდეგ არსებობს სულ ცოტა, ორი საშუალება: ა) ატომური ბომბის მონოპოლური ფლობა დიდხანს ვერ გაგრძელდება; ბ) ატომური ბომბის გამოყენება აიკრძალება...“**

საბჭოთა ბელადმა საჭიროდ არ ჩათვალა ჩერჩილის სახელის ხსენება, მაგრამ დასმულ შეკითხვებს უპასუხებდა, როგორც ეტყობა, ამ მოღვაწის გამოსვლის გათვალისწინებით, რომელიც იძულებული გახდა, დაეთმო პრემიერ-მინისტრის სავარძელი. ვიყოთ ობიექტური და ვთქვათ, რომ თავის საარჩევნო ოლქში მან სრული გამარჯვება მოიპოვა, რაც მისი მაღალი ავტორიტეტის დადასტურება იყო. **სტალინი მას „ჩამოწერილ“ მოღვაწედ არ მიიჩნევდა.**

ექვსი წლის შემდეგ მან კვლავ გაიმარჯვა და დაუნინგ სტრიტზე, მეათე ნომერ სახლში, სადაც პრემიერის სამუშაო აპარტამენტებია, დაბრუნდა. მაგრამ 1951 წელიწადი 1940-ისგან განსხვავდებოდა. ინგლისი ლეიბორისტული მთავრობის ხელში უფრო დამოკიდებული გახდა შეერთებულ შტატებზე, ვიდრე ომის წლებში იყო. 77 წლის ჩერჩილმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამ ეროვნული დამცირებისთვის.

თავისი პრემიერობის პირველივე დღეებიდან შეაშფოთა და აღელვა ვაშინგტონი. იმ დღეებში ინგლისელ ტაქსისტს თავს დაესხა მთვრალი ამერიკელი სამხედრო, რომელიც ინგლისში განლაგებულ აშშ-ის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე მსახურობდა, ტაქსისტი ყოფილი ფრონტელი აღმოჩნდა. მან არა მარტო წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელს, არამედ გაკოჭა და პოლიციას ჩააბარა. ჩერჩილის მოთხოვნით, ეს შოფერი დააჯილდოვეს... სამხედრო მედლით.

თეთრ სახლს კიდევ ბევრი შეწუხება ელოდა მოუსვენარი მოხუცისგან. ჩერჩილს მიაჩნდა, რომ ინგლისის დამოუკიდებლობა და მსოფლიო ავტორიტეტი შეიძლება განმტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ატომური იარაღი, რომლის მიცემაზე ამერიკელებმა კატეგორიული უარი განუცხადეს. ბოლოს და ბოლოს ინგლისმა წარმატებით გამოსცადა ეს იარაღი, თუმცა ამან მისი ავტორიტეტის ამაღლებას მაინც და მაინც ხელი ვერ შეუწყო. აშშ და სსრკ დომინირება მსოფლიოში აშკარა იყო.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობა სტალინს შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი აშშ-სთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, რასაც მოწმობს იმ პერიოდის ინტერვიუებისა და საუბრების მთელი რიგი.

**1953 წლის მარტის დასაწყისში სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა. ჩერჩილმა დაურეკა საბჭოთა კავშირის ელჩს ინგლისში ანდრეი გრომიკოს და სთხოვა, რეგულარულად მიეწოდებინა ცნობები საბჭოთა ხელმძღვანელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.**

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჩერჩილი „დიდი სამეულის“ ერთადერთი წევრი დარჩა, რამაც საერთაშორისო ასპარეზზე მას დამატებითი წონა შეჰმატა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლურჯი მდინარე

**5 მაისს ქალაქ ტოკიოში, მდინარე სუმიდაზე, ნეონის 100 000 ლურჯი ბურთი გაუშვეს. ეს ბურთები წამოადგინა კომპანია Panasonic-მა, რომლის წარმომადგენლებიც ირწმუნებიან, რომ ეს ბურთები 100 პროცენტით მზის ენერგიით ანათებენ და მათი ზომა იმხელაა, რომ თევზები ვერ გადაყლაპავენ.** ბურთებს უნდა დაეტოვებინა შთაბეჭდილება თითქოს ციცინათელები ცურავენ მდინარეში. მაყურებლები შეიკრიბნენ მდინარის სანაპიროზე, რათა ენახათ უცნაური ქმნილებები, რომლებიც შექმნა Panasonic-მა. მდინარე სუმიდა ციცინათელების ნამდვილი სამოთხე გახდა.

# როგორ შეიქმნა ცნობილი ბრენდები

## Dassler

**პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1920 წლის დასაწყისში, დასლერების ოჯახმა საოჯახო საქმის წამოწყება გადაწყვიტა და დაიწყო კიდეც ფეხსაცმლის კერვა ბრენდით Dassler.** დასლერების ოჯახის პირველი პროდუქცია იყო ოთახის ჩუსტები და ორთოპედიული ფეხსაცმელი სპორტსმენებისა და ინვალიდებისთვის, რომლებიც ომის შემდეგ ბევრნი იყვნენ. მასალად იყენებდნენ ჩამოწერილ საომარ აღჭურვილობებს, ძირებს კი ძველი ავტომობილების საბურავებისგან ამზადებდნენ.

1924 წელს დაარსდა დასლერების ფაბრიკა. ორი ძმა განსხვავებული ხასიათებით ავსებდნენ ერთმანეთს – ადოლფი წყნარი და გაწონასწორებული იყო, რუდოლფი კი აქტიური და კომუნიკაბელური გამყიდველი. ერთი წლის შემდეგ ადოლფმა გამოიგონა და შეკერა პირველი საფეხბურთო ბუცი. 1928 წელს უკვე რამდენიმე სპორტსმენი თამაშობდა დასლერების ბუცებით.

მამის გარდაცვალების შემდეგ, 1948 წელს, ძმებმა იჩხუბეს და ფაბრიკა გაიყვეს. შედეგად შეიქმნა ორი ახალი ფირმა **Adidas** და **Puma**. საოჯახო ბიზნესის დახურვის შემდეგ ძმები ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, ხოლო **Adidas** და **Puma** გახდნენ ყველაზე დაუძინებელი კონკურენტები.

## Victorias Secret

**ერთხელ როი რეიმონდმა გადაწყვიტა, მეუღლისთვის საჩუქარი გაეკეთებია და წავიდა მაღაზიებში ქალის ლამაზი თეთრეულის საყიდლად. ის დიდხანს ათვალიერებდა მაღაზიების სტელაჟებს და „დაიკარგა" ქალების სამყაროში. გამყიდველებმა დახმარების გაწევა ვერ შეძლეს. როიც ცარიელი ხელებით, მაგრამ რევოლუციური იდეებით დაბრუნდა შინ.**

1977 წელს მან გახსნა თავისი პირველი მაღაზია — „Victorias Secret". მაღაზია გამოირჩეოდა ევროპული ელეგანტურობითა და მეგობრული ინტერიერით, რომელშიც მამაკაცებიც კი კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ხოლო ახალი პროგრამის გამოშვებით რაიმონდმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მთელ მსოფლიოში.

ხუთი წლის შემდეგ რაიმონდი იძულებული გახდა, გამიეყიდა Victorias Secret-ი ლესლი ვექსნერისთვის, რომელმაც უმალ მოაშორა მას მამაკაცებისთვის შექმნილი კომფორტი. როი რეიმონდსმა კი, უიღბლო ბიზნესის წამოწყების შემდეგ, 47 წლის ასაკში, 1993 წელს სან-ფრანცისკოში თავი მოიკლა.




## Nike

**ფილ ნაიტი ორეგონის უნივერსიტეტის გუნდში საშუალო მანძილზე მორბენალი იყო. იგი ნამდვილი სპორტსმენი არ იყო, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ ამ საქმისთვის ამერიკული ფეხსაცმელი საშინელება იყო. ნაიტმა სიტუაციის გამოსწორება გადაწყვიტა და შექმნა კომპანია Blue Ribbon Sports, რომელიც აწარმოებდა ამერიკულ ფეხსაცმელს და ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა Adidas-სა და Puma-ს.**

ნაიტი მიხვდა, რომ იაფი და ხარისხიანი ნაწარმის შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ აზიაში. 1965 წელს მან 500 დოლარი ჩადო საქმეში, ნაიტმა და მისმა მწვრთნელმა ბაუერმანმა შეუკვეთეს 300 წყვილი ფეხსაცმელი იაპონურ კომპანია ონიცუკა ტაიგერს (ამჟამად ASICS). ფილმა დაიწყო ფეხსაცმლის გაყიდვა პირდაპირ თავისი ფურგონიდან. რეალიზაცია გაიზარდა და ბიზნესში გადაიზარდა, შეიქმნა ბრენდი Nike.

## Pampers

**კომპანია Procter & Gamble-ის წამყვანი ქიმიკოსტექნიკოსი ვიქტორ მილზი თავის შვილს ბავშვების მოვლაში ეხმარებოდა და რამდენიმეჯერ მოუწია თავისი შვილიშვილებისთვის სველი საცვლების გამოცვა და გარეცხვა.**

პროცესი, რა თქმა უნდა, არ მოეწონა და მოინდომა, რამენაირად გაემარტივებია ეს საქმე. მაშინ მას თავში მოუვიდა ერთჯერადი საცვლების შექმნის აზრი და მალე მილზის პირველი მოდელები მისსავე შვილიშვილებზე დაიტესტა. საერთოდ, იგი ყველაფერს თავისი ოჯახის წევრებზე ამოწმებდა. იმ დროს, როდესაც კბილებს ყველა კბილის ფხვნილით იხეხავდა, მისი ცოლი და შვილი ამ საქმისთვის მილზის კბილის პასტას იყენებდა.

რამდენიმე ექსპერიმენტისა და სხვადასხვა მასალის გამოცლის შემდეგ მილზმა შექმნა P&G-ის ახალი პროდუქრი, რომლის გამოშვების დაწყებისას მილზი 80 წლის იყო. პამპერსის გამომგონებელი 1997 წელს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## Hilton

**1919 წლის ივნისში ამერიკის შტატ ტეხასის ქალაქ სისკოში ჩამოვიდა კონრად ჰილტონი, რომელსაც მაშინ 31 წელი შეუსრულდა. იმ დროისთვის იგი გაკოტრებული იყო. გაკოტრების შემდეგ მას ჰქონდა შერჩენილი 5000 ამერიკული დოლარი და აპირებდა ახალი ბანკის გახსნას ან ყიდვას, მაგრამ გეგმები ძალიან სწრაფად შეიცვალა.**

ღამის გასათენებლად კონრადი შევიდა ადგილობრივ სასტუმროში და გაოცებული დარჩა იმ ხალხით გადატენილი ვესტიბიულის ნახვისას, რომლებიც ჩხუბობდნენ თავისუფალი ოთახისთვის. კლიენტების ბრბო — ეს არის ნადვილი ოცნება ნებისმიერი კომერსანტისთვის, გაიფიქრა იმ დროს ჰილტონმა. აღმოჩნდა, რომ სასტუმროს მეპატრონეს სულაც არ ახარებდა ის, რაც მის ვესტიბიულში ხდებოდა; არ იყო უარზე, გაეყიდა თავისი 60-ოთახიანი სასტუმრო Mobley. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჰილტონს სამუდამოდ დაევიწყებია ბანკი. რამდენიმე დღეში ის გახდა თავისი პირველი სასტუმროს მფლობელი, ხოლო ექვსი წლის შემდეგ გახსნა პირველი სასტუმრო თავისი სახელით დალასში – Dallas Hilton.



## მიწისმჭამელები

**ინდონეზიის სოფელ ტაბანში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვეულებრივ მიწას მიირთმევენ, მიწისგან გაკეთებულ კერძს კი ამპოს ეძახიან. მედიცინის დასკვნების მიუხედავად, ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, რომ ამპო მშვენიერი საშუალებაა ტკივილის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, ამპოს ჭამას ურჩევენ ორსულ ქალებს, რადგან ითვლება, რომ კერძი კარგად მოქმედებს ბავშვის კანზე.**

ამპოს რეცეპტი ოფიციალურ წყაროებში არ მოიძებნება. ამის მიუხედავად, მისი მომზადების წესი ცნობილია: ხის ჯოხებით ტკეპნიან მიწას, შემდეგ ბამბუკის დანის საშუალებით ფხეკენ მას. ანაფხეკების შებოლვის შემდეგ კერძი მზადაა.





## ძაღლების გაზრდილი



**სამარაში პატარა საშა ხელისუფლების ორგანოებმა ძაღლების ხროვაში იპოვეს — ბავშვი ძაღლებმა საკუთარი შვილივით გაზარდეს. მშობლებისგან მიტოვებული ბიჭუნა ხუთ წლამდე ვერ ლაპარაკობდა, ყეფდა და ოთხ ფეხზე ცოცავდა.**

ბავშვი თავშესაფარში წაიყვანეს, სადაც მან საკვები პირველად გასინჯა და გონებაც დაკარგა.

თავშესაფარში მოხვედრამდე 10 წლის საშა დედასთან, ბებიასთან და დეიდასთან ერთად ცხოვრობდა. მრავალრიცხოვან ნათესავებთან ერთად ბინაში კიდევ 5 ძაღლი ბინადრობდა. ბავშვის გამოკვება ხშირად ავიწყდებოდათ და იგი შინაურ ცხოველებთან ერთად ერთი თასიდან ჭამდა.

იგი ნამდვილი მაუგლი იყო, მან არ იცოდა ჩანგლის ხმარება და თეფშიდან საჭმელს ლოკავდა. ხოლო როდესაც ბრაზობდა, ოთხზე დგებოდა და ბავშვებს უყეფდა.

„დედა ძალიან მიყვარს. იგი აუცილებლად წამიყვანს თავშესაფრიდან და სახლიდან ყველა ძაღლს გაყრის", — ამბობს საშა.



## რობოტი ქირურგი

**პირველად მსოფლიოს ისტორიაში სამედიცინო რობოტმა დამოუკიდებლად ჩაატარა ოპერაცია. ღვიძლის გადანერგვის რობოტიზირებული პროცედურა იტალიაში, ტრანსპლანტოლოგიის ცენტრ ISMETT-ში, გაიმართა. ეს პირველი ოპერაციაა, რომელიც მთლიანად ავტომატური რეჟიმით ჩატარდა.**

რობოტის ჩატარებული ოპერაცია ზედმიწევნითი სიზუსტით გამოირჩევა.

ეს პირველი პროცედურაა, რომელიც რობოტმა ჩაატარა. ამერიკელებმა დღემდე რამდენიმეჯერ სცადეს მსგავსი ოპერაციის ჩატარება, თუმცა ბოლოს ქირურგის ჩარევა გახდა საჭირო.

დონორის სხეულიდან ღვიძლის ამოსაღებად რობოტს ხუთი პატარა და ერთი დიდი — 10-სანტიმეტრიანი ჭრილის გაკეთება მოუხდა.

პაციენტების სახელები არ ხმაურდება, თუმცა ცნობილია, რომ ისინი ძმები არიან. უმცროსმა ძმამ საკუთარი ღვიძლის ნაწილი გაიმეტა, რათა ცეროზით დაავადებული უფროსი ძმა გადაერჩინა. ოპერაცია 10 საათს გაგრძელდა. ამ დროისთვის ძმები თავს კარგად გრძნობენ.



## ᲜᲘᲐᲒᲐᲠᲐᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

**33 წლის ამერიკელმა ნიკ ვალენდიმ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხელმეორედ ამის გაკეთებას ველარავის გაბედავს. გამძვინვარებულ, აბობოქრებულ ნიაგარას ჩანჩქერზე ნიკ ვალენდი ამერიკიდან კანადაში ბაგირით გადავიდა. 550-მეტრიან გზაზე იგი დაზღვეული იყო ვერტმ-ფრენით და მყვინთავების ჯგუფით. 50 მეტრის სიმაღლეზე დაკიდული ბაგირის სისქე 5 სანტიმეტრს არ აღემატებოდა.** ამ ექსტრემალურ გადასვლას 100 ათასი ტურისტი აკვირდებოდა. მსოფლიო რეკორდი 25 წუთში დამყარდა — ვალენდის გასვლა ქარიშხლის პირობებში მოუხდა. ქარი დაახლოებით 20 კმ/სთ სიჩქა-რით უბერავდა და ყველა მხრიდან იყო ძლიერი წყლის შხეფები. პირველი ადამიანი, რომელმაც გადალახა ნიაგარის ჩანჩქერი ბაგირით, იყო ფრანგი ჟან-ფრანსუა გრაველე. მან რამდენიმეჯერ შეძლო გადასვლა ცნობილ ნიაგარის ჩანჩქერზე 1859 წელს, ნიკ ვალენდის კი ქარიან ამინდში მოუწია რეკორდის დამყარება.

ᲥᲠᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲚᲝ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ




ᲡᲐᲛᲝᲐᲨᲘ პატარძლის კაბა თუთის ხის ქერქისგან „იკერება“, ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐᲨᲘ კი სილამაზეზე ყველასაგან განსხვავებული შეხედულება აქვთ: თუ კი პატარძალი ქორწილამდე (და ოჯახური ცხოვრების პირველ ხანებში) არ მოიმატებს წონაში და არ შეიძენს ეგრეთ წოდებულ მრგვალ ფორმებს, სიძეს აქვს მისი მშობლებთან მიბრუნების უფლება.




ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲘᲐᲕᲐᲖᲔ, ისევე, როგორც მრავალ ქვეყანაში, დაწესებულია გადასახადი ქორწილის რეგისტრაციისთვის. მაგრამ საინტერესო ზუსტად ისაა, რომ გადასახადი უნდა გადაიხადონ არა ფულით, არამედ ვირთხის კუდებით! ქორწინების დარეგისტრირების მსურველებმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში 25 ვირთხის კუდი უნდა მიიტანონ.




ძალიან სასაცილო ტრადიცია აქვთ ᲙᲔᲜᲘᲔᲚᲔᲑᲡ – ქორწილის შემდეგ 1 თვის განმავლობაში სიძემ უნდა ატაროს ქალის ტანისამოსი, იმისთვის რომ სრულად გაითავისოს, თუ რა რთულია, იყო ქალი, მითუმეტეს კენიაში.




ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐᲨᲘ ფატის მაგივრად პატარძალს ახურავენ სპეციალურ თავსაბურავს, რომელსაც ჰქვია „ეკორი“. იგი ცხიმში, ფისსა და ხნაში ამოვლებული თხის ტყავისგან არის დამზადებული.

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ პირველი ღამის მნიშვნელობა ძალიან პირობითია. ქორწილიდან 3 დღისა და ღამის განმავლობაში ცოლმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მეუღლეს ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებაზე. ამას იმისთვისა აკეთებენ, რომ ბოროტი სულები დააბნიონ.

ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲢᲠᲝᲛᲑᲠᲘᲐᲜᲖᲔ ქორწილი ყველაზე ადვილი პროცესია. ვისაც ცოლის მოყვანა სურს, სასურველ ქალთან ერთი თეფშიდან უნდა ჭამოს საჭმელი ტომის სხვა წევრების დასანახად. ამით საქორწინო ცერემონია დასრულებულია.

ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲑᲐᲚᲘᲖᲔ კი საქორწინო სუფრის ირგვლივ მხოლოდ ქალები სხდებიან, კაცები კი ამ დროს ისვენებენ. მათ დასვენება ნამდვილად სჭირდებათ, რადგან ქორწილისთვის ყველა კერძი მათ გააკეთეს და სუფრაც მათი გაწყობილია, დასვენებული ქალები კი მათ გარეშეც მშვენივრად მოილხენენ.




ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ტომ სურმაშიც განსაკუთრებულად ემზადებიან საქორწილო ცერემონიისთვის. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე საპატარძლოს უღებენ ქვედა რამდენიმე კბილს, უხვრეტენ ტუჩს და მასში უმაგრებენ თიხის დისკს. დროდადრო ამ დისკს ცვლიან უფრო დიდით. რაც უფრო დიდი დიამეტრისაა თიხის დისკი, მით უფრო ბევრია პატარძლის მზითვი, რადგან დისკი არის სიმბოლო პატარძლის ოჯახის სიმდიდრისა.




ᲜᲔᲜᲪᲔᲑᲘ თავს არ იწუხებენ საქორწილო სუფრის მომზადებისთვის, სტუმრებს ისინი უმი ირმის ხორცით უმასპინძლდებიან.

# ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲧᲘᲜᲘᲡ ᲢᲝᲠᲢᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

ნაყინის კაფეების პოპულარულმა კანადურმა ქსელმა Dairy Queen-მა თავისი არსებობის 30 წლის იუბილე იზეიმა. ამ დღის აღსანიშნავად დაუნთაუნის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გამოიტანეს უზარმაზარი ნაყინის ტორტი. ტორტის შექმნაზე ათეულობით მზარეული დღე და ღამ მუშაობდა. გამოყენებულ იქნა 9000 კილოგრამზე მეტი ნაყინი, 91 კგ ბისკვიტი, დაახლოებით 136 კგ ყინული. შექმნილი ტორტი შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაყინის ტორტი.









# არჩევნებამდე უცხოელებს ქართულ მიწებს ჩამოურიგებენ

**გამორიცხული არ არის, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლამდე მიწების მასობრივი გაყიდვა დაიწყოს და თანაც საქართველოს არარეზიდენტ პირებზე. ეს იმიტომ, რომ გასაყიდი მაქსიმალურად გაიყიდოს, ხოლო, თუკი ხელისუფლებაში კვლავ ამჟამინდელი პოლიტიკური ძალა დარჩა, შემდგომ არჩევნებამდე უკვე მოსახლეობის გაყიდვასაც მოასწრებენ.**



ასეთი უპრეცენდენტო შესაძლებლობა უცხოელებს ქვეყნის კანონმდებლობამ მიანიჭა. ცვლილება საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დანიის მოქალაქის საჩივრის საფუძველზე განხორციელდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ჰაიკე ქრონქვისტის სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „ამ მუხლის 1,1, 1,2 და 1,3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

ამ პუნქტების შესაბამისად კი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების ფლობის უფლება ჰქონდათ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ასევე ამ მუხლის 1,1, 1,2 და 1,3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირსაც.

ამასთან, **უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს, აგრეთვე, იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე.**

საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს მუხლები საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. უწყების განმარტებით, ამ კანონით ირღვეოდა ადამიანის უფლებები, რომელიც თანაბარია მოქალაქეობის კუთვნილების მიუხედავად.

ახალ საკანონმდებლო ცვლილებას სოფლის მეურნეობის დარგის ექსპერტი პაატა კოღუაშვილი ქართული სოფლის გადაგვარების ტოლფასად აფასებს. მისი განცხადებით, **უკვე სრულიად რეალურია საფრთხე, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდეს.**

„საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა, ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ. ამავე დროს, ხშირად ისმის პრიმიტიული ფრაზები, მაგალითად, „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“ და მსგავსი. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი ოდენობითაც“, — დასძენს ექსპერტი.

მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია, ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერი მაგისტრალი, ენერგომატარებელი ან სამხედრო ობიექტი. **მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც.**

ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია.

**„ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა, ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი). საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული, სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, რომელზეც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

**ხელისუფლება მიწის სარფიანად გაყიდვით კი არა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე გლეხობისათვის მეურნეობრიობის ნორმალური პირობების შექმნით უნდა იყოს დაკავებული.**

მან ხელი უნდა შეუწყოს სოფლად მიწის წვრილ მესაკუთრეთა საწარმოო და მარკეტინგულ კოოპერირებას (და არა მათ დაქირავებულ მუშებად გადაქცევის პროცესს), მიწის სრულფასოვან მეურნე მესაკუთრეებად მათ ჩამოყალიბებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფლად საქონელმწარმოებელთა გადაქცევა მიწის ნამდვილ პატრონად, ქვეყნის დამცველად და პატრიოტად“, — აცხადებს კოღუაშვილი.

კომპანია „პრივატსერვისის“ ხელმძღვანელის — ვაჟა ცუცქირიძის განმარტებით, უცხოელთა მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოთხოვნა ბოლო პერიოდში გამოიკვეთა.

**„უცხოელი ინვესტორებისთვის მისაღებია ქართული მიწის დაბალი ფასი. 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა 400-700 დოლარის ფარგლებშია შესაძლებელი. ეს არის საორიენტაციო ღირებულება. საქართველოში ჩამოდიან სხვადასხვა ჯგუფები, ნელნელა აწარმოებენ შესყიდვებს.**

**საქართველო მათთვის მისაღებია სხვადასხვა მიზეზის გამო: პირველ რიგში, იმით, რომ აქ მეტია სტაბილურობა, იზიდავთ კლიმატი და ბიზნესპირობები. ამასთან, მსოფლიოში დიდია მოსალოდნელი შიმშილის საფრთხე, რასაც ამძაფრებს ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ შიში. ამ თვალსაზრისით, საშიშროება აქ ნაკლებადაა. საერთოდ, პირობები მრავალმხრივ კარგია ინვესტორებისთვის“,** — ამბობს ვაჟა ცუცქირიძე.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, ანუ იმას, თუ როგორ იცავენ თავიანთ მიწებს ნორმალურ ქვეყნებში, პაატა კოღუაშვილის განმარტებით, ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში, სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში.

ირლანდიის კანონმდებლობის მიხედვით, ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და განსაკუთრებით დიდი ფართობის მიწის შეძენა.

**ეკა ბაქრაძე**
**for.ge**

## ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა

ისრაელის რიგით მეშვიდე პრემიერ-მინისტრი, „შეურიგებელი“ იცხაკ შამირი გარდაიცვალა. წყაროს ცნობით, იგი თელ-ავივში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მინისტრთა კაბინეტს ისრაელისათვის უჩვეულოდ დიდი ხნის განმავლობაში — თითქმის 9 წელიწადი მართავდა. მისი სიკვდილის შესახებ განცხადების გაკეთებისას მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ შამირი საკუთარი ქვეყნის ერთგული იყო. ახალგაზრდობაში მებრძოლი იყო, შემდეგ — მოსადის აგენტი, მოგვიანებით ლიკუდის მემარჯვენე პარტიას ხელმძღვანელობდა, 1983-1984 და 1986-1992 წლებში კი პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა. იგი ცნობილი იყო, როგორც პალესტინის სახელმწიფოებრიობის კატეგორიული მოწინააღმდეგე.

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის 1954 წლის გამოშვების მეთერთმეტე-მეორე კლასელები: მურთაზ ბაბუნაშვილი, ანზორ გაბიანი, ედუარდ გერსამია, რეზო გოგორიშვილი, ზურაბ დანელია, გელა ლეჟავა, ამირან მგალობლიშვილი, არმაზ სანებლიძე, გივი ქარუმიძე, ომარ ფრანგიშვილი, ვახტანგ ცხვედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თანაკლასელსა და მეგობარს თამაზ ყურაშვილს დის

**მანანა ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 4 ივლისს, 5 საათზე, მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი №70.

გამოსვენება 5 ივლისს, 3 საათზე წმინდა სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის პროსპექტზე).

## გაერო: ირანი სირიასა და «თალიბანს» იარაღს აწვდის

**გაეროს უშიშროების საბჭოს კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ირანის მხრიდან სანქციების დარღვევას ეხება. ამ დოკუმენტში, ამას გარდა, საუბარი მიდის ირანული იარაღის მიწოდებაზე ბაშარ ასადის რეჟიმისათვის, რაც ისლამური რესპუბლიკიდან იარაღის ექსპორტის სანქციის დარღვევაა.** იქვე აღნიშნულია, რომ დასავლელი დიპლომატები მიესალმნენ ამ ანგარიშის ღიად გამოქვეყნებას, ვინაიდან მათ თავდაპირველად ეშინოდათ იმისა, რომ მის გამოქვეყნებას წინ რუსეთი აღუდგებოდა, როგორც მან ეს ერთხელ უკვე გააკეთა. შარშანდელი ანგარიში რუსეთის წინააღმდეგობის გამო ჯერაც გამოუქვეყნებელია. ანგარიშის მიხედვით, ირანი იარაღს სირიასა და მოძრაობა „თალიბანის“ ბოევიკებს აწვდის.

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (599)936563, e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894